დანართი №2

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

სსიპ ქალაქ თბილისის N 133 საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მანანა ალიბეგაშვილი

წევრები:

ნათია ფხალაძე(ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)

ეკატერინე ვეკუა(საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი)

ნანა კასრაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი)

ნინო მოლაშხია(უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი)

მარიკა ბოცვაძე(ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი)

ანა ობოლაძე(ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი)

მარიამ ჯვარიძე(სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი)

ლალი აბულაძე(მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი) კობა დეკანაძე(სპორტის საგნობრივი ექსპერტი) ნათია კურტანიძე(დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი)

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ქალაქ თბილისის N 133 საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	**200007848**

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	თბილისი
იურიდიული მისამართი	ვარდისუბნის ქ.N 8
ფაქტობრივი მისამართი	ვარდისუბნის ქ.N 8
საფოსტო ინდექსი	0141
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	WWW.133skola.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	Tbilisi133 mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	032 2612880

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	ბრძ. 980538 09/08/2023წ
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	25 და 26 სექტემბერი 2023 წ

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური	ზოგადსაგანმანათლებლო	ზოგადსაგანმანათლებლო

			პროგრამის განხორციელების ენა	**პროგრამის განხორციელების ადგილის** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის და ქუჩის მითითებით)
	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათელებლო პროგრამა	**დაწყებითი საფეხური**	**ქართული ენა**	**ქ.თბილისის ვარდისუბნის ქ.N8**
	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათელებლო პროგრამა	**საბაზო საფეხური**	**ქართული ენა**	**ქ.თბილისის ვარდისუბნის ქ.N8**
	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათელებლო პროგრამა	**საშუალო საფეხური**	**ქართული ენა**	**ქ.თბილისის ვარდისუბნის ქ.N8**

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

2023 წლის 25 და 26 სექტემბერს სსიპ ქალაქ თბილისის N 133 საჯარო სკოლაში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი შემდეგი შემადგენლობით:მანანა ალიბეგაშვილი -თავმჯდომარე,ნათია ფხალაძე(ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი)ეკატერინე ვეკუა(საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი)ნანა კასრაძე (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი)ნინო მოლაშხია(უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი)მარიკა ბოცვაძე(ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი)ანაობოლაძე(ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი)მარიამ ჯვარიძე(სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი)ლალი აბულაძე(მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი)კობა დეკანაძე(სპორტის საგნობრივი ექსპერტი) ნათია კურტანიძე (დაწყებითი განათლების ექსპერტი)

ვიზიტის ბოლოს ექსპერტებმა მიაწოდეს სკოლას ინფორმაცია იმ მიგნებების შესახებ,რომელიც ვიზიტის დროს გამოიკვეთა. ვიზიტმა მშვიდ და თანამშრომლობით გარემოში ჩაიარა.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება მოქმედ საჯარო სკოლაზე/პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტრიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

მოსწავლეთა რაოდენობა: 2400	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☒	*აღწერა* *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☐	

III. ექსპერტთა ჯგუფის შეფასება ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამასთან/პროგრამებთან მიმართებით.

ექსპერტთა ჯგუფმა სრულ და მეტწილ შესაბამისად შეაფასა შემდეგი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები:

ექსპერტთა ჯგუფის მიერ სრულად შეფასდა ზოგადსაგანმანათლებლო პროგარამის დაწყებითი,საბაზო და საშუალო საფეხურის პროგრამები

IV. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
ინდიკატორი		.....
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი 4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	
ინდიკატორი		

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*ხარვეზი*
ინდიკატორი		.....

V. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგანსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაილობივი შესაბამისობისა.

სტანდარტი 1	*სკოლის ფილოსოფია*	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი		.....
სტანდარტი 3	*სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა*	
ინდიკატორი 3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;	სკოლას მიეცა რეკომენდაცია შენობის მდგრადობის დამადასტურებელი დოკუმენტაციის მოპოვებასტან დაკავშირებით.. სკოლამ შესაბამისობის გეგმის ფარგლებში , დოკუმენტის მოპოვების ვადად განსაზღვრა 20 წლის 4 ივლისი
ინდიკატორი 3.5.1.3	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;	სკოლამ შესაბამისობის გეგმის ფარგლებ ადაპტირებული ტუალეტის დსრულების ვადა განსაზღვრა 2023 წლის 31 ოქტომბერი
სტანდარტი 4	*მოსწავლეთა მხარდაჭერა*	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი		

სტანდარტი 2	*სასკოლო კურიკულუმი* (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*სტანდართან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი		.....

VI. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი 1	სკოლის ფილოსოფია	*რჩევა*
ინდიკატორი		.....
სტანდარტი 3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი ...		.....
სტანდარტი 4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*რჩევა*
ინდიკატორი		

სტანდარტი 2	სასკოლო კურიკულუმი (ასახეთ კურიკულუმის დასახელება)	*რჩევა*
ინდიკატორი		.....

VII. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VIII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები სკოლამ გაიზიარა და წარმოადგინა შესაბამისობის გეგმა.ექსპერთთა მიერ სრულად იქნა გაზიარებული სკოლის მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია და ინდიკატორი N 3.4.1.1. ინდიკატორიდა ინდიკატორი N 3.5.1.3. გადავიდა მეტწილ შესაბისობაში.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

1. სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს;
2. სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს;
3. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით;
4. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
5. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი;

6. სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის მისია ,ხედვა და ღირებულებულებები,რომელიც სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილია სრულ შესაბამისობაშია ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებთან.კერძოდ სკოლის მისიაა ურთიერთზრუნვითა და ურთიერთთანამშრომლობით შექმნან უსაფრთხო,ინოვაციური და ინკლუზიური გარემო თითოეული მოსწავლის წარმატებული და ბედნიერი მომავლისთვის. ხოლო ხედვაა STEM საგნების გაძლიერებული სწავლების შედეგად დაიმკვიდრონ ადგილი საერთაშორისო ბაზარზე.

ინდიკატორი 1.1.1.1. სტანდარტს შეესაბამება

2.სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს,კერძოდ ქმნის ისეთ გარემოს სადაც ნებისმიერი მოსწავლე თავს იგრძნობს ბედნიერად და წარმატებულად.ციფრული აქტივობების დანერგვით შეძლებს აღზარდოს საერთაშორისო ბაზარზე კონკურენტუნარიანი და 21-ე საუკუნის გამოწვევებთან ადვილად გამკლავებადი მოქალაქე.

ინდიკატორი 1.1.1.2. სტანდარტს შეესაბამება

3.როგორც სკოლის თვითშეფასების დოკუმენტიდნა და ადგილზე გასაუბრებისას დადგინდა სკოლის მისიის,ხედვის და ღირებულებების შემუშავება განხორციელდა სკოლის დირექტორის ბრძანებით შემუშავებული ჯგუფის მიერ თანამშრომლობისა და გუნდურობის პრინციპების დაცვით.

ინდიკატორი 1.1.1.3. სტანდარტს შეესაბამება

4.სკოლის მისია,ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.კერძოდ დირექტორის ბრძანებით შექმნილი ჯგუფის მუშაობა ეყდნობოდა შემდეგ პროცესებს:პროექტის შემუშავება,უკუკავშირის მიღების მიზნით გაზიარება, უკუკავშირის გაანალიზება და საბოლოო ვარიანტის ვებ გვერდზე და სხვა საინფორმაციო საშუალებებზე განთვსება.

ინდიკატორი 1.1.1.4. სტანდარტს შეესაბამება

5.მისიის ,ხედვის და ღირებულებების მიღებული ვერსია განთავსებულია სკოლის ვებ გვერდზე,საინფორმაციო დაფაზე და ფეისბუქ გვერდზე.

ინდიკატორი 1.1.1.5. სტანდარტს შეესაბამება

6.სსიპ ქალაქ თბილისის N 133 საჯარო სკოლის სახელწოდება შეესაბამება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების საჯარო სამართლის იურიდიული პირად დაფუძნებისა და სასრო სკოლის წესდების დამტკიცების შესახებ“საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2005 წლის 15 სექტემბრის ბრძანება N 448 -ის მიხედვით განსაზღვრულ სახელწოდებას.

ინდიკატორი 1.1.1.6. სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

დანართი N 1 სსგ 2023-2024

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

1. სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს;
2. სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს;
3. სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას;
4. სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლამ წარმოადგინა სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია,რომელიც განსაზღვრავს აღნიშნული დოკუმენტების განხილვის, დამტკიცების, მათში ცვლილებების შეტანის და გაზიარების მექანიზმებს, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის, შეფასებისა და სამოქმედო გეგმის წლიური ანგარიშის მომზადებასთან დაკავშირებულ საკითხებს.სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმის შემუშავება ეყრდნობა შემდეგ პრინციპებს: თანამონაწილეობა,სასკოლო საზოგადოების ინტერესების გათვალისწინება,გამჭირვალობა და ანგარიშვალდებულება.

ინდიკატორი 1.1.2.1. სტანდარტს შეესაბამება

2.სკოლამ წარმოადგინა სკოლის დირექტორის მონაწილეობით,სამუშაო ჯგუფის მიერ მომზადებული და პედაგოგიურ საბჭოზე განხილული 2023 – 2030 წლების სტრატეგიული განვითარების შვიდწლიან გეგმა, რომელიც სკოლის მისიიდან და სკოლის სტრატეგიული მიზნებიდან გამომდინარეობს. 7 (შვიდ) წლიანი სტრატეგიული გეგის შედგენისას გათვალისწინებული იქნა, როგორც წინარე გამოცდილება, ასევე, ახალი გამოწვევები. სტრატეგიული განვითარების შვიდწლიანი გეგმის შემუშავების

პროცესის წარმართვაზე პასუხისმგებელია სკოლის დირექტორი, რომელიც უზრუნველყოფს კომუნიკაციას სკოლის სხვადასხვა სტრუქტურულ ერთეულებთან, საჭირო ინფორმაციის შეგროვებაზე. სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის რეალიზება ხდება შიდა და გარე ფაქტორების გათვალისწინებით. ობიექტური ანალიზის საფუძველზე, შესაძლებელია მოხდეს სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმის გადახედვა გარკვეული პერიოდულობით.

ინდიკატორი 1.1.2.2. სტანდარტს შეესაბამება

3.ერთწლიანი სამოქმედო გეგმა გამომდინარეობს 2023 – 2030 წლების სტრატეგიული განვითარების შვიდწლიან გეგმიდან, სკოლის მისიიდან და სკოლის სტრატეგიული მიზნებიდან. მასში ასახულია სტარტეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების ინდიკატორები, შესრულებაზე პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები, შესაბამისი რესურსები და დასახული მიზნების რეალიზების ვადები

ინდიკატორი 1.1.2.3. სტანდარტს შეესაბამება

4.სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნები,ამოცანები და პასუხისმგებელი პირები 7 მიმართულებით .კერძოდ:სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება,ადამიანური რესურსების განვითარება,მატერიალური რესურსების გაუმჯობესება.უსაფრთხო გარემოს უზრუნველყოფა,სასკოლო საზოგადოების ჩართულობა.მოსწავლეთა მხარდაჭერის და ორგანიზაციული განვითარება.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართიN 2 სამუშაო ჯგუფები

დანართიN 3 სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის შემუსავების მეთოდოლოგია

დანართი N5 შვდიწლიანი სტრატეგიული განვითარების გეგმა
დანართი N6 ერთწლიანი სამოქმედო გეგმა

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

1. სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს;
2. მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით;
3. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა;
4. სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის დირექტორის N 2023 წლის 30 მარტის N 2-83 ბრძანებით დამტკიცებული სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის მე-10 მუხლი მოიცავს მონიტორინგის და შეფასების მექანიზმებს.კერძოდ სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის შესრულების მონიტორინგი სკოლის სტრატეგიული/სამოქმედო გეგმის განხორციელების ეფექტურობის და რელევანტურობის განსაზღვრის სისტემური და დისციპლინირებული პროცესია. ის უზრუნველყოფს სანდო და სასარგებლო ინფორმაციის მოპოვებას დაწესებულების საქმიანობის შესახებ. ამ მუხლის შესაბამისად განსაზღვრულია მონიტორინგის პროცესის შეფასების ინსტრუმენტები და შედეგების გამოყენების სტრატეგიები და მიზნები,ასევე პასუხისმგებელი პირები და გასაჯაროვების მექანიზმები.

ინდიკატორი 1.2.2.1. სტანდარტს შეესაბამება

2.სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგიის შესაბამისად განსაზღვრულია სტრატეგიული და სამოქმედო გეგმის მონიტორინგის და შეფასების პროცესები და უკუკავშირის ფორმები.კერძოდ შვიდწლიანი სტრატეგიული გეგმის

შესრულების ანგარიში ხორციელდება ყოველ 3 (სამ) წელიწადში და 7 (შვიდი) წლის გასვლის შემდეგ. ერთწლიანი კი თითოეული სემესტრის ბოლოს.

ინდიკატორი 1.2.2.2. სტანდარტს შეესაბამება

3.სკოლის სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიის მე-12 მუხლი განსაზღვრავს შედეგების გასაჯაროვების მექანიზმებს კერძოდ.გასაჯაროვება ხდება: ა) სკოლის ვებ-გვერდი; ბ) ელექტრონული ფოსტა; გ) პორტალი ვებ-გვერდზე; დ) სოციალური ქსელი; ე) საჯარო ღონისძიებები - ინტერაქტიული ორმხრივი კომუნიკაცია აუდიტორიასთან; ვ) სკოლის სტენდის საშუალებით.ასევე შემუშავებულია შედეგების ანალიზის ფორმა ,რომლის შევსება და შემდგომი განხილვა მიმდინარეობს სამუშაო ჯგუფის მიერ.

ინდიკატორი 1.2.2.3. სტანდარტს შეესაბამება

4.სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის.კერძოდ სამუშაო ჯგუფი ავსებს შედეგების ანალიზის ფორმებს ასაჯაროვებს უკუკავშირის მიღების მიზნით და ამ უკუკავშირის შედეგების ანალიზს იყენებს მომავალ სამოქმედო გეგმის დაგეგმვის პროცესში ან აუცილებლობის დროს შეაქვს ცვლილება არსებულ გეგმაში.

ინდიკატორი 1.2.2.4. სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N 3 სტრატეგიული დაგეგმვის შემუშავების მეთოდოლოგია

დანართი N 4 კურიკულუმის შემუსავების მეთოდოლოგია

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

1. სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული;
2. სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლამ წარმოადგინა კანონმდებლობის საფუძველზე,დირექტორის 2022 წლის 10 ოქტომბრის N 2-428 ბრძანებით დამტკიცებილი თანამდებობრივი ინსტრუქციები.რომელიც განსაზღვრავს სკოლაში დასაქმებული პირების უფლება–მოვალეობებს, საკვალიფიკაციო მოთხოვნებს; ვრცელდება სკოლაში დასაქმებულ ყველა თანამშრომელზე და სავალდებულოა შესასრულებლად; წარმოადგენს სკოლასა და დასაქმებულებს შორის გაფორმებული შრომითი ხელშეკრულების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს.

ინდიკატორი 3.1.1.1. სტანდარტს შეესაბამება

2.სკოლისმიერ წარმოდგენილ „თანამდებობრივი ინსტრუქციის დოკუმენტში“ დეტალურად არის გაწერილი სტრუქტურულ ერთეულებს შორის ფუქციები ასევე ამ დოკუმენტის 25 მუხლი ითვალისწინებს თანამშრომელთა მიერ შესრულებული

სამუშაოების პერიოდულ მონიტორინგს და ამ მონიტორინგის შედეგებზე რეაგირების პროცესს,რაც უზრუნველყოს სგანმანათლებლო პროცესების განვითარებას.

ინდიკატორი 3.1.1.2. სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N 8 თანამდებობრივი ინსტრუქციები

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

1. პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად;
2. სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა;
3. პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით;
4. პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას;
5. პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს;
6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საჯარო სკოლის პერსონალის მართვის პროცესები მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად, წესდების, შინაგანაწესისა და შრომითი ხელშეკრულებების და სკოლის დირექტორის მიერ დამტკიცებული თანამდებობრივი ინსტრუქციების შესაბამისად.აღნიშნულ დოკუმენტში თითოეული რგოლის გაწერილი მოვალეობები, პროცესების მართვაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს

ინდიკატორი 3.1.2.1. სტანდარტს შეესაბამება

2.სკოლას გააჩნია საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული მართვის პოლიტიკა.კერძოდ სკოლამ წარმოადგინა ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტი,რომლის მიზანია მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ხელშეწყობა,კვალიფიციური კადრების მოზიდვა,არსებული კადრების განვითარება.ამ დოკუმენტის მე-12 მუხლი განსაზღვრავს დასაქმებულთა მოტივაციის ამაღლების სტრატეგიებს და შედეგებს.

ინდიკატორი 3.1.2.2. სტანდარტს შეესაბამება

3. სკოლაში შემუშავებულია თანამშრომელთა შერჩევის, მიღებისა და გათავისუფლების წესი, ასევე წახალისებისა და სანქციების სისტემა; პერსონალის შერჩევის და დასაქმების პოლიტიკა დაფუძნებულია გამჭირვალეობასა და ობიექტურობაზე, სკოლაში მასწავლებლების მიღება ხდება კონკურსის საფუძველზე საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 20 აგვისტოს N174/ნ ბრძანებით დამტკიცებული "მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის" შესაბამისად. სკოლას აქვს პერსონალის კონკრეტულ პოზიციაზე განსაზღვრული საკვალიფიკაციო მოთხოვნები. კონკურსის ჩატარებისა და კანდიდატის შერჩევის მიზნით, სათანადო კვალიფიკაციის მქონე პირის გამოსავლენად, ობიექტურობის, გამჭვირვალობის, არადისკრიმინაციულობის, საჯაროობის, კოლეგიურობისა და კორექტულობის პრინციპების გათვალისწინებით, მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე სკოლა აცხადებს ღია კონკურსს ვებგვერდზე pedagogi.ge პორტალზე, თავსდება სამუშაოს აღწერა და შერჩევის კრიტერიუმები. სკოლა ქმნის საკონკურსი კომისისიას, კანდიდატურა ირჩევა კანონმდებლობის სრული დაცვით, ობიექტურობისა და გამჭვირვალობის საფუძველზე. რაც შეეხება სკოლის სხვა პერსონალს, აღნიშნულის დროსაც ხდება კონკურსის გამოცხადება. პერსონალის პირად საქმეებში არის თანამშრომელთა ისეთი სახის დოკუმენტაცია, როგორიცაა: ცნობა ნასამართლეობის შესახებ; რაც შეეხება ცნობებს სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ ცნობას და უფლების ჩამორთმევის შესახებ ცნობას, სკოლაში 2020 წლის 3 ივლისამდე დასაქმებულთ ეს ცნობა მატერიალური სახით არ მოეთხოვებათ.28 თანამშრომელს, რომლებიც მიიღეს 2020 წლის 3 ივლისის შემდეგ აქვთ კანონმდებლობის შესაბამისად ყველა სახის ცნობა: ნასამართლეობის შესახებ; სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლეობის შესახებ და უფლების ჩამორთმევის შესახებ

ინდიკატორი 3.1.2.3. სტანდარტს შეესაბამება

4.სკოლის პერსონალის კვალიფიკაცია სრულად შეესაბამება დაკავებულ თანამდებობას.სკოლაში ამ ეტაპზე მუშაობს- 123 თანამშრომელი,მათ შორის 99 მასწავლებელი რომელთაგან 60 უფროსის,29 წამყვანსი და 1 მენტორის სტატუსის მქონეა.23 პერსონალიდან 1 სკოლის ექიმია და 4 სსმ მოსწავლის ასისტენტია.

ინდიკატორი 3.1.2.4. სტანდარტს შეესაბამება

5.ადგილზე სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებისას და დოკუმენტაციის გაცნობით გამოიკვეთა,რომ სკოლის პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობით, თანამშრომლობით და გუნდური მუშაობის პრინციპებს; გუნდური მმართველობისა და დემოკრატიული კულტურის გაძლიერება სკოლის მნიშვნელოვანი პრიორიტეტია. სკოლაში შექმნილია თანამშრომლობითი გარემო, რომელიც ორიენტირებულია ჯანსაღი სასწავლო გარემოს შექმნაზე. ყველა საკითხის განხილვა და გადაწყვეტილებების მიღება ხორციელდება პედსაბჭოზე, კათედრებზე, თვითმმართველობის სხდომებზე, მშობელთა კრებებზე. სკოლაში შექმნილია ხარისხის განვითარების ჯგუფი, რომელიც თანამშრომლობს მასწავლებლებთან.

ინდიკატორი 3.1.2.5. სტანდარტს შეესაბამება

6. სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი. გადმოგზავნილ მასალაში ჩანს, რომ სკოლის მასწავლებელები აქტიურად იღებენ მონაწილეობას საგანმანათლებლო სივრცეში პროფესიული განვითარების მიზნით ჩატარებულ ტრენინგებში, კონკურსებში, თუ კონფერენციებში. მასწავლებლები ერთმანეთს, კათედრებზე უზიარებენ ონლაინ ან პირისპირ შეხვედრებისას თავიანთ გამოცდილებას, სიახლეებს, მიღებულ ინფორმაციას. სკოლის შინაგანაწესში განსაზღვრულია დასაქმებულის წახალისების სახეები და გამოყენების წესები და კეთილსინდისიერი სამსახურისთვისან/დასაგანმანათლებლოპროცესში განსაკუთრებულად თავისგამოჩენისათვის,სკოლა უფლებამოსილია დასაქმებულის მიმართ გამოიყენოს წახალისების შემდეგი ფორმები: ა) მადლობის გამოცხადება; ბ) სიგელით დაჯილდოება; გ) ფასიანი საჩუქრით დაჯილდოება; დ) ერთჯერადი (ფულადი) პრემიის გაცემა; ე) დისციპლინური პასუხისმგებლობის ზომის ვადაზე ადრე მოხსნა.

ინდიკატორი 3.1.2.6. სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N8 ადამიანური რესურსების მართვის პოლიტოკის დოკუმენტი

დანართი N 18 წახალისება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

1. სკოლა აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები;
2. პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად;
3. სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას;
4. სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან;
5. წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას გააჩნია ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი,რომლის მე-5 მუხლი განსაზღვრავს პერსონალის პროფესიული განვითარების მექნიზმებს.კერძოდ ამ მუხლის ერთ-ერთი პუნქტის თანახმად სკოლა პერსონალის პროფესიული განვითარების მიზნით ადგენს თანამშრომელთა საჭიროებებს სხვადასხვა ინსტრუმენტებით და ამ შედეგების ანალიზის საფუძველზე ანხორციელებს პროფესიული განვითარების სტრატეგიებს.

ინდიკატორი 3.2.1.1. სტანდარტს შეესაბამება

2.პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად; სკოლამ წარმოადგინა პროფესიული განვითარების გეგმები, სადაც გაწერილია საჭიროებებიდან გამომდინარე რა აქტივობების განხორციელება სურთ სასწავლო წლის განმავლობაში.

ინდიკატორი 3.2.1.2. სტანდარტს შეესაბამება

3.სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას.კერძოდ დირექტორის ბრძანება (ბრ.Z N 1/k-29 27/02/2023) შექმნილია ხარისხის განვითარების და პროფესიული მხარდამჭერი ჯგუფი სასკოლო საზოგადოების წევრებისგან. ჯგუფს გააჩნია დებულება,რომლის საფუძველზე კითხვარების და სხვადასხვა ინსტრუმენტების გამოყენებით დგინდება სკოლის და პერსსონალის საჭიროება და მათზე დაყდნობით დგება სამუშაო გეგმა,რომლის მონიტორინგი მიმდინარეობს დირექციის მიერ.

ინდიკატორი 3.2.1.3. სტანდარტს შეესაბამება

4.როგორც ადგილზე გასაუბრებისას დადგინდა სკოლაში შექმნილია ურთიერთთანამშრომლობის გარემო ახალი თანამშრომლის მიღებისას დირექციის წარმომადგენელი აცნობს სკოლის წესდებას.სასკოლო გარემოს და ეხმარება ადაპტაციის პროცესში.სკოლა ხშირად აწყობს არასასკოლო გარემოში შეხვედრებს ,რაც ხელს უწყობს მეგობრული და ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული გარემოს შექმნას.

ინდიკატორი 3.2.1.4. სტანდარტს შეესაბამება

5.სკოლა შექმნილი აქვს ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტი ,რომელიც უზრუნველყოფს პერსონალის განვითარებისთვის საჭირო ინიციატივებს.სკოლამ წარმოადგინა ურთიერთდასწრების ოქმები და კრიტერიუმებზე დაფუძნებული უკუკავშირი რაც ხელს უწყობს მათ კარიერულ წინსვლას და ინიციატივების წახალისების პროცესს.

ინდიკატორი 3.2.1.5. სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N8 ადამიანური რესურსების მართვის დოკუმენტი

დანართი N 20 ხარისხის უზრუნველყოფა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესის მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ეფუძნება პროცესულ მიდგომას და ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის ციკლის შესაბამისად;

2. იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები;
3. სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა;
4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის საქმიანობის მართვა ეფუძნება ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტს,რომლის მიზანია ორგანიზაციის თანამშრომელთა საქმიანობის ისე დაგეგმვა და წარმართვა,რომ უზრუნველყოფილი იყოს სკოლის წინაშე არსებული მიზნების მიღწევა.SWOT ანალიზის გამოყენებით დგინდება თანამშრომელთა ძლიერი მხარეების დადგენა და მათზე დაყდნობით გასავითარებელი მხარის მინიმუმამდე დაყვანა.

ინდიკატორი 3.3.1.1. სტანდარტს შეესაბამება

2.სკოლის შინაგანაწესსა,თითოეულ პედაგოგთან გაფორმებული ხელშეკრულებებში,ასევე სკოლის მიერ დამტკიცებულ თანამედებობრივ ინსტრუქციებში აღწერილია საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი ,ძირითადი და დამხმარე პროცესები.

ინდიკატორი 3.3.1.2. სტანდარტს შეესაბამება

3.სკოლაში თანამშრომლის,მოსწავლის,მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის გასაჩივრების პროცედურები გარანტირებულია კანონმდებლობის შესაბამისად.კერძოდ ფინქციონირებს სამეურვეო საბჭო,დისციპლინური კომიტეტი,მოსწავლეთა თვითმმართველობა.სკოლის შინაგანაწესი გამოკრულია საინფორმაციო დაფაზე. სკოლის ვებ გვერდზე განთავსებულია

მოსწავლეთა მიერ გასაჩივრების ინსტრუქცია, შინაგანაწესი.სკოლამ ადგილზე წარმოადგინა დოკუმენტი,რომელიც განსაზღვრავს გასაჩივრების პროცედურებს.აღნიშნული დოკუმენტი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორი 3.3.1.3. სტანდარტს შეესაბამება

4.სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრის კანონიერი უფლება სკოლის შინაგანაწესის,ხელშეკრულებების,თანამდებობრივი ინსტრუქციებით გაწერილი უფლება-მოავლეობების საშუალებით.სკოლაში ფუნქციონირებს მრჩეველთა საბჭო,რომელიც ასევე უზრუნველყოფს თითოეული წევრის უფლებების დაცვას.

ინდიკატორი 3.3.1.4. სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

.დანართი N21 შინაგანაწესი

დანართი N 22 სკოლის ვებ გვერდი

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

1. სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები;
2. უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებული სასკოლო საზოგადოების ინფორმირების,უკუკავშირის მიღების მექანიზმები.კერძოდ სკოლა ყოველი სემესტრის ბოლოს“ კმაყოფილების კითხვარის“მეშვეობით ადგენს მოსწავლის,მშობლის და მასწავლებლის ადგენს სკოლის მიმართ თითოეული რგოლის დამოკიდებულებას და მასზე დროულ და მიზნობრივ რეაგირებას.

ინდიკატორი 3.3.2.1. სტანდარტს შეესაბამება

2სკოლაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების სასკოლო ცხოვრებაში ჩართულობა სამეურვეო საბჭოს,პედსაბჭოს,დისციპლინური კომიტეტის,მოსწავლეთთა თვითმმართველობის და მრჩეველთა საბჭოების არსებობით და მათი მიზნობრივად ფუნქციონირებით.

ინდიკატორი 3.3.1.2. სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N15 კმაყოფილების კითხვარი

დანართიN 28 მოსწავლეთთა თვითმმართველობა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

1. სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, მათ შორის საგანგებო სიტუაციებში რეაგირებას და პირველადი დახმარების აღმოჩენას;
2. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას;
3. სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს;
4. სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას;
5. სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას;
6. სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები;
7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას.კერძოდ სკოლას ჰყავს 4 მანდატური, 13 შიდა და 8 გარე კამერა.ადგილზე გასაუბრებისას დადგინდა,რომ სკოლა გეგმავს კიდევ მეტი უსაფრთხოების მიზნით დაამონტაჟოს კამერები კიბის უჯრედებზე.დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი და უკონტაქტო დათვალიერებაზე პასუხისმგებელი პირები.სკოლაში შექმნილია საგანგებო შტაბი და დამტკიცებულია საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა,რომელიც შეთანხმებულია საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან 2023 წლის 19 ივნისს.სკოლას აქვს აღჭურვილი სამედიცინო კაბინეტი და ყავს კვალიფიციური ექიმი.სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს შენობის მდგრადობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია,თუმცა წერილი სამხარაულის საექსპერტო ბიუროში შენობის მდგრადობის დადგენის მიზნით, გაგზავნილია 2023 წ.4 ივლისს. სკოლამ შესაბამისობის გეგმის ფარგლებში შენობის მდგრადობის დოკუმენტის მიღების ვადად განსაზღვრა 2024 წლის 4 ივლისი

ინდიკატორი 3.4.1.1. სტანდარტს მეტწილად შეესაბამება

2,სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას.სკოლის მანდატურების,მორიგე მასწავლებლების და სკოლაში არსებული მრჩეველთა საბჭოს მიერ.სკოლის დირექცია აწყობს შეხვედრებს მართლწესრიგის ოფიცრებთან პრევენციული ღონისძიებების გატარების მიზნით.

ინდიკატორი 3.4.1.2. სტანდარტს შეესაბამება

3.სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო გარემოს.კერძოდ სკოლას განსაზღვრული აქვს რეფირებაბზე პასუხისმგებელი პირი და რეფერირების განხორციელების შიდა პროცედურები.სკოლას ჰყავს ფსიქოლოგი,რომელიც აქტიურად არის ჩართული სირთულეების შემთხვევაში არსებული პრობლემის გადაწყვეტის საკითხებში.

ინდიკატორი 3.4.1.3. სტანდარტს შეესაბამება

4.სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას.კერძოდ სკოლას ჰყავს 5 დამლაგებელი,რომელთა ხელშეკრულებით განსაზღვრული მოვალეობების შესრულებას მონიტორინგს უწევს სკოლის ექიმი და საჭიროების შემთხვევაში რეკომენდაციებს აწვდის დირექციას.სკოლას განსაზრვრული ჰყავს სანიტარულ ჰიგიენური პირობების დაცვასა და საჭირო მარაგების უზრუნველყოფაზე პასუხისმგებელი პირი.სკოლას მოსწავლეთა რაოდენობიდან გამომდინარე მათი უსაფრთხოების მიზნით საქართველოს ჯანდაცვის მინისტრის ბრძანება N 41 -ის შესაბამისად რეკომენდირებულია ყავდეს 2 ექიმი.სკოლამ ამ ეტაპზე დაიმტკიცა მეორე ექიმის შტატი და გამოცხადებული აქვს კონკურსი.

ინდიკატორი 3.4.1.4. სტანდარტს შეესაბამება

5.სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას,კერძოდ განსაზღვრულია სკოლის დირექტორის ბრძანების პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მექანიზმები,რომელიც სრულად არეგულირებს ამ პროცესს.

ინდიკატორი 3.4.1.5. სტანდარტს შეესაბამება

6.სკოლის მიერ შემუშავებული და დამტკიცებული პერსონალურ მონაცემთა დაცვის წესი და მექანიზმები სრულად არეგულირებს მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვას.

ინდიკატორი 3.4.1.6. სტანდარტს შეესაბამება

7. სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის.კერძოდ სკოლას აქვს შემუშავებული უსაფრთხოების დაცვის პოლიტიკის დოკუმენტი,რომლის მიზანია შექმნას მოსწავლის,მასწავლებლისა და თანამშრომლის სიცოცხლისა და ჯანმრთელობის უსაფრთხო გარემო.ამ დოკუმენტის მე-8 მუხლი განსაზღვრავს შინაგანაწესის დაცვის მონიტორინგს.

ინდიკატორი 3.4.1.7. სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

.დანართი N 29 უსაფრთხოება

დანართი 8 სახანძრო უსაფრთხოება

დანართი 9 წერილი სამხარაულის ბიუროს

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

1. სკოლა უზრუნველყოფს საგანმანთლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით;
2. დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის;
3. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს;
4. სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას;
5. სკოლას გააჩნია კურიკულუმით განსაზღვრული საჭირო რესურსები (მცირეკონტიგენტიანი სკოლა/პროგრამის განხორციელების ადგილი უფლებამოსილია უზრუნველყოს საჭირო რესურსებზე წვდომა).

ამ დოკუმენტის მიზნებისათვის მცირეკონტინგენტიანი სკოლა არის დაწესებულება, რომელსაც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ავტორიზაციის საბჭოს გადაწყვეტილებით განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული ოდენობა/მოთხოვნილი ზღვრული ოდენობა კონკრეტულ ლოკაციაზე განესაზღვრება 169 ან ნაკლები მოსწავლით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის შესაბამის ინფრასტრუქტურას და მატერიალურ რესურს.კერძოდსკოლა განთავსებულია 9203 კვ.მ მიწის ნაკვეთზე განთავსებულ 2233 კვ.მ ფართის შენობაში,35 საკლასო ოთახით.სკოლას აქვს საგანმანათლებლო მიზნების მისაღწევად საჭირო ტექნიკა და რესურსი.(21 კომპიუტერი,75 ლეპტოპი,7 პრინტერი 12 პროექტორი)რომლებიც განთავსებულია შესაბამის ლაბორატორიებსა და საკლასო ოთახებში და ხელმისაწვდომია ნებისმიერი მასწავლებლისთვის სკოლაში ფუნქციონირებს საჭირო რესურსით აღჭურვილი ბიბლიოთეკა.

ინდიკატორი 3.51.1. სტანდარტს შეესაბამება

2 სკოლის მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია როგორც მოსწავლის ,ისე ნებისმიერი მასწავლებლისთვის.სკოლას შემუშავებული აქვს ბიბლიოთეკის სრგებლოგის,კომპიუტერული ლაბორატორიის სარგებლობის და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიების სარგებლობის წესები. (სკოლაში ცალ-ცალკე ფუნქციონირებს ქიმიის,ფიზიკის და ბიოლოგიის ლაბორატორიები)..

ინდიკატორი 3.5.1.2. სტანდარტს შეესაბამება

3.სკოლის ადგილზე დათვალიერებისას და სასკოლო საზოგადოების წევრებთან გასაუბრებით დადგინდა,რომ სასკოლო გარემო ხელს უწყობს ნებისმიერი მოსწავლის ადაპტაციის პროცესს.როგორც ფიზიკური ისე ემოციური კუთხით.სკოლაში რეალურად ინკლუზიური გარემოა.კერძოდ,სკოლას აქვს რესურსებით უზრუნველყოფილი რესურს ოთახი..სკოლის შენობის შესასვლელში არის პანდუსი მაგრამ თვითონ შენობაში არ აქვს ადაპტირებული ტუალეტი(.ამ ეტაპზე სკოლას არ ყავს ეტლით მოსარგებლე არცერთი მოსწავლე).სკოლის ტერიტორიაზე 2024 წლიდან იწყება თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი 400 მოსწავლეზე გათვლილი კორპუსის მშენებლობა.სკოლამ შესაბამისობის გეგმის ფარგლებში ადაპტირებული ტუალეტის დასრულების ვადად განსაზღვრა 2023 წლის 31 ოქტომბერი.

ინდიკატორი 3.5.1.3. სტანდარტს მეტწილად შეესაბამება

4.სკოლის ტერიტორია და ინფრასტრუქტურა იძლევა იმის საშუალებას,რომ სკოლა ასრულებდეს სოციო კულტურულ სივრცეს.სკოლის ტერიტორიის გამწვანებაში აქტიურად მონაწილეობენ მოსწავლეები და მათი მშობლები.სკოლის ეზოში ეწყობა ფილმების ჩვენება და სხვადასხვა სახის სპორტული აქტივობები.

ინდიკატორი 3.5.1.4. სტანდარტს შეესაბამება

5.სკოლას გააჩნია საგნობრივი კურიკულუმის მიზნების მისაღწევი რესურსი,კერძოდ მოწყობილი და ყველასთვის ხელმისაწვდომია კომპიუტერული და საბუნებისმეტყველო ლაბორატორიები,ბიბლიოთეკა აღწურვილია ყველა საჭირო სახელმძღვანელოთი და ფუნქციონირებს დირექტორის ბრძანებით შექმნილი საბიბლიოთეკო მუშაობის წესით.

ინდიკატორი 3.5.1.5. სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

დანართი N10 ბიბლიოთეკის სარგებლობის წესი

დანართი N37 მატერიალური რესურსით სარგებლობის წესი

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☒ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

1. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას;
2. ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1.სკოლის ტექნოლოგიური ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს როგორც ადმინისტრაციულ ისე სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას. სკოლას აქვს 102 კომპიუტერი/ლეპტოპი,12 პროექტორი, რომლებსაც მოსწავლეები და თანამშრომლები თავისუფლად სკოლას აქვს მაგთის ციფრული ოთახი,რომელსაც იყენებენ საგანმანათლებლო მიზნებისთვის. სკოლა სრულად არის დაფარული Wi-Fi-ით. სკოლას აქვს პერსონალური მონაცემების და ინფორმაციული უსაფრთხოების დაცვის მექანიზმი. სკოლას აქვს დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა (პროგრამული უზრუნველყოფა). სკოლას აქვს საკომუნიკაციო სივრცე (ინტერნეტზე წვდომა, სოციალური ქსელი და სხვა)

ინდიკატორი 3.6.1.1. სტანდარტს შეესაბამება

2.სასკოლო საზოგადოების ნებისმიერი წევრისთვის ინფორმაციული ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია სკოლის მიერ შემუსავებული წესების შესაბამისად.კერძოს სკოლას შემუსავებული აქვს ტექნიკური რესურსების გამოყენების განრიგი და ასევე მატერიალური რესურსების სარგებლობის წესი.

ინდიკატორი 3.6.1.2. სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N 37 მატერიალური ინფრასტრუქტურის სარგებლობის წესი

3.6.2 სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

1. სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი;
2. სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა;
3. სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში;
4. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლამ წარმოადგინა დირექტორის ბრძანებით დამტკიცებული, კანონმდებლობის შესაბამისი, საქმისწარმოების წესი.ამ წესის შესაბამისად საქმისმწარმოებელთან გაფორმებულხელი ხელშეკრულება განსაზღვრავს ამ პროცესის სწორად ფუნქციონირებას.კერძოდ სწორად და მიზნობრივად ახდენს შემოსული და გასული კორესპოდენციების აღრიცხვას და რეაგირებას.

ინდიკატორი 3.6.2.1 სტანდარტს შეესაბამება

2.სკოლის მართვის პროცესში დოკუმენტბრუნვის პროცესი უზრუნველყოფილია eflow-ს და eschcool.emis.ge-ის მეშვეობით.ამ

პროცესის ნორმალურ ფუნქციონირებაზე პასუხისმგებელია საქმისმწარმოებელი და საინფორმაციო მენეჯერი.

ინდიკატორი 3.6.2.2 სტანდარტს შეესაბამება

3. ვიზუალური დათვალიერების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში,სადაც სრულყოფილად ასახავს ინფორმაციას კანონმდებლობით დადგენილი წესით და ვადებით. სკოლის პროფილის, პერსონალისა და მოსწავლეების, მათი მშობლების შესახებ ინფორმაცია ასახულია eschool.emis.ge ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში, შევსებულია განათლების მართვის საინფორმაციო სისტემის ყველა სავალდებულო ველი. შესაბამისად აღნიშნულ სისტემაში ადმინისტრატორის ფუნქციით დირექტორთან ერთად პასუხისმგებელია საქმეთა მმართველი.

ინდიკატორი 3.6.2.3 სტანდარტს შეესაბამება

4. ინტერვიუირების შედეგად დადგინდა, რომ სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის ნაწილში სკოლა ანგარიშვალდებულია სამეურვეო საბჭოსა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წინაშე მოთხოვნის შესაბამისად. სამეურვეო საბჭოს კონტროლის ძირითადი მექანიზმი არის ყოველი წლის 10 დეკემბერს დირექტორის ანგარიშის მოსმენა, სადაც დირექტორი წარადგენს წლიურ ანგარიშს სკოლაში მიმდინარე ყველა მნიშვნელოვან პროცესთან დაკავშირებით ამომწურავად. სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოების ინფორმირებასა და ეფექტურ კომუნიკაციას საკომუნიკაციო არხების საშუალებით სკოლის საქმიანობისა და განხორციელებული პროგრამების შესახებ.
შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული შემოსული წერილებზე რეაგირების, მოსწავლეთა მობილობის განაცხადებზე რეაგირების შესწავლის საფუძველზე დასტურდება, რომ წერილები წაკითხულია და სტატუსი (გავეცანი, შევასრულე) მინიჭებული აქვს ადრესატის მიერ, რეაგირება/პასუხი განხორციელებულია ვადების დაცვით, რაც ეფექტურ უკუკავშირის და თანამშრომლობის დამადასტურებელია.

ინდიკატორი 3.6.2.4 სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N 39 საქმისწარმოების წესი

დანართი N40 საჯარო ინფორმაციის გამოქვეყნება

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

1. სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით;
2. სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას;
3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად;
4. სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას;
5. ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია (განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას ვებ გვერდის Facbook გვერდის და სოციალურ ქსელში შექმნილი ჯგუფების საშუალებით.სკოლის ვებ გვერდის მისამართია skola 133.ge სასკოლო საზოგადოების ნებისმიერი წევრისთვის ხელმისაწვდომია სკოლის საჯარო ინფორმაცია.რაც შეეხება ინფორმაციას აკადემიური მოსწრების და არსებობის შემთხვევაში პრობლემის შესახებ მშობლებს მიეწოდებათ ინდივიდუალურად შეხვედრის,სატელეფონო საუბრის თუ ელექტრონული ჟურნალის საშუალებით.

ინდიკატორი 3.6.3.1 სტანდარტს შეესაბამება

2. სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან. საგანმანათლებლო საქმიანობაზე კონტროლის ნაწილში სკოლა ანგარიშვალდებულია სამეურვეო საბჭოსა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს წინაშე მოთხოვნის შესაბამისად. სამეურვეო საბჭოს ძირითადი მექანიზმი არის ყოველი წლის 10 დეკემბერს დირექტორის ანგარიშის მოსმენა, სადაც დირექტორი წარადგენს წლიურ ანგარიშს. სკოლის ვებ გვერდზე განთავსებულია სრული ინფორმაცია სკოლის საქმიანობისა და განხორციელებული

პროგრამების შესახებ. შემთხვევითობის პრინციპით შერჩეული შემოსული წერილებზე რეაგირების, მოსწავლეთა მობილობის განაცხადებზე რეაგირების შესწავლის საფუძველზე დასტურდება, რომ წერილები წაკითხულია და სტატუსი (გავეცანი, შევასრულე) მინიჭებული აქვს ადრესატის მიერ, რეაგირება/პასუხი განხორციელებულია ვადების დაცვით, რაც ეფექტურ უკუკავშირის და თანამშრომლობის დამადასტურებელია

ინდიკატორი 3.6.3.2 სტანდარტს შეესაბამება

3. საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად; სკოლა ახდენს რეაგირებას სხვადასხვა საინფორმაციო წყაროდან შემოსულ უკუკავშირზე, რომელიც ეხმრება სკოლას დაგეგმოს რეაგირების გზები მიღებულ უკუკავშირზე, რათა გააუმჯობესოს საქმიანობის ხარისხი.

ინდიკატორი 3.6.3.3 სტანდარტს შეესაბამება

4.სკოლას გააჩნია აქტიური და ინფორმაციული ვებ გვერდი,რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე.

ინდიკატორი 3.6.3.4 სტანდარტს შეესაბამება

5.სკოლის ვებ გვერდზე განტავსებულია სკოლის მისია,ხედვა, ღირებულებები.სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია,ყველა ის აქტივობა რასაც სკოლა ახორციელებს მიმდინარე სასწავლო წელს.

ინდიკატორი 3.6.3.5. სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N 22 სკოლის საინფორმაციო გვერდები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები

3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

1. სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება;
2. სკოლას აქვს ფინასური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლამ წარმოადგინა 2023 წლის ბიუჯეტის პროექტი. სკოლა ვაუჩერული დაფინანსების გარდა იღებს შემოსავალს ეკონომიკური შემოსავლებიდან. გაიჯარებული ფართებიდან. შემოსული თანხა ხმარდება სხვადსხვა საჭიროებებს. სკოლის ბიუჯეტი მტკიცდება ყოველი კალენდარული წლის ბოლოს სამეურვეო საბჭოს მიერ. ვიზიტის დროს, მატერიალური რესურსების დათვალიერებისას გამოიკვეთა, რომ სკოლის ფინანსები უზრუნველყოფენ კომუნალურ ხარჯებს: ელექტროენერგიის, წყლის მოწოდების, დასუფთავების და ასევე აქტიურად ხმარდება სკოლის როგორც ინფრასტრუქტურულ ისე რესურსების განვითარების პროცესებს.

ინდიკატორი 3.7.1.1 სტანდარტს შეესაბამება

2. სკოლის დირექტორი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესაბამისად შეიმუშავებს სკოლის ბიუჯეტს. ბიუჯეტში ასახულია სასკოლო საზოგადოების წევრების საჭიროებები და პრიორიტეტები; სკოლის ბიუჯეტი განხილულია პედსაბჭოზე და დამტკიცებულია სამეურვეო საბჭოს მიერ. სკოლა ყოველი წლის 10 დეკემბერს წარუდგენს სამეურვეო საბჭოს ფინანსურ ანგარიშს. სკოლის ფინანსების განკარგვა მკაცრად კონტროლდება პირველ რიგში დირექტორის ხოლო შემდეგ სამეურვეო საბჭოს მიერ. ყოველი წლის ბოლოს სამეურვეო

საბჭო ამტკიცებს სკოლის ბიუჯეტს, რომელსაც შემდგომში განკარგავს სკოლა. დამტკიცებული ჩარჩოების შესაბამისად. შესყიდვების გეგმა შედგენილია ბაზრის კვლევის საფუძველზე, სკოლას ბრძანებით განსაზღვრული ჰყავს ბაზრის კვლევასა და შესყიდვების გეგმის ცვლილებაზე პასუხისმგებელი პირი. ფინანსური რესურსები მართვა ხდება ეფექტიანად სკოლას შემუშავებული აქვს სახელმწიფო შესყიდვების განხორციელების წესი ყოველთვური ანგარიში და საპროგნოზო ბიუჯეტი, რომელშიც საჭიროებისამებრ შედის ცვლილებები.

ინდიკატორი 3.7.1.2. სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N 42 ბიუჯეტი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1 მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

1. სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა;

2. მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოებასთან;
3. მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის მარეგულირებელი წესები, რომლის გაცნობაც ხდება დამრიგებლების მიერ და რომლის მიზანია თითოეულმა მოსწავლემ და მისმა წარმომადგენელმა თავი იგრძნოს უსაფრთხოთ.მოსწავლის უფლებების დაცვა ასევე უზრუნველყოფილია სკოლის შინაგანაწესის და მშობელსა და სკოლას შორის გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე.

ინდიკატორი 4.1.1.1 სტანდარტს შეესაბამება

2.მოსწავლის უფლებების დაცვის რეგულაციები გვხვდება ყველა საკლასო ოთახსა თუ დერეფანში და გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ რაც დასტურდება მოსწავლეთა მიერ განხორციელებული პროექტების და იმ სასკოლო გარემოს საშუალებით რომლეიც სკოლის მთელ ტერიტორიაზე იგრძნობა.

ინდიკატორი 4.1.1.2 სტანდარტს შეესაბამება

3.სკოლასა და მოსწავლის კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭირვალე და მკაფიო ხელშეკრულება ,რომელშიც გაწერილია თითოეული მათგანის უფლება-მოვალეობები.

ინდიკატორი 4.1.1.3 სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N 25 გასაჩივრების პროცედურა

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

1. სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები;
2. სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს;
3. სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი;
4. სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას შემუშავებული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის,საფეხურის დაძლევის,მობილობის,სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი,რომელიც სრულ შესაბამისობაშია კანინმდებლობასთან და ინთვალისწინებს მოსწავლეთა ინტერესებს.

ინდიკატორი 4.1.2.1 სტანდარტს შეესაბამება

2.სკოლა სრულად იცავს როგორც კანინმდებლობის შესაბამის,ისე სკოლის მიერ მიღებული წესის მიხედვით განსაზღვრულ მექანიზმებს.ამ დოკუმენტების შესაბამისად მიმდინარეობს ნებისმიერი კლასის მოსწავლის ჩარიცხვა, როგორც მობილობის ,ისე განსხვავებულ ვადებში.ასევე კანონმდებლობის საფუძველზე მიმდინარეობს მოსწავლის სტატუსის აღდგენის თუ შეჩერების პროცედურები.

ინდიკატორი 4.1.2.2. სტანდარტს შეესაბამება

3.სკოლისმიერ განსაზღვრული მომსახურების სახეები,პირობები,პროგრამები და მათი მომსახურებისთვის დადგენილი საფასური წარმოადგენს სასკოლო სასწავლო გეგმის ნაწილს,რომელიც გაზიარებულია და ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების მიერ პედაგოფიური საბჭოს,სამეურვეო საბჭოს,მოსწავლეთათვითმმართველობის,სადამრიგებლო პროგრამების საშუალებით.ამ მომსახურების დეტალები გაწერილია შესაბამისი მომსახურების ამსახველ ხელშეკრულებებში.სკოლაში ამ ეტაპზე ფუნქციონირებს-კალათბურთის,მუსიკის,ხელოვნების-წრეები და „მომავლის თაობა“,“თემიდა“ „ეკო,“ და“ თავისუფალი აზროვნების“ კლუბები.

ინდიკატორი 4.1.2.3 სტანდარტს შეესაბამება

4.სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული.ამ ინფორმაციის მიწოდება ხდება დამრიგებლების მიერ როგორც სადამრიგებლო პროგრამების,ისე ინდივიდუალური შეხვედრების დროს.ასევე ინფორმაცია განთავსებულია სკოლის ვებ გვერდზე.

ინდიკატორი 4.1.2.4. სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

დანართი N4 სკოლის ვებ გვერდი

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

1. სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი;
2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან;
3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად;
4. სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით;
5. სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას;
6. მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლას მიღებული აქვს მოსწავლის გარემოსთან ადაპტაციის დოკუმენტი,რომლის მიზანია ხელი შეუწყოს როგორც პირველ კლასელის ისე ნებისმიერი კლასის მოსწავლის ადაპტაციის პროცესს.ამ დოკუმენტში გაწერილია როგორც წარმატებული ადაპტაციის ,ისე დეზაპტაციის ნიშნები და მასზე რეაგირების მექანიზმები.

ინდიკატორი 4.2.1.1 სტანდარტს შეესაბამება

2.სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს ნებისმიერი მოსწავლის ადაპტაციის პროცესს.კერძოდ პირველკლასელთა შემთხვევაში ეწყობა შეხვედრები მშობლებთან,სადაც დამრიგებლები მოსწავლეებთან ერთად აცნობენ სასკოლო გარემოს და

სკოლი წესებს.სკოლის ძლიერ მხარეს წარმოადგენს არაფორმალური განათლება,რაც ეხმარება მოსწავლეების ადაპტაციის პროცესს.

ინდიკატორი 4.2.1.2 სტანდარტს შეესაბამება

3.სასკოლო საზოგადოებასთან გასაუბრებისას და წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობის პროცესში გამოვლინდა მოსწავლე აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად მუდმივად იღებს მხარდაჭერას,როგორც კომპლექსური დავალებების შესრულების პროცესში,ისე სემესტრული გამოცდების დანიშვნის ან წლიური თუ ექსტერნის გამოცდების დროს

ინდიკატორი 4.2.1.3 სტანდარტს შეესაბამება

4.სკოლაში ნებისმიერ მოსწავლეს აქვს საშუალება მიიღოს მხარდაჭერა კანონმდებლობით განსაზღვრული უფლებების რეალიზებისთვის.აღნიშნული უფლების გამოყენება უზრუნველყოფილია სკოლის შინაგანაწესით,მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულებით,უსაფრთხო სკოლის დაცვის დოკუმენტით,ამ დოკუმენტის მიზანია ბავშვთა უფლებების დაცვა მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით.

ინდიკატორი 4.2.1.4. სტანდარტს შეესაბამება

5.სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი არაფორმალურ აქტივობებს მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას; კერძოდ სკოლაში მოსწავლეთა თვითმმართველობის ინიციატივით ფუნქციონირებს შემდეგი კლუბები:“მომავლისთაობა“,“თემიდა“ „ეკო“ და თავისუფალი აზროვნების კლუბი“სასკოლო გარემოს გაცნობისას დადასტურდა რომ სკოლაში არაფორმალური განათლება და მოსწავლეთა თვითმმართველობა აქტიურია.სკოლა ჩართულია არაერთ პროექტში.

ინდიკატორი 4.2.1.5. სტანდარტს შეესაბამება

6.მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას.კერძოდ სკოლამ წარმოადგინა კმაყოფილების კითხვარები და ამ გამოკითხვის შედეგების ანალიზი.გამოკითხულია 610 მოსწავლე,90

მასწავლებელი,1100 მშობელი და 18 პერსონალი.ანალიზის შედეგად დადგინდა რომ მიუხედევად რიგი გამოწვევებისა სკოლის მუშაობა დიდი უმრავლესობით შეფასდა დადებითად.როგორც ადგილზე გასაუბრებისას დადგინდა ამ გამოწვევების მინიმუმამდე დაყვანის სტრატეგიების შემუშავება ხდება სამუშაო ჯგუფების მიერ და გათვალისწინებულია ახალი სტრატეგიული სამოქმედო გეგმის შედგენის დროს.

ინდიკატორი 4.2.1.6. სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N 38 მოსწავლეთა ადაპტაციის წესი

დანართი N 28 მოსწავლეთა თვითმმართველობა

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

1. კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის;
2. სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით;
3. სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლა მუდმივად აწვდის ინფორმაციას სკოლის საბაზო და საშუალო საფეხურის მოსწავლეებს კარიერული დაგეგმვის და პროფესიული ორიენტაციის შესახებ როგორც სადამრიგებლო პროგრამის ისე სხადასხვა კოლეჯებთან გაფორმებული მემორანდუმის ფარგლებში.სკოლას გაფორმებული აქვს ორ კოლეჯთან კერძოდ კოლეჯი „მერმისი“ და კოლეჯი „კავკასიონთან“

ინდიკატორი 4.2.2.1. სტანდარტს შეესაბამება

2.სკოლა მუდმივად აწვდის ინფორმაციას მოსწავლეებს და მათ წარმომადგენლებსზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომ კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირების.სადამრიგებლო საათის ფარგლებში სკოლა საშუალო საფეხურის მოსწავლეებისთვის გეგმავს ინფორმაციულ ექსკურსიებს სხვადასხვა საწარმოში.ასევე განხორციელდა ილიას უნივერსიტეტის ეკოლოგიის ინსტიტუტში ვიზიტი STEMტურის ფარგლებში.

ინდიკატორი 4.2.2.2 სტანდარტს შეესაბამება

3.სკოლა მუდმივად აგროვებს ინფორმაციას სკოლის კურსდამთავრებულთა მხრიდან და მათგან მოწოდებულ უკუკავშირს ითვალისწინებს სამომავლო დაგეგმვის პროცესში.

ინდიკატორი 4.2.2.3. სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N15 კმაყოფილების კითხვარი
დანართი N50რემედიაციის პროცედურები

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

1. სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი;
2. სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლამ ხარისხიანი ინკლუზიური განათლების უზრუნველყოფის მიზნით წარმოადგინა ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა,ინკლუზიური განათლების მონიტორინგის ჯგუფის შექმნის ბრძანება და ამ ჯგუფის მიერ გაცემული რეკომენდაციები.სკოლის შენობას გააჩნია შესასვლელი პანდუსი ,თუმცა არ აქვს ადაპტირებული ტუალეტი(სკოლას ამ ეტაპზე არ ყავს გადაადგილების პრობლემის მქონე შშშმ პირი) და ადაპტირებული სასკოლო სივრცე .მაგრამ იგეგმება სკოლის ტერიტორიაზე ახალი თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი 400 მოსწავლეზე გათვლილი შენობის აგება.

ინდიკატორი 4.2.3.1 სტანდარტს შეესაბამება

2.სასკოლო საზოგადოება სრულად ჩართულია სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების პროცესშ.სკოლას ამ ეტაპზე ყავს 37 სსსმ მოსწავლე მათ შორის 6 შშშმ,მათ მხარდაჭერას მთლიან სასკოლო საზოგადოებასთან ერთად უზრუნველყოფს 3 სპეც მასწავლებელი,4 ასისტენტი და ისგ ჯგიფის წევრები.ინდივიდუალური გეგმის შედგენა და მათში არსებული მიზნის მიღწევა ხორციელდება სასკოლო საზოგადოების თანამშრომლობის შედეგად.

ინდიკატორი 4.2.3.2 სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N51 დიფერენცირება

4.2.4. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით.** ***აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანამანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.***

1. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურეობა და სხვა) ხორციელდება შესაბამისი

მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში);

2. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას;
3. შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1.სკოლის მიერ შეთავაზებულია არასავალდებულო სახის შემდეგი მომსახურება გახანგრძლივებული სწავლება,კვების სერვისი და შემდეგი წრეები: კალთბურთის, მუსიკის და ხელოვნების წრეები.ყველა სახის მომსახურება ხორციელდება კანონმდებლობით გათვალისწინებული მარეგულირებლების მხრიდან ნებართვების საფუძველზე.

ინდიკატორი 4.2.4.1. სტანდარტს შეესაბამება

2.სკოლის მიერ შეტავაზებული ნებისმიერი სახის მომსახურების გაწევა ხორციელდება მხოლოდ ნებაყოფილობით და კანონმდებლობის სრული დაცვით და ემსახურება მოსწავლეთა ინტერესებს.

ინდიკატორი 4.2.4.2. სტანდარტს შეესაბამება

3.მომსახურება ხორციელდება კანონმდებლობით განსაზღვრული უფლების ხარჯზე და ამ კანონმდებლობის სრული დაცვით.

ინდიკატორი 4.2.4.3. სტანდარტს შეესაბამება

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

დანართი N 52 კლუბები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*

○ *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული კურიკულუმისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (დაწყებითი საფეხური)	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

2. სასკოლო კურიკულუმი(დაწყებითი საფეხური)

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ქალაქ თბილისის N133 საჯარო სკოლაში დირექტორის 2023 წლის 14.06 N2-217 ბრძანებით დამტკიცებულია კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც აღწერილია, თუ როგორ ხდება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების შესწავლა და კურიკულუმში ასახვა. ამავე დოკუმენტში აღნიშნულია, რომ „კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს“. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში დაწვრილებით არის აღწერილი თუ რა საშუალებებით ხდება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების შესწავლა და კურიკულუმში ასახვა. წარმოდგენილ დოკუმენტებში არის ასევე კითხვარები სკოლის მიერ შეთავაზებული სერვისებით კმაყოფილების შესასწავლად, ასევე ამ გამოკითხვების ანალიზი. სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები აგებულია ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაწერილი პრინციპებისა და მეთოდიკური ორიენტირების შესაბამისად. საგნობრივი სტანდარტები საფეხურეობრივია, მისაღწევი შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე; სწავლის მიზნები ფორმულირდება სტანდარტის შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით; სასწავლო პროცესი იგეგმება თემატურად. თემა წარმოადგენს მოსწავლის გამოცდილებასთან ახლოს მყოფ კონტექსტს საგნობრივი ცოდნის დასამუშავებლად; თითოეული თემის ფარგლებში მუშავდება სტანდარტის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება; სასწავლო პროცესისთვის რესურსები შეირჩევა გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად; სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით; სიღრმისეული სწავლის უზრუნველყოფა ხორციელდება სწავლების კონსტრუქტივისტული მიდგომით, კერძოდ, კურიკულუმის შემუშავებისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნა, სასწავლო მასალის ეტაპობრივად მიწოდება, ახალი საკითხების, ცნებების საფუძვლიანად და განსხვავებულ კონტექსტებში განხილვა, საგანთაშორისი კავშირების გამოვლენა და საერთო ასპექტების დამუშავება; სწავლება ეფუძნება მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გამოწვევას საგანთაშორისი კავშირებით და სწავლების კავშირით მოსწავლის ინტერესებს, შესაძლებლობებს, ღირებულებებს და გამოცდილებას შორის; სწავლება ეფუძნება მოსწავლის ჰოლისტური განვითარების ხედვას პოზიტიური სასკოლო და საკლასო კლიმატის უზრუნველყოფისა / სოციო-ემოციური სწავლის გზით). ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მაღალია მშობელთა ჩართულობა და მოსწავლეთა საჭიროებების თუ ინტერესების გამოკვეთა მათი დახმარებით, გარდა გამოკითხვებისა, ყოველდღიური საუბრებით, ასევე მოსწავლეებზე დაკვირვებით ხორციელდება. კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია დაწყებითი საფეხურის ყველა პედაგოგი. კათედრის სხდომებზე მასწავლებლები წარადგენენ ინდივიდუალურ ხედვას, ხდება კოლეგებთან ერთად მათი განხილვა, უკუკავშირი, გასული წლების გამოცდილების გაზიარება და შეჯერება საბოლოო ვერსიაზე. ასევე დამრიგებლების მეშვეობით ხდება სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებთან კონცეპტუალური იდეების განხილვა გამოწვევებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირების მიზნით. სკოლა აქტიურად იყენებს

სოციალურ ქსელებს იდეების, გამოცდილებების, რეფლექსიების და უკუკავშირის თავმოსაყრელად. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ისინი ერთობლივად აუმჯობესებენ წლის განმავლობაში განხორციელებულ კომპლექსური ბუნების დავალებებს, და ამგვარად შეიმუშავებენ საგნობრივ კურიკულუმებს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კურიკულუმის შემუშავებისას ძირითადი ორიენტირი ეროვნული სასწავლო გეგმა, სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტებია.

ინდიკატორი 2.1.1.1. დაკმაყოფილებულია

2. საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. აღნიშნული მიმართულებით სკოლას მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი აქვს მშობელთა კრების ოქმები, კათედრების სხდომის ოქმები, რომლებიც ადასტურებენ მშობლების და მასწავლებლების მონაწილეობას კურიკულუმის შემუშავების პროცესში. მოსწავლეების ვერბალური გამოკითხვის საშუალებით მასწავლებლები ადგენდნენ და მომავალშიც დაადგენენ მათ ინტერესებს კომპლექსური დავალების თემასა და ტიპებთან დაკავშირებით. მასწავლებლები აკვირდებიან მოსწავლეთა ჩართულობას და აქტიურობას კომპლექსური დავალებების შესრულების პროცესში და გამოჩენილი ინტერესების შესაბამისად არჩევენ კომპლექსური დავალების ტიპს და წარდგენის ფორმას. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის განვითარებაში მასწავლებლების როლის დამადასტურებელი დოკუმენტები: მასწავლებელთა მიერ წლის განმავლობაში განხორციელებული რეფლექსიები, მიგნებები და სასწავლო პროცესის ანალიზი (მათ მიერ მოსწავლეებისთვის შეთავაზებული კომპლექსური დავალებები, მათი შეფასების ნიმუშები, რეფლექსიები და ა.შ.). აღნიშნული დოკუმენტების ანალიზი არის მნიშვნელოვანი წყარო კურიკულუმის რევიზიისთვის. ყველა სასწავლო თუ კლასგარეშე აქტივობა ეფუძნება მოსწავლის უკუკავშირს და მისი გამოცდილების ნაკადს. საგნობრივი კურიკულუმები მრავალფეროვანია თემატური კონტექსტების თვალსაზრისით, ითვალისწინებს მოსწავლის ასაკობრივ და პიროვნულ თავისებურებებს, შეთავაზებული კომპლექსური ტიპის დავალებები წარმოადგენს პრობლემაზე დაფუძნებულ, პროექტული ტიპის დავალებებს, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსწავლეთა უკუკავშირს, თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასებას. კურიკულუმის განვითარებაში განუზომელია სასკოლო ადმინისტრაციის როლი, რაც გამოიხატება როგორც ადმინისტრირებაში, ასევე შინაარსობრივ მხარდაჭერასა და პროცესების მიზნობრივ მართვაში. საკმაოდ მჭიდროა კავშირი ადმინისტრაციასა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებს შორის. ადმინისტრაცია გვევლინება ფუნქციური ლიდერებისა და მათი ინოვაციური იდეების წახალისების მხარდამჭერად. უკუკავშირის მიღება, იდეების გაზიარება და ხელმისაწვდომობა უმთავრესად ხორციელდება პირისპირ და უშუალო კონტაქტების გზით, ასევე სოციალური ქსელებით. სკოლის მიერ მტკიცებულებების სახით წარმოდგენილ სტრატეგიული განვითარების გეგმაში გაწერილია მიმართულებები, რომლის დახვეწასაც გეგმავს სკოლა: სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება, სასკოლო საზოგადოების ჩართულობა, მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება. ამის მიღწევას გეგმავენ ახალი პროგრამების შემუშავება-დანერგვით, სასწავლო პროცესის ხარისხის გაზრდით, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით მოსწავლეებში მოტივაციის გაზრდით, მშობლებთან ურთიერთობის ფორმების დახვეწით, მართვის კოლეგიური ორგანოების გააქტიურებით, დამატებითი სერვისების განვითარებით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები.

ინდიკატორი 2.1.1.2. დაკმაყოფილებულია

3. სსიპ ქალაქ თბილისის N133 საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულნი იყვნენ სასკოლო საზოგადოების წევრები: მასწავლებლები, მშობლები, სკოლის ადმინისტრაცია, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. აღნიშნული მიზნის მისაღწევად კათედრების წევრები ერთმანეთთან თანამშრომლობენ და ერთად შეიმუშავებენ მომდევნო სასწავლო წლის სასწავლო პროგრამას და მისი რეალიზაციისთვის საჭირო აქტივობებს. პედაგოგები თანხმდებიან შესასწავლ თემებზე, ასევე იმაზე, თუ რა საკითხებს და ქვესაკითხებს ასწავლიან თემის ფარგლებში გამოკვეთილი ცნებების გასააზრებლად, რომელ კომპლექსურ დავალებებს განახორციელებენ, რა ძირითადი რესურსები დასჭირდებათ, რა შეფასების ინსტრუმენტებს გამოიყენებენ. კურიკულუმების შემუშავებისას თითოეული მასწავლებლის როლი გაწერილია კათედრების სხდომების ოქმებში, პასუხისმგებელი პირები მინიშნებულია კათედრის სამოქმედო გეგმაშიც. ინტერვიუდან იკვეთება კურიკულუმების შემუშავებაში სასკოლო საზოგადოებისა და დაინტერესებული პირების ჩართულობაც. ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია

4. სსიპ ქალაქ თბილისის N133 საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები (საგნობრივი პროგრამები, სადამრიგებლო საათის პროგრამა, არაფორმალური სწავლების სხვადასხვა საშუალება) ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის. სასკოლო კურიკულუმის გაზიარება ხდება კათედრაზე, პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე. სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით დირექციის ფუნქციებში შედის სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირება და მათი მხრიდან უკუკავშირის მიღების უზრუნველყოფა სხვადახვა არხებით (სკოლის ვებგვერდი, სოციალური მედია, ნაბეჭდი მასალები და სხვა).

ინდიკატორი 2.1.1.4. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- კითხვარი მოსწავლეებისთვის
- სკოლის თვითშეფასების კითხვარი
- შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა;
- კათედრის ოქმები
- პედაგოიური საბჭოს სამუშაო გეგმა;

- 2022-2023 სასწავლო წლის კათედრის სამოქმედო გეგმები
- მშობელთა კრების ოქმები;
- სკოლის ფეისბუქ გვერდი;
- სადამრიგებლო საათის გეგმა;

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს(დაწყებითი საფეხური)

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. დაწყებითი საფეხურისთვის შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზას. ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე. შუალედური მიზნები, შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად, განისაზღვრება სკოლისა და მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებების და არსებული მოცემულობის შესაბამისად. ცნებების საშუალებით გამთლიანებულ მიზნობრივ ორიენტირად არის წარმოდგენილი ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები. კურიკულუმში ინტეგრირებულია მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიები, წახალისებულია რეფლექსია მოსწავლის შესრულებულ სამუშაოზე: რა გამოვიდა კარგად, რატომ, რა იყოს ის ცოდნა და გამოცდილება, რამაც წარმატება მოიტანა, რა ვერ შეძლო, რას შეიძლებოდა ხელი შეეშალა წარმატების გზაზე. უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ბუნების დავალებებს, რომლთა შესრულებასაც მოსწავლის მთლიანპიროვნული ინტეგრირებული გამოცდილება და მაღალი სააზროვნო უნარები სჭირდება. წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში ჩანს, რომ მუშავდება ყველა სამიზნე ცნება, შერჩეული კომპლექსური დავალებები ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე და გათვლილია თითოეული მოსწავლის უნარებსა და შესაძლებლობებზე. აღნიშნული კომპლექსური დავალებები დატვირთულია მრავალფეროვანი

რესურსებითა და აქტივობებით. მოსწავლეს ეძლევა არჩევანის თავისუფლება, სახალისო აქტივობებში მონაწილეობის შესაძლებლობა და პრეზენტაციით საკუთარი თავის წარმოჩენის საშუალება. სკოლას დაწყებით საფეხურზე ჰყავს სსსმ მოსწავლეები, თითოეული მოსწავლისთვის შემუშავებულია ინდივიდიუალური სასწავლო გეგმები და ადაპტირებული კომპლექსური დავალებები.

ინდიკატორი 2.1.2.1. დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, აგრეთვე დირექციასთან, პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კურიკულუმები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, მოსწავლეთა შეფასებისა და მასწავლებლების თვითრეფლექსიის ამსახველი დოკუმენტები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, რადგან კურიკულუმის ჩარჩო ცხრილებში ძირითადად სწორად არის გაწერილი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტით განსაზღვრული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შერჩეულია კომპლექსური დავალებები, შესაბამისი რესურსები, რომლებიც მოსწავლეებს უვითარებს დამოუკიდებელი სწავლის, კრიტიკული აზროვნების, პრობლემების გადაჭრისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარებს, რაც შესაბამისობაშია სიღრმისეული სწავლების პრინციპებთან. სკოლას აქვს კომპლექსური დავალებებით სწავლების გამოცდილება, მოსწავლეების მიერ ახალი ცოდნის მიღება ხდება კონსტრუქტივიზმის პრინციპებზე დაყრდნობით. დაწყებითი საფეხურის საგნებრივი კურიკულუმები ძირითადად ორინეტირებულია მოსწავლეებში 21-საუკუნის გლობალური ფუნქციური უნარების (6 ფუნქციურ -კომპონენტური უნარი) - კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი ნებისყოფა/ნებელობა - განვითარებაზე. მნიშვნელოვანია პროექტული სწავლების გათვალისწინება სასწავლო პროცესში, სკოლამ წარმოადგინა განხორციელებული პროექტების ამსახველი დოკუმენტაცია, სადაც გაწერილია ის ნაბიჯები, რომლებიც მოსწავლეს ხელს უწყობს განივითაროს გლობალურ-ფუნქციური უნარები.

ინდიკატორი 2.1.2.2. დაკმაყოფილებულია.

3. სსიპ ქალაქ თბილისის N133 საჯარო სკოლა განიხილავს მოსწავლეს, როგორც სწავლა-სწავლების აქტიურ სუბიექტს და მიიჩნევს, რომ განათლების უმთავრესი მიზანი მოსწავლის პიროვნულ ძალთა განვითარების ხელშეწყობაა. მასწავლებლებთან გასაუბრებისას და წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით იკვეთება, რომ პედაგოგები იცნობენ და საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკაში იყენებენ მოსწავლეზე მორგებულ დიფერენცირებული სწავლების მიდგომებსა და მოდიფიცირებულ რესურსებს. მოსწავლეებთან მუშაობისას იყენებენ მრავალფეროვან აქტივობებსა და სასწავლო რესურსებს. კურიკულუმებში გაწერილი აქვთ ალტერნატიული აქტივობები. ეფექტურად იყენებენ განმავითარებელ კომენტარს, რაც ხელს უწყობს მოსწავლის განვითარების პროგრესს და ამაღლებს მის შინაგან მოტივაციას. სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა საჭიროებიდან გამომდინარე და მულტიდისციპლინალური გუნდის დასკვნის გათვალისწინებით სსსმ მოსწავლეებს სთავაზობენ ადაპტირებულ დავალებებს. პედაგოგებთან გასაუბრებაზე ასევე აღინიშნა, რომ უნდა გაუმჯობესდეს და დაინერგოს მიდგომა, რომ კლასში მოსწავლეებმა იმუშაონ ერთი და იმავე დავალების სხვადასხვაგვარად ადაპტირებულ ვარიანტზე, თუმცა, ყველა მათგანი ერთსა და იმავე საკითხისა და კონტექსტ-მაგალითს უნდა ეხებოდეს. ეს ხელს შეუწყობს, ერთი მხრივ, საერთო განხილვებსა და მსჯელობებში ყველას ჩართულობას, მეორე მხრივ - განსახილველი საკითხის მრავალმხრივ გააზრებას.

ინდიკატორი 2.1.2.3. დაკმაყოფილებულია.

4. სსიპ ქალაქ თბილისის N133 საჯარო სკოლის დაწყებით საფეხურზე მასწავლებლების მიერ მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობისას იკვეთება, რომ სკოლა იყენებს როგორც განმავითარებელ, ისე განმსაზღვრელ შეფასებას. წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები მოიცავს საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნებთან/ კრიტერიუმთან და მიღწევის საერთო მაჩვენებელთან მიმართებით სწავლის შედეგების აღწერას, განმავითარებელი შეფასება მორგებულია გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. მასწავლებლებს შემუშავებული აქვთ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები (თვითშეფასება, შესასვლელი და გასასვლელი ბილეთები, ურთიერთშეფასება, ჯგუფური მუშაობა ...) რომლებიც ხელს უწყობს გამოავლინონ მოსწავლის განვითარების დინამიკა სამიზნე ცნებებთან მიმართებით. კათედრას წარმოდგენილ კურიკულუმში მოცემული აქვთ კომპლექსური დავალებები. გამომდინარე იქიდან, რომ კომპლექსური დავალება არის გრძელვადიან მიზნამდე მისვლის საშუალება, შეგვიძლია ვთქვათ, რომ მასწავლებლის მიერ გაცემული განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებს. კომპლექსური დავალების პირობები მოიცავს შეფასების კრიტერიუმებს, დაკონკრეტებულს საკითხის/ ქვესაკითხის მიმართ. გასაუბრებაზე დაწყებითი საფეხურის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ შეფასების რუბრიკებს ეტაპობრივად შექმნიან კომპლექსური დავალებების განხორციელების პარალელურადაც.

ინდიკატორი 2.1.2.4. დაკმაყოფილებულია.

5. სკოლას მტკიცებულების სახით წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტი, რომელშიც ყურადღება ეთმობა წინა წლების გამოცდილების კურიკულუმში ასახვას. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, აგრეთვე დირექციასთან, დაწყებითი საფეხურის პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ სწავლების პროცესში ისინი იყენებენ წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირების მეთოდს. საგნობრივი კურიკულუმები შედგენილია გასული სასწავლო წლის გამოცდილების გათვალისწინებით. მასწავლებლები აკეთებენ თვითშეფასებას (ანგარიშს), რომლის საფუძველზეც დგინდება სწავლებისათვის სკოლის საჭიროებები, დგება მომავალი სასწავლო წლის სასწავლო გეგმები. პედაგოგები სისტემატურად ხვდებიან ერთმანეთს და უზიარებენ წინარე გამოცდილებას. აღნიშნავენ, რომ სასკოლო აქტივობებისა და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაციის მოგროვებასა და ანალიზს შეძლებენ სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. ეს შეიძლება იყოს მასწავლებლის პირადი პორტფოლიოს ანალიზი; მოსწავლეთა ნამუშევრების, დავალებების შეფასება და ანალიზი; მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირისა და რეფლექსიის შედეგები, პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის შედეგები და ა.შ. მათი თქმით, აღნიშნული გამოცდილება გათვალისწინებული იქნება 2023-24 სასწავლო წელსაც. კერძოდ, მიმდინარე კურიკულუმის ჩარჩოს შინაარსობრივ ნაწილში ცვლილებები განხორციელდება მოსწავლეთა გამოკვეთილი საჭიროებების მიხედვით, აღნიშნული მიზნის მისაღწევად შემუშავებულია რეფლექსიის/დიაგნოსტირების ინსტრუმენტები, რათა აღნიშნული ცვლილებების განხორციელების შემდეგ მოხდეს მოსწავლეთა მიერ მიღწეული შედეგების ანალიზი სტანდარტის შედეგების მიხედვით.

ინდიკატორი 2.1.2.5. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შეფასების რუბრიკები(განმსაზღვრელი და განმავითარებელი)
- გაკვეთილზე დაკვირვების ფორმა
- გაკვეთილზე დასწრების უკუკავშირი
- შემაჯამებელი დავალების ანალიზი.
- ისგ გეგმა

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება(დაწყებითი საფეხური)
2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლის მიერ მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი დოკუმენტაცია ცხადყოფს, რომ სკოლა დაწყებით საფეხურზე მაქსიმალურად ქმნის მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. ინტერვიუსას პედაგოგებმა ისაუბრეს, რომ სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს, შესაძლებლობებს, ორიენტირებულნი არიან მოსწავლეთა ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე. ამისათვის ირჩევენ შესაბამის სასწავლო მასალას, კომპლექსურ დავალებებს, რესურსებს, აქტივობებს და მეთოდებს. ამით ცდილობენ გაზარდონ როგორც მოტივაცია, ასევე პასუხისმგებლობის შეგრძნება შესასრულებელი დავალების მიმართ. მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით შედგენილი დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები იძლევა მათი შემოქმედებით პროცესში ჩართვის შესაძლებლობას. წარმოდგენილი კომპლექსური შინაარსის დავალებები შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეებს მოახდინონ ცოდნის გამთლიანება, აღნიშნული მიზნის მისაღწევად სკოლაში იგეგმება და ხორციელდება მრავალფეროვანი პროექტები, მიმდინარეობს საკლუბო მუშაობა, მოსწავლეებს აქვთ საშუალება აქტიურად ჩაერთონ შეთავაზებულ აქტივობებში, ფესტივალებსა თუ სხვა ღონისძიებებში და გამოავლინონ საკუთარი გონებრივი, შემოქმედებითი და ფიზიკური უნარები.

ინდიკატორი 2.2.1.1. დაკმაყოფილებულია.

2. . სსიპ ქალაქ თბილისის N133 საჯარო სკოლის დაწყებით საფეხურზე საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა-განხორციელებისას სასკოლო საზოგადოება ცდილობს, გაითვალისწინოს მოსწავლეთა წინარე ცოდნა და გამოცდილება. მასწავლებლები სასწავლო პროცესს წარმართავენ კონსტრუქტივიზმის ხუთივე პრინციპის დაცვით. ყოველდღიურ ცხოვრებისეულ პრაქტიკაზე დაფუძნებულ აქტივობებზე, სასწავლო პროექტებზე და კომპლექსურ დავალებაზე მუშაობა, მოსწავლისთვის სასურველი შემოქმედებითი პროდუქტის შექმნის შესაძლებლობა იძლევა საშუალებას, რომ მოსწავლეებმა მოახდინონ ცოდნათა ორგანიზება და ნაცნობ კონტექსტებში განზოგადება. ახალი ცოდნის აგების უზრუნველსაყოფად პედაგოგები მოსწავლეებს სთავაზობენ მათი ცოდნა-გამოცდილებისთვის მისაწვდომ ე.წ. კონტექსტმაგალითებს (კერძო შემთხვევები, სიტუაციები, ამბები), რომელთა განხილვა-გაანალიზება მათ სამიზნე ცოდნის (ქვესაკითხების, ქვეცნებების, სამიზნე ცნებების) გაგებასა და გათავისებამდე მიიყვანს.

ინდიკატორი 2.2.1.2. დაკმაყოფილებულია.

3. სსიპ ქალაქ თბილისის N133 საჯარო სკოლაში, დაწყებით საფეხურზე, სასწავლო პროცესში კომპლექსური დავალების მიმდინარეობა იმგვარადაა დაგეგმილი, რომ მოსწავლემ გაცნობიერებულად შეძლოს საკუთარი სწავლის მართვა, შეაფასოს და გააკეთოს საკუთარი სწავლის პროცესის მონიტორინგი. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესში მოსწავლეს ეძლევა მკაფიო ინსტრუქციები, განმავითარებელი შეფასება, რის შედეგადაც იგი აცნობიერებს დაშვებულ შეცდომებს და ეძებს გზებს ნაშრომის გასაუმჯობესებლად. მათ დავალების დასრულების შემდეგ ევალებათ პრეზენტაცია, სადაც საუბრობენ, თუ რატომ და როგორ შეასრულეს მოცემული დავალება. რა დაეხმარათ, რა გაუძნელდათ, როგორ მოიქცეოდნენ, თავიდან რომ ასრულებდნენ სამუშაოს. ანუ, განხორციელებული დავალების ერთგვარ რეფლექსიას ახდენენ, რაც მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას უწყობს ხელს. ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ კომპლექსური დავალებების განხორციელების პროცესი მიმდინარეობს აქტიური თანამშრომლობის ფარგლებში. სასწავლო პროცესში მასწავლებლები ფასილიტატორის როლს ირგებენ და მოსწავლეებს მრავალფეროვანი მეთოდების დახმარებით უბიძგებენ ცოდნის აგებისკენ. ინტერვიუს დროს ასევე ხაზი გაესვა იმას, რომ სასწავლო პროცესში წახალისებულია მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილება და ცნობისმოყვარეობა. მხარდაჭერილია მოსწავლის რეფლექსია შესრულებულ სამუშაოზე, წახალისებულია მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი. ამდენად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე.

ინდიკატორი 2.2.1.3. დაკმაყოფილებულია.

4. დაწყებითი საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები დაგეგმილია იმგვარად, რომ აქცენტი კეთდება ცოდნის სამივე კატეგორიის დაუფლებაზე. სასწავლო პროცესში მოსწავლე ამუშავებს კონკრეტულ ფაქტობრივ მასალას, ეცნობა ინფორმაციას, გარდაქმნის მას პროცედურულ ცოდნად და ცოდნის მოქმედებაში გადატანით პირობისეულ ცოდნად აყალიბებს. მოცემული საგნობრივი კურიკულუმები წარმოადგენს პრობლემაზე დაფუძნებული დავალებებისა და აქტივობების განხორციელების გეგმას, სადაც მოსწავლეს უწევს როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის მოძებნა (სასწავლო პროექტებისა და კომპლექსური დავალების პირობიდან გამომდინარე). აღნიშნული დასტურდება განხორციელებული პროექტებითა და მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებებით, რაც აღიწერა პედაგოგებთან გასაუბრების დროს. სასწავლო პროექტებისა და კომპლექსური დავალებების განხორციელების ეტაპები იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსწავლემ პროცესებზე დაკვირვებით გააკეთოს დასკვნები და განახორციელოს კონკრეტული აქტივობები. ბოლო ეტაპზე კი შეძენილი ცოდნა გამოიყენოს საბოლოო პროდუქტის შესაქმნელად. ამდენად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე.
ინდიკატორი 2.2.1.4. დაკმაყოფილებულია.

5. სასწავლო პროცესი დაწყებით საფეხურზე ეფუძნება საგანთა შორის კავშირების წარმოჩენას და დანაწევრებული, ფაქტობრივი ცოდნის გამთლიანების გარდა, ემსახურება ერთი საგნის ფარგლებში მიღებული ცოდნის სხვა საგნის ჭრილში დანახვასა და სამყაროს მთლიანობის აღქმას. სასწავლო პროცესში დიდი ყურადღება ექცევა საგანთაშორის კავშირების დამყარებას და ცოდნის სისტემატიზაციას, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში ტრანსფერის უნარის განვითარებას. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად დაწყებითი საფეხურის პედაგოგები იყენებენ მაორგანიზებელ ცხრილებსა და სქემებს, რაც მოსწავლეებს ეხმარება ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაში.
ინდიკატორი 2.2.1.5. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები
- კომპლექსური დავალებების ნიმუშები

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. (დაწყებითი საფეხური)

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

1. სკოლის მიერ მტკიცებულებების სახით წარმოდგენილ დაწყებითი საფეხურის ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტირებს. მასწავლებლებისთვის მნიშვნელოვანია, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ იყოს გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესურსებს,მასალას) საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექნიზმს) შორის. ამას უზრუნველყოფს კარგად გაწერილი კურიკულუმი. სკოლამ წარმოადგინა საგნობრივი კურიკულუმები, სასწავლო პროექტები, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი. ამ მასალების საფუძველზე ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე (სასწავლო შედეგებზე, სამიზნე ცნებებზე, ქვეცნებებზე, მკვიდრ წარმოდგენებზე). სკოლის პედაგოგებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია შემდეგნაირად: მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხს, ისმება საკვანძო შეკითხვები, განიხილება კომპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს ეხმარება მასალის სიღრმისეულ გააზრებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ დაწყებით საფეხურზე პედაგოგებს გააზრებული და გაცნობიერებული აქვთ, რომ აუცილებელია სასწავლო პროცესი და სასწავლო რესურსები მიემართებოდეს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.
ინდიკატორი 2.2.2.1 შესაბამისობაშია

2. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ დაწყებით საფეხურზე საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას, რადგან პედაგოგები სასწავლო პროცესში საგნობრივი საკითხების შერჩევისას და სწავლებისას გადამწყვეტ უპირატესობას ანიჭებენ მოსწავლის ინტერესებს, საჭიროებებსა და შესაძლებლობებს. დაწყებით საფეხურზე საგნობრივ კურიკულუმებში გაწერილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეთა ამ კუთხით განვითარებასაც ითვალისწინებს. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ, როცა გაკვეთილზე ემპათიის, ზრუნვისა და ტოლერანტობის კულტურული კლიმატია, მაშინ შედეგებიც ბევრად მაღალია. მათ მიერ აღწერილი კლასგარეშე აქტივობები (სხვადასხვა სახის პროექტები, ექსკურსიები, ღონისძიებები, კონკურსები) მოსწავლეს საშუალებას აძლევს, ამოიცნოს საკუთარი ღირებულებები, ძლიერი და სუსტი მხარეები, მართოს ემოციები. ამ მიზნით ისინი ხშირად გეგმავენ პროექტებს, შემეცნებითი ხასიათის ექსკურსიებს, სადამრიგებლო აქტივობებს. მათივე თქმით, მომავალი სასწავლო წლისთვის საგაკვეთილო პროცესის დროს ყურადღებას მეტად გაამახვილებენ არა მხოლოდ საგნობრივ თემატიკაზე, არამედ მოსწავლის მრავალმხრივ/ჰოლისტურ განვითარებაზე, ზემოაღნიშნულის შესაბამისად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლას აქვს მზაობა ხელი შეუწყოს მოსწავლეს ფუნქციურ-კომპონენტური უნარების - შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი, ნებისყოფა/ნებელობა- განვითარებაში.
ინდიკატორი 2.2.2.2 დაკმაყოფილებულია

3. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და დაწყებითი საფეხურის პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლას გააზრებული აქვთ მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობა, მასწავლებლებმა იციან განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების არსი, გააზრებული აქვთ, რომ შეფასება არის მრავალმხრივი პროცესი, ითვალისწინებენ ეროვნული სასწავლო გეგმით შემოთავაზებულ შეფასების პრინციპებს, იაზრებენ შეფასების სისტემის მნიშვნელობას და გეგმავენ პერიოდულად ცვლილებების შეტანას შეფასების რუბრიკებში. არსებული შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნების შესაბამისად. სკოლას გააზრებული და განსაზღვრული აქვს, რომ ფასდება არა მარტო სწავლის შედეგი, არამედ ისიც, თუ როგორ მიმდინარეობს სწავლა-სწავლების პროცესი. შერჩეული განმავითარებელი შეფასების ინსტრუმენტები ხელს უწყობს მოსწავლის წინსვლას და ორიენტირებულია მის მხარდაჭერაზე, რაც უქმნის მოსწავლეს სწავლის მიმართ პოზიტიურ დამოკიდებულებას და ზრდის მოტივაციას. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად სკოლას დაგეგმილი აქვს მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი მოსწავლისა და მასწავლებლის დონეზე შესაბამისი ინსტრუმენტებით. წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას აქვს მზაობა, შექმნას შეფასების ისეთი სისტემა რომელიც აქცენტს აკეთებს არა მხოლოდ საგნობრივი საკითხების დასწავლაზე, არამედ მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარების ხელშეწყობაზე.

ინდიკატორი 2.2.2.3. დაკმაყოფილებულია

4. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში ხაზგასმულია, რომ სასკოლო საზოგადოებას უნდა ჰქონდეს განცდა, რომ შეფასება არის ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური, სამართლიანი და სანდო. დაწყებითი საფეხურის მასწავლებლები ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად I,II, III, IV, V (პირველ სემესტრში) კლასებში მოსწავლეებს აფასებენ განმავითრებელი შეფასებით, ხოლო V კლასის მეორე სემესტრსა და VI კლასში განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებით. მოსწავლეებმა იციან, თუ როგორ შეფასდება მათი შრომა, იციან რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა პასუხმა თუ ნაშრომმა. მასწავლებლები წინასწარ ქმნიან და აცნობენ შეფასების რუბრიკებს, როგორც მშობლებსა და მოსწავლეებს, ისე ადმინისტრაციის წევრებს. შეფასების რუბრიკებში წარმოდგენილი კრიტერიუმები ხაზს უსვამს მოსწავლეთა ძალისხმევას, პასუხისმგებლობას, ჩართულობას, საკუთარი ნააზრევის გადმოცემის შესაძლებლობას და წარმოადგენდეს მათი სწავლის პროცესის რეფლექსიას. მასწავლებლების მიერ შემუშავებული რუბრიკებს განიხილავენ და ათანხმებენ კათედრის სხდომაზე, ხოლო პედაგოგიური საბჭო ამტკიცებს მათ. სკოლას აქვს შეფასების კრიტერიუმების შემუშავების პროცესში მოსწავლეთა ჩართულობის გამოცდილებაც. ასევე, სამართლიანობასა და გამჭვირვალობას ხელს უწყობს სასწავლო პროცესში გამოყენებული თვითშეფასება და ურთიერთშეფასება. აღნიშნული მიზნების მისაღწევად სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის აღმწერი დოკუმენტიც. სკოლის მიერ მტკიცებულებების სახით წარმოდგენილ დოკუმენტებსა და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლა სასწავლო პროცესში უზრუნველყოფს შეფასების სისტემის ვალიდურობას, გამჭვირვალეობას, სანდოობას, ობიექტურობასა და სამართლიანობას.

ინდიკატორი 2.2.2.4. დაკმაყოფილებულია.

5. სსიპ ქალაქ თბილისის N133 საჯარო სკოლას დირექტორის 06/09/2023 წლის N2-428 ბრძანებით დამტკიცებული აქვს მოსწავლეთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომლითაც უზრუნველყოფს შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის იდენტიფიცირებას შემდეგი მიმართულებებით: ა) შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია; ბ) პროცესის ვერიფიკაცია; გ) მტკიცებულებების ვერიფიკაცია. განსაზღვრულია აქტივობების განხორციელების დრო, ინსტრუმენტები და პასუხისმგებელი პირები. შეფასების სამიზნე ინსტრუმენტების შერჩევისას გათვალისწინებულია რისკები, საჭიროების შემთხვევაში ხარისხის განვითარების ჯგუფის მიერ განსახორციელებელი აქტივობები. ახალი სასწავლო წლიდან იგეგმება მოსწავლის პორტფოლიოს წარმოება. ამ ეტაპზე სასწავლო პროცესის შეფასება მუდმივად ხორციელდება კათედრის სხდომებზე, განხილება შეფასების სისტემის (განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების) გამჭვირვალობის, ვალიდურობის, ობიექტურობისა და სანდოობის საკითხი; მსჯელობენ მოსწავლის განვითარების დინამიკაზე დავალებიდან დავალებამდე. დისკუსიას შედეგად მოსდევს შეფასების ინსტრუმენტების განვითარება (დახვეწა, უფრო მყარი შეთანხმება შეფასების კომპონენტთან დაკავშირებულ საკითხებთან დაკავშირებით).

ინდიკატორი 2.2.2.5. დაკმაყოფილებულია.

6. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლაში საგნობრივი კათედრები უზრუნველყოფენ შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას. მოსწავლეთა შეფასების ამსახველი დოკუმენტაცია სკოლაში ინახება კანონმდებლობით დადგენილი ვადით (3 წლით). კათედრებზე შენახულია მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებები, შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, მოსწავლეთა მიერ შესრულებული კომპლექსური დავალებები. შეფასებასთან დაკავშირებული ინფორმაციის ასახვა ხდება ელექტრონულ ჟურნალშიც, რომლის მონიტორინგსაც ახორციელებს სკოლის მიერ ბრძანებით განსაზღვრული პასუხისმგებელი პირი. სკოლას აქვს მოსწავლის პირადი საქმეებიც, სადაც შეტანილია მოსწავლეთა წლიური შეფასებები, ცნობები და ექსტერნის გამოცდებთან დაკავშირებული ინფორმაცია. აღნიშნული დოკუმენტაცია, სკოლის მიერ შემუშავებული საქმისწარმოების წესის შესაბამისად, ინახება საქმეთამმართველთან.

ინდიკატორი 2.2.2.6. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
- შემაჯამებელი დავალების ანალიზი;
- სკოლის თვითშეფასების კითხვარი;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-24 პროექტი;

- პროექტები;
- კათედრის სხდომის ოქმები;
- საქმისწარმოების წესი

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას(დაწყებითი საფეხური)

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოება მზადაა, შექმნას სასწავლო პროცესისათვის ღია/მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო, თანაბრად ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო პროცესი, რომლის ფარგლებშიც, ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით, ყველა მოსწავლისთვის უზრუნველყოფილი იქნება სრულფასოვანი განათლების მიღების შესაძლებლობა. აღნიშნული დასტურდება 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმით, რომლის თითოეული პუნქტი და მასში გაწერილი საკითხები (სკოლის მისია და ხედვა, საათობრივი ბადე, შემუშავებული საგნობრივი პროგრამები, მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება, ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, საგნობრივი კათედრების მუშაობის პრინციპები და სხვ.) უზრუნველყოფს აღნიშნული მიზნის მიღწევას. პედაგოგებთან გასაუბრებისას იკვეთება, რომ სკოლაში საკმაოდ ღია და მიმღებლობითი, პოზიტიური სასკოლო კლიმატია. თანამშრომლობითი და პოზიტიური კომუნიკაციაა მასწავლებლებსა და დირექციას შორის. მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და გამოცდილების გაზიარებაზე, ისინი ხშირად ერთობლივად გეგმავენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ესწრებიან გაკვეთილებს და გასცემენ კონსტრუქციულ უკუკავშირს. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები და რიგ შემთხვევებში მასში ჩაშენებული კომპლექსური დავალებების პირობა მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს საბოლოო პროდუქტი წარმოადგინონ მათთვის მისაღები საპრეზენტაციო ფორმით, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო.

ინდიკატორი 2.2.3.1. დაკმაყოფილებულია

2. პედაგოგებთან გასაუბრების დროს, აგრეთვე სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, გამოიკვეთა, რომ სკოლა ორიენტირებულია მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე, მათ ინდივიდუალურ მხარდაჭერაზე. აღნიშნული აისახება საგნობრივ კურიკულუმებშიც, მასწავლებლები ქმნიან უსაფრთხო გარემოს მოსწავლეებთან თანამშრომლობით, ხელს უწყობენ და ახალისებენ

თვითრეგულირებად ქცევას და თანამშრომლობითი უნარების განვითარებას. თითოეული მასწავლებელი კომპლექსური დავალებების დანერგვით უზრუნველყოფს მოსწავლეთა თანაბარ ჩართულობას სასწავლო პროცესში, დიფერენცირებულ მიდგომების დახმარებით ითვალისწინებენ მათ ინტერესებს, ასაკს, თავისებურებებსა და საჭიროებებს. პედაგოგები აღნიშნავენ, რომ მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და რეგულირებაში ძალიან მნიშვნელოვანია. ამისათვის ისინი იყენებენ კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმებს. სკოლას შემუშავებული აქვს სადამრიგებლო პროგრამებიც, სადამრიგებლო საათის თემის შერჩევისას ასევე გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და საჭიროებები. სკოლა აგრეთვე ახორციელებს მრავალფეროვან სასწავლო თუ სოციალურ პროექტებს, ხშირად იმართება პროექტებისა და კომპლექსური დავალებების განხორციელების პროცესში შექმნილი პროდუქტების გამოფენა. გასაუბრების პროცესში პედაგოგები აღნიშნავენ, რომ სამომავლოდ ეცდებიან გაზარდონ სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაში მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობის ხარისხი, მათი თანამონაწილეობით შეარჩიონ სასწავლო პროექტების, სასკოლო კლუბებისა და წრეების საქმიანობის თემატიკა, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ზრდასა და დადებითად აისახება მათ სასწავლო შედეგებზე.

ინდიკატორი 2.2.3.2. დაკმაყოფილებულია

3. პედაგოგებთან გასაუბრებისა და სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების გაცნობისას იკვეთება, რომ ეფექტურად მიმდინარეობს თანამშრომლობა სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. მასწავლებლებს კარგად აქვთ გააზრებული ურთიერთთანამშრომლობის დადებითი ასპექტები. საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, ხორციელდება მრავალფეროვანი არაფორმალური აქტივობები. მასწავლებლები ერთად გეგმავენ გაკვეთილებს და ესწრებიან ერთმანეთს, აჯამებენ წინა წლის შედეგებს და ერთად ქმნიან მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმს, არჩევენ რომელ კომპლექსურ დავალებას განახორციელებენ, რომელმა გამოიწვია მოსწავლეებში მეტი დაინტერესება, ერთობლივად ქმნიან სასწავლო რესურსებს. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ თანამშრომლობა სკოლის პრიორიტეტული მიმართულებაა, მათი თქმით, კოლეგებს შორის ხშირად იმართება პროფესიული დისკუსიები, აზრთა გაცვლა-გამოცვლა და საჭიროების შემთხვევაში ისინი მუდმივად გამოთქვამენ მზაობას ურთიერთდახმარებისთვის. მოსწავლეებს, მშობლებს და სკოლის თანამშრომლებს ყოველთვის შეუძლიათ დააფიქსირონ საკუთარი აზრი სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით, ხშირად ხდება მათი პოზიციის გათვალისწინება. სკოლას ასევე ჰყავს ხარისხის მართვის ჯგუფი, რომელიც გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებით, "კრიტიკული მეგობრის" როლის მორგებითა და გამოცდილების ურთიერთგაზიარებით თანამშრომლობისა და ღიაობის მაგალითს აძლევს სკოლის ყველა სტრუქტურულ ერთეულს.

ინდიკატორი 2.2.3.3. დაკმაყოფილებულია.

4. სკოლაში არის სოციალურად, ემოციურად და ფიზიკურად უსაფრთხო გარემო. ჩანს, რომ მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები ერთად მუშაობენ პოზიტიური გარემოს შექმნისათვის, ამას ხელს უწყობს სკოლაში არსებული კლუბები, პროექტები და არაფორმალური აქტივობები, რომელიც მოსწავლეთა საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებით იგეგმება. სასკოლო საზოგადოების წევრები ჩართულნი არიან სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში. მასწავლებლებმა, გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ პოზიტიური სასწავლო კლიმატის შესაქმნელად მნიშვნელოვანი ფაქტორებია: აღიარება/პატივისცემა, ნდობა, მაღალი მორალური ღირებულებები, ჩართულობის მაღალი შესაძლებლობები, თანამშრომლობა, შესაბამისად, ისინი ცდილობენ წაახალისონ სამოქალაქო აქტივობებსა და პროექტებში

მოსწავლეთა ჩართულობა, ძალადობისა და კონფლიქტების პრევენციული ღონისძიებებში მონაწილეობა, თანატოლების თანამშრომლობისა და თანასწავლების წახალისება და სხვ. მაღალია მშობელთა ჩართულობის ხარისხი როგორც საკლასო, ასევე სასკოლო ცხოვრებაში.
ინდიკატორი 2.2.3.4. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები
- ინტერვიუ; კომპლექსური დავალებები;
- დაწყებითი საფეხურის კურიკულუმი
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- შეფასების რუბრიკები
- დაწყებითი საფეხურის კათედრის ოქმები.
- ხარისხის ჯგუფის დებულება;
- სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი გრაფის მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება(დაწყებითი საფეხური)

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:
1. სკოლას დამტკიცებული აქვს სასკოლო კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც პროცედურულად გაწერილია მისი განხორციელების ეტაპები, პასუხისმგებლობები, ანგარიშვალდებულებათა ჩარჩო, რაც ხელს შეუწყობს კურიკულუმების მონიტორინგისა და შეფასების უწყვეტი, ციკლური პროცესის განხორციელებას და უზრუნველყოფს სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე დაყრდნობით მის ყოველწლიურად განახლებას. სასკოლო საზოგადოებას გააზრებული აქვს, რომ კურიკულუმის განვითარება არის ციკლური პროცესი, მონიტორინგი და შეფასება კი ამ პროცესის განუყოფელი ნაწილია და თვლის, რომ აუცილებელია კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმის დახვეწა, შესაბამისად, მიმდინარე სასწავლო წელს სკოლა გამოკვეთს მონაცემთა მიზნობრიობას, მათი შეგროვებისა და ანალიზის პროცესებს, როგორ შეიძლება გამოყენებულ იქნას მიღებული შედეგები კურიკულუმისა და სწავლა-სწვალების პროცესის გაუმჯობესებისათვის. განსაზღვრავს ინდიკატორებს, რომელიც შესაძლებლობას მისცემს სკოლას გაზომოს როგორც პროცესი -რა განხორციელდა მიზნის მისაღწევად, ასევე მიღწეული შედეგები. მონიტორინგისა და შეფასებისათვის გამოიყენება მოსწავლეთა კომპლექსური დავალებების შედეგები, გაკვეთილებზე დასწრების ანალიზი, კათედრის ანგარიშები და სხვა.

სკოლაში აღნიშნული მიმართულებით მონიტორინგს განახორციელებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი და სკოლის დირექცია.
ინდიკატორი 2.3.1.1. დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის ჩანაწერებში, თანდართულ დოკუმენტებში და პედაგოგებთან ინტერვიუების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სკოლა მუშაობს კურიკულუმის განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების სისტემაზე, გეგმავს მასწავლებელთა მხარდაჭერასა და დახმარებას, მათ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვასა და ხელშეწყობას. მტკიცებულებებზე დაყრდნობით მასწავლებლებს შეუძლიათ შეაფასონ მოსწავლის სწავლის პროცესი, დაადგინონ ის სფეროები და უნარები, სადაც მოსწავლეს დახმარება სჭირდება, მისცენ უკუკავშირი და მიგნებების გათვალისწინებით დაგეგმონ სწავლის პროცესი. მონიტორინგი და შეფასება ხელს შეუწყობს სკოლის მომავლის დაგეგმვას, ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებასა და ახალი შესაძლებლობების შეფასებას. სკოლას აქვს სასწავლო პროცესის შეფასების გამოცდილება, ხორციელდება დაგეგმილი და რეალიზებული აქტივობების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი. მასწავლებლები ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილზე, განიხილავენ პროცესში გამოვლენილ პრობლემებსა თუ საუკეთესო გამოცდილებას, აფასებენ რამდენად სწორედ მოქმედებენ, რამდენად მდგრადია მათ მიერ დაგეგმილი აქტივობებით მიღწეული შედეგები და აანალიზებენ არსებობს თუ არა სხვა ალტერნატივა უკეთესი შედეგების მისაღწევად.
ინდიკატორი 2.3.1.2. დაკმაყოფილებულია.

3. სკოლას გაცნობიერებული აქვს ის ფაქტი, რომ დაწესებულების მიერ განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ანალიზში ასახული უნდა იყოს კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, განსაზღვრული უნდა იყოს ხელისშემშლელი ფაქტორები და არსებული შესაძლებლობები კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის. სკოლას აღნიშნული მიმართულებით შემუშავებული აქვს

პრიორიტეტული და სტრატეგიული ხედვა, რომელიც ასახულია კურიკულუმში. შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლას აქვს მზაობა, სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და შეფასების გზით მოახდინოს პრობლემების გამოვლენა და მათ გადაჭრის გზების ძიება. სასწავლო წლის ბოლოს დირექცია და ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი საგნობრივი კათედრების მიერ წარმოდგენილი ანგარიშების, აგრეთვე მასწავლებელთა სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშის საფუძველზე მოახდენს მიმდინარე სასწავლო წლის შეფასებას, ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოკვეთასა და შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვას,
ინდიკატორი 2.3.1.3. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):;

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ოქმი
- შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-24 პროექტი.
- კომპლექსური დავალებების ანალიზები
- გაკვეთილზე დასწრების და შეფასების ფორმები.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს(დაწყებითი საფეხური)

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტითა და პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას გაცნობიერებული აქვს, თუ რას ნიშნავს შეფასების ჰოლისტური ხასიათი, რომ ესაა ინტეგრირებული, ერთიანი და სისტემური მიდგომა და მოიცავს მონაცემების შეგროვებას მრავალფეროვანი მეთოდებით, მრავალი სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით, რაც ამცირებს შეფასების ვარიაციის შეცდომას. პროცესების, მოსწავლის, პრობლემის, გამოწვევის შესახებ ინფორმაციის შეგროვებისას მნიშვნელოვანია იგი მოპოვებული იყოს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. პედაგოგები საუბრისას აღნიშნავენ, რომ მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მოსწავლის მიღწევების, მისი ცოდნისა და უნარების, არამედ მთლიანად სასწავლო პროცესის შეფასება, რაც ემსახურება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების დიაგნოსტირებას, პრობლემების ანალიზსა და მათი მოგვარების გზების ძიებას. გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა შეფასება ძირითადად ხორციელდება ზეპირსიტყვიერად, განმავითარებელი კომენტარების საშუალებით, სწავლის შედეგების ანალიზი ხდება კათედრებზე, სამუშაო შეხვედრებზე. 2023 – 2024 სასწავლო წლისთვის მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში პედაგოგების მიერ მოხდება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შემუშავება თემების ფარგლებში შერჩეული ძირითადი საკითხების, კომპლექსური დავალებების მიხედვით. ამასთან, გამოკვეთილი პრობლემის შეფასებისა და მოგვარების მიზნით ინფორმაცია შეგროვდება რაც შეიძლება მრავალფეროვანი წყაროებიდან - ეს შეიძლება იყოს მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, დამრიგებელი თუ სკოლის სხვა პერსონალი. სკოლა მუშაობს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის სასწავლო პროცესზე მორგებაზე, სადაც ასახული იქნება ისიც, თუ როგორ (რა საშუალებებით) განხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება (რა წყაროების საშუალებით მოხდება დანერგვის პროცესის შესახებ ინფორმაციის შეგროვება). აღნიშნული მიზნის მისაღწევად სკოლა გეგმავს ჩაატაროს დიაგნოსტიკური ტესტირებაც.

ინდიკატორი 2.3.2.1. დაკმაყოფილებულია.

2. სასკოლო შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. სკოლა მუშაობს მკაფიოდ გაწერილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკებისა და მოსწავლის მიერ სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომიის აღმწერი რუბრიკების შექმნაზე, რომელშიც სადაც მკაფიოდ იქმება გაწერილი, რომ მოსწავლეები შეფასდებიან გრძელვადიან მიზნებზე, ცნებებზე, შედეგებზე დაყრდნობით. პედაგოგებთან გასაუბრების დროს აღნიშნული მიმართულებით გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს მზაობა მოსწავლეთა შეფასება განახორციელოს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, მათი განმარტებით სრულყოფილი ინფორმაციისთვის აუცილებელია მოსწავლის სხვადასხვა კონტექსტში შესწავლა. აღინიშნა, რომ შეფასებისას ითვალისწინებენ მრავალგვარ კონტექსტს, როგორებიცაა: შესასწავლი თემა და საკითხი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები და საფეხურის ფარგლებში ცნებების დაფარვის ხარისხი. მათი დასკვნის სისწორეს კი მრავალი კონტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს.

ინდიკატორი2.3.2.2 დაკმაყოფილებულია

3. პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა იყენებს მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდეს - კითხვარის შევსება, ინტერვიუ მცირე ჯგუფებთან, შეხვედრები, მასწავლებელთა თვითრეფლექსიები, ურთიერთდასწრების ანგარიშები, მოსწავლეთა პორტფოლიოები, სადიაგნოსტიკო წერების ანგარიშები, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ოქმები და სხვ. სკოლა ადასტურებს მზაობას, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში ასახოს მონიტორინგისა და შეფასების ასპექტები, მათ შორის რა მეთოდებს, როდის, როგორ გამოიყენებს დანერგვის პროცესის შესახებ მონაცემების შესაგროვებლად.

ინდიკატორი 2.3.2.3. დაკმაყოფილებულია

4. პედაგოგებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ მოსწავლის შეფასება ხდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. პედაგოგები ხშირ შემთხვევაში იყენებენ ზეპირსიტყვიერ განმავითარებელ უკუკავშირს, მშობლებთან წერილობით და ზეპირ უკუკავშირს მოსწავლის სასწავლო შედეგებთან დაკავშირებით და სხვ. სკოლა შეფასებისას ეყრდნობა როგორც მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, ასევე მათ პიროვნულ მახასიათებლებსა და სოციალურ ფაქტორებს. სკოლა აცნობიერებს, რომ სასწავლო პროცესის მონიტორინგი და სწორი შეფასება, მისი ეფექტური განხორციელება განაპირობებს სასკოლო საზოგადოების წინსვლას, სასწავლო დაწესებულების ავტორიტეტის ამაღლებას. შესაბამისად, 2023 – 2024 სასწავლო წელს გეგმავს სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული შეფასების სისტემა იყოს უფრო მეტად კომპლექსური, მულტიფაქტორული, რომლის გამოყენების დროსაც მოხდება მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების სრულყოფილი ანალიზი.

ინდიკატორი 2.3.2.4. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *შეფასების რუბრიკები;*
- *სკოლის თვითშეფასების კითხვარი;*
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- ხარისხის კგუფის დებულება;
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-24 პროექტი;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შემუშავებულ კურირულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის ჩანაწერში - „პრინციპები, რომელიც ეფუძნება სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესს“ - ასახულია კურიკულუმის განვითარების ძირითადი პრინციპები, რომელებიც დაკავშირებულია სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმების გადასინჯვისა და რევიზიის პროცესთან. მეთოდოლოგიის დოკუმენტში მოცემულია შემდეგი ჩანაწერი: „კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვებული მონაცემების საფუძველზე; სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე.“ დაწყებითი საფეხურის პედაგოგებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია განხორციელდება კათედრის სხდომებზე, სადაც წევრები გაცვლიან კურიკულუმის დანერგვისა და განხორციელების შესახებ მონაცემსა და გამოცდილებას, გამოიკვეთება კურიკულუმის პროდუქტიულობა და ხარვეზები. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აგრეთვე აღნიშნეს, რომ მონაცემების შეჯერების საფუძველზე შეიქმნება რეკომენდაციების პაკეტი მომდევნო წლისთვის წარმოდგენილი სასკოლო კურიკულუმის განვითარებისთვის და დაგეგმვის პროცესში მიღებული მიგნებები და რეფლექსიის შედეგები გააზრებული და გაზიარებული იქნება სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორი 2.4.1.1. დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების გადამუშავებული ვერსიები ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. 2022-2023 სასწავლო წელს სკოლა იყენებდა სამინისტროს საგნობრივი ექსპერტების მიერ მოწოდებულ საგნობრივ კურიკულუმებს. მათი განხორციელებისას მიღებული გამოცდილება, შეფასების შედეგად მიღებული მიგნებები აისახა მიმდინარე სასწავლო წლის კურიკულემებში. სკოლის „კურირულუმის შემუშავებისა დაგანვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტში, პუნქტში - კურიკულუმის რევიზია - ჩანს, რომ სკოლას აქვს ხედვა, როგორ უნდა იყოს ჩართული კურიკულუმის რევიზიის პროცესში სასკოლო საზოგადოება და რა მიმართულებით გაანალიზდება რევიზიის შედეგები. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს დაადასტურეს ზემოთ აღნიშნული მიდგომების მიმართ მზაობა და აღნიშნეს, რომ გაითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას და გააგრძელებენ მუშაობას საგნობრივი კურიკულუმების განვითარებაზე. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლას აქვს მზაობა, სასკოლო კურიკულუმის რევიზირებულ ვერსიაში აისახოს მოსწავლეთა შედეგები, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი და რეალიზებული პროცესების რეფლექსიები, სასწავლო მასლების ეფექტიანობის და ვალიდობის მონაცემები და ა.შ.

ინდიკატორი 2.4.2.2. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კომპლექსურის რევიზიის დოკუმენტი
- სკოლის თვითშეფასების კთხვარი;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- სასკლო სასწავლო გეგმა 2023-24 პროექტი;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)	**■ შეესაბამება** **☐ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2. სასკოლო კურიკულუმი (საბაზო საფეხური)

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ქალაქ თბილისის N133 საჯარო სკოლაში დირექტორის 2023 წლის 14.06 N2-217 ბრძანებით დამტკიცებულია კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც აღწერილია, თუ როგორ ხდება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების შესწავლა და კურიკულუმში ასახვა. ამავე დოკუმენტში აღნიშნულია, რომ „კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს“. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში დაწვრილებით არის აღწერილი თუ რა საშუალებებით ხდება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების შესწავლა და კურიკულუმში ასახვა. წარმოდგენილ დოკუმენტებში არის ასევე კითხვარები სკოლის მიერ შეთავაზებული სერვისებით კმაყოფილების შესასწავლად, ასევე ამ გამოკითხვების ანალიზი. სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები აგებულია ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაწერილი პრინციპებისა და მეთოდიკური ორიენტირების შესაბამისად. საგნობრივი სტანდარტები საფეხურეობრივია, მისაღწევი შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე; სწავლის მიზნები ფორმულირდება სტანდარტის შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით; სასწავლო პროცესი იგეგმება თემატურად. თემა წარმოადგენს მოსწავლის გამოცდილებასთან ახლოს მყოფ კონტექსტს საგნობრივი ცოდნის დასამუშავებლად; თითოეული თემის ფარგლებში მუშავდება სტანდარტის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება; სასწავლო პროცესისთვის რესურსები შეირჩევა გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად; სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით; სიღრმისეული სწავლის უზრუნველყოფა ხორციელდება სწავლების კონსტრუქტივისტული მიდგომით, კერძოდ, კურიკულუმის შემუშავებისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნა, სასწავლო მასალის ეტაპობრივად მიწოდება, ახალი საკითხების, ცნებების საფუძვლიანად და განსხვავებულ კონტექსტებში განხილვა, საგანთაშორისი კავშირების გამოვლენა და საერთო ასპექტების დამუშავება; სწავლება ეფუძნება მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გამოწვევას საგანთაშორისი კავშირებით და სწავლების კავშირით მოსწავლის ინტერესებს, შესაძლებლობებს, ღირებულებებს და გამოცდილებას შორის; სწავლება ეფუძნება მოსწავლის ჰოლისტური განვითარების ხედვას პოზიტიური სასკოლო და საკლასო კლიმატის უზრუნველყოფისა / სოციო-ემოციური სწავლის გზით). ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მაღალია მშობელთა ჩართულობა და მოსწავლეთა საჭიროებების თუ ინტერესების გამოკვეთა მათი დახმარებით, გარდა გამოკითხვებისა, ყოველდღიური საუბრებით, ასევე მოსწავლეებზე დაკვირვებით ხორციელდება. კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია საბაზო საფეხურის ყველა პედაგოგი. კათედრის სხდომებზე მასწავლებლები წარადგენენ ინდივიდუალურ ხედვას, ხდება კოლეგებთან ერთად მათი განხილვა, უკუკავშირი, გასული წლების გამოცდილების გაზიარება და შეჯერება საბოლოო ვერსიაზე. ასევე დამრიგებლების მეშვეობით ხდება სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებთან კონცეპტუალური იდეების განხილვა გამოწვევებისა და შესაძლებლობების იდენტიფიცირების მიზნით. სკოლა აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელებს იდეების, გამოცდილებების, რეფლექსიების და უკუკავშირის თავმოსაყრელად. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ისინი ერთობლივად აუმჯობესებენ წლის განმავლობაში განხორციელებულ კომპლექსური ბუნების დავალებებს, და ამგვარად შეიმუშავებენ საგნობრივ კურიკულუმებს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კურიკულუმის შემუშავებისას ძირითადი ორიენტირი ეროვნული სასწავლო გეგმა, სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტებია.

ინდიკატორი 2.1.1.1. დაკმაყოფილებულია

2. საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. აღნიშნული მიმართულებით სკოლას მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი აქვს მშობელთა კრების ოქმები, კათედრების სხდომის ოქმები, რომლებიც ადასტურებენ მშობლების და მასწავლებლების მონაწილეობას კურიკულუმის შემუშავების პროცესში. მოსწავლეების ვერბალური გამოკითხვის საშუალებით მასწავლებლები ადგენდნენ და მომავალშიც დაადგენენ მათ ინტერესებს კომპლექსური დავალების თემასა და ტიპებთან დაკავშირებით. მასწავლებლები აკვირდებიან მოსწავლეთა ჩართულობას და აქტიურობას კომპლექსური დავალებების შესრულების პროცესში და გამოჩენილი ინტერესების შესაბამისად არჩევენ კომპლექსური დავალების ტიპს და წარდგენის ფორმას. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის განვითარებაში მასწავლებლების როლის დამადასტურებელი დოკუმენტები: მასწავლებელთა მიერ წლის განმავლობაში განხორციელებული რეფლექსიები, მიგნებები და სასწავლო პროცესის ანალიზი (მათ მიერ მოსწავლეებისთვის შეთავაზებული კომპლექსური დავალებები, მათი შეფასების ნიმუშები, რეფლექსიები და ა.შ.). აღნიშნული დოკუმენტების ანალიზი არის მნიშვნელოვანი წყარო კურიკულუმის რევიზიისთვის. ყველა სასწავლო თუ კლასგარეშე აქტივობა ეფუძნება მოსწავლის უკუკავშირს და მისი გამოცდილების ნაკადს. საგნობრივი კურიკულუმები მრავალფეროვანია თემატური კონტექსტების თვალსაზრისით, ითვალისწინებს მოსწავლის ასაკობრივ და პიროვნულ თავისებურებებს, შეთავაზებული კომპლექსური ტიპის დავალებები წარმოადგენს პრობლემაზე დაფუძნებულ, პროექტული ტიპის დავალებებს, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსწავლეთა უკუკავშირს, თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასებას. კურიკულუმის განვითარებაში განუზომელია სასკოლო ადმინისტრაციის როლი, რაც გამოიხატება როგორც ადმინისტრირებაში, ასევე შინაარსობრივ მხარდაჭერასა და პროცესების მიზნობრივ მართვაში. საკმაოდ მჭიდროა კავშირი ადმინისტრაციასა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებს შორის. ადმინისტრაცია გვევლინება ფუნქციური ლიდერებისა და მათი ინოვაციური იდეების წახალისების მხარდამჭერად. უკუკავშირის მიღება, იდეების გაზიარება და ხელმისაწვდომობა უმთავრესად ხორციელდება პირისპირ და უშუალო კონტაქტების გზით, ასევე სოციალური ქსელებით. სკოლის მიერ მტკიცებულებების სახით წარმოდგენილ სტრატეგიული განვითარების გეგმაში გაწერილია მიმართულებები, რომლის დახვეწასაც გეგმავს სკოლა: სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება, სასკოლო საზოგადოების ჩართულობა, მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება. ამის მიღწევას გეგმავენ ახალი პროგრამების შემუშავება-დანერგვით, სასწავლო პროცესის ხარისხის გაზრდით, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით მოსწავლეებში მოტივაციის გაზრდით, მშობლებთან ურთიერთობის ფორმების დახვეწით, მართვის კოლეგიური ორგანოების გააქტიურებით, დამატებითი სერვისების განვითარებით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები.

ინდიკატორი 2.1.1.2. დაკმაყოფილებულია

3. სსიპ ქალაქ თბილისის N133 საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულნი იყვნენ სასკოლო საზოგადოების წევრები: მასწავლებლები, მშობლები, სკოლის ადმინისტრაცია, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. აღნიშნული მიზნის მისაღწევად კათედრების წევრები ერთმანეთთან თანამშრომლობენ და ერთად შეიმუშავებენ მომდევნო სასწავლო წლის სასწავლო პროგრამას და მისი რეალიზაციისთვის საჭირო აქტივობებს. პედაგოგები თანხმდებიან შესასწავლ თემებზე, ასევე იმაზე, თუ რა საკითხებს და ქვესაკითხებს ასწავლიან თემის ფარგლებში გამოკვეთილი ცნებების გასააზრებლად, რომელ კომპლექსურ დავალებებს განახორციელებენ, რა ძირითადი რესურსები დასჭირდებათ, რა შეფასების ინსტრუმენტებს გამოიყენებენ. კურიკულუმების შემუშავებისას თითოეული მასწავლებლის როლი გაწერილია კათედრების სხდომების ოქმებში, პასუხისმგებელი პირები მინიშნებულია კათედრის სამოქმედო გეგმაშიც.

ინტერვიუდან იკვეთება კურიკულუმების შემუშავებაში სასკოლო საზოგადოებისა და დაინტერესებული პირების ჩართულობაც. ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია

4. სსიპ ქალაქ თბილისის N133 საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები (საგნობრივი პროგრამები, სადამრიგებლო საათის პროგრამა, არაფორმალური სწავლების სხვადასხვა საშუალება) ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის. სასკოლო კურიკულუმის გაზიარება ხდება კათედრაზე, პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე. სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით დირექციის ფუნქციებში შედის სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირება და მათი მხრიდან უკუკავშირის მიღების უზრუნველყოფა სხვადახვა არხებით (სკოლის ვებგვერდი, სოციალური მედია, ნაბეჭდი მასალები და სხვა).

ინდიკატორი 2.1.1.4. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები
- კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია
- კითხვარი მოსწავლეებისთვის
- სკოლის თვითშეფასების კითხვარი
- შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა;
- კათედრის ოქმები
- პედაგოიური საბჭოს სამუშაო გეგმა;
- 2022-2023 სასწავლო წლის კათედრის სამოქმედო გეგმები
- მშობელთა კრების ოქმები;
- სკოლის ფეისბუქ გვერდი;
- სადამრიგებლო საათის გეგმა;

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს (საბაზო საფეხური)

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;

2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე. შუალედური მიზნები, შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად, განისაზღვრება სკოლისა და მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებების და არსებული მოცემულობის შესაბამისად; ცნებების საშუალებით გამთლიანებულ მიზნობრივ ორიენტირად არის წარმოდგენილი ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები; კურიკულუმში ინტეგრირებულია მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიები, წახალისებულია რეფლექსია მოსწავლის შესრულებულ სამუშაოზე: რა გამოვიდა კარგად, რატომ, რა იყოს ის ცოდნა და გამოცდილება, რამაც წარმატება მოიტანა, რა ვერ შეძლო, რას შეიძლებოდა ხელი შეეშალა წარმატების გზაზე; უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ბუნების დავალებებს, რომლთა შესრულებასაც მოსწავლის მთლიანპიროვნული ინტეგრირებული გამოცდილება და მაღალი სააზროვნო უნარები სჭირდება. კურიკულუმებში მოცემულია კომპლექსური ბუნების დავალებები, კონტექსტ მაგალითები, მრავალფეროვანი რესურსები. წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების იდეები ითვალისწინებს მოსწავლეთა წინარე ცოდნას და ახლოსაა ცხოვრებისეულ გამოცდილებასთან. დავალებები ადაპტირებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვისაც. მიმდინარე სასწავლო წლისთვის სკოლამ თითოეულ საგანში ყველა კლასისთვის შექმნა კურიკულუმის ჩარჩოები, რომლებშიც გათვალისწინებულია ყველა სავალდებულო თემა, თემის ფარგლებში მიშავდება ყველა სამიზნე ცნება. პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა მასწავლებლების სამომავლო ხედვა და სწორი აქცენტები კომპლექსური დავალების, როგორც შუალედური მიზნის მნიშვნელობასა და გრძელვადიანი მიზნის მიღწევის საშუალებაზე.

ინდიკატორი 2.1.2.1. დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მიერ მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, მოსწავლეთა შეფასებისა და მასწავლებლების თვითრეფლექსიის ამსახველი დოკუმენტები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს, ვინაიდან კურიკულუმის ჩარჩო ცხრილებში ძირითადად სწორად არის გაწერილი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის სტანდარტით განსაზღვრული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შერჩეულია კომპლექსური დავალებები, შესაბამისი რესურსები, რომლებიც მოსწავლეებს უვითარებს დამოუკიდებელი სწავლის, კრიტიკული აზროვნების, პრობლემების გადაჭრისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარებს, რაც შესაბამისობაშია სიღრმისეული სწავლების პრინციპებთან. სკოლას აქვს კომპლექსური დავალებებით სწავლების გამოცდილება, მოსწავლეების მიერ ახალი ცოდნის მიღება ხდება კონსტრუქტივიზმის პრინციპებზე დაყრდნობით. საბაზო საფეხურის საგნებრივი კურიკულუმები ძირითადად ორინეტირებულია მოსწავლეებში 21-საუკუნის გლობალური ფუნქციური უნარების (6 ფუნქციურ -კომპონენტური უნარი) - კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი ნებისყოფა/ნებელობა - განვითარებაზე. აღნიშნული მიზნის მისაღწევად სკოლა ახორციელებს მრავალფეროვან

სასწავლო პროექტებსაც, მტკიცებულებების სახით წარმოდგენილია პროექტების განხორციელების ამსახველი დოკუმენტაცია, სადაც გაწერილია ის ნაბიჯები, რომლებიც მოსწავლეს ხელს უწყობს განივითაროს გლობალურ- ფუნქციური უნარები.

ინდიკატორი 2.1.2.2. დაკმაყოფილებულია.

3. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან გასაუბრების მიხედვით იკვეთება, რომ საბაზო საფეხურის მასწავლებლები იცნობენ და საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკაში იყენებენ დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს. აქტიურად არის დანერგილი კეთებით სწავლება, ექსპერიმენტები, სასწავლო პროექტები. საჭიროების მიხედვით ხდება აქტივობების მოდიფიცირება, გათვალისწინებულია ყველა მოსწავლის შესაძლებლობები, რაც უზრუნველყოფს მათ თანაბარ ჩართულობას სასწავლო პროცესში. აქტიურად იყენებენ განმავითარებელ კომენტარებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლის მოტივაციის ამაღლებას და განვითარების პროგრესს. სკოლის დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან გასაუბრებისას დადასტურდა, რომ მათ აქვთ საკმარისი გამოცდილება სსსმ მოსწავლეებთან წარმატებული მუშაობისა, შედგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომლებიც მორგებულია სსსმ მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს. გასაუბრებაზე აღინიშნა, რომ უნდა გაუმჯობესდეს და დაინერგოს მიდგომა, რომ კლასში მოსწავლეებმა იმუშაონ ერთი და იმავე დავალების სხვადასხვაგვარად ადაპტირებულ ვარიანტზე, თუმცა, ყველა მათგანი ერთსა და იმავე საკითხისა და კონტექსტ-მაგალითს უნდა ეხებოდეს. მათი თქმით, ეს ხელს შეუწყობს ერთი მხრივ, საერთო განხილვებსა და მსჯელობებში ყველას ჩართულობას, მეორე მხრივ - განსახილველი საკითხის მრავალმხრივ გააზრებას.

ინდიკატორი 2.1.2.3. დაკმაყოფილებულია.

4. წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, აგრეთვე პედაგოგებთან ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების ფარგლებში მასწავლებლები იყენებენ როგორც განმავითარებელ, ასევე განმსაზღვრელ შეფასებას. სკოლამ მტკიცებულებების სახით წარმოადგინა სხვადასხვა საკლასო აქტივობისა თუ შემაჯამებელი დავალების შეფასების რუბრიკები, შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, ჩატარებული კომპლექსური დავალების სოლო ტაქსონომიით შეფასების დოკუმენტები. ასევე ხორციელდება ურთიერთშეფასება და თვითშეფასება მოსწავლეების მიერ. სკოლის მიერ, 2023-2024 სასწავლო წლისთვის შერჩეულ იქნა მესამე თაობის ეროვნულ სასწავლო გეგმის ფარგლებში წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების პირველი მოდელი. პედაგოგების მიერ იგეგმება თითოეული შესასწავლი თემისთვის, შესაბამისი საგნობრივი სტანდარტის შესაბამისად, განმსაზღვრელი შეფასებისა და ყოველი შერჩეული კონტექსტ-მაგალითის შესაბამისი განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შექმნა.

ინდიკატორი 2.1.2.4. დაკმაყოფილებულია

5. სკოლამ მტკიცებულებების სახით წარმოადგინა სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც გაწერილია კურიკულუმის გავნვითარების პროცესი და ეტაპები. საბაზო საფეხურზე სწავლების პროცესში მასწავლებლები იყენებენ წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირების მეთოდს. საგნობრივი კურიკულუმები შედგენილია გასული სასწავლო წლის გამოცდილების გათვალისწინებით. კათედრის სხდომებზე, სამუშაო შეხვედრებზე ისინი მსჯელობენ, განიხილავენ მოსწავლეთა და მასწავლებელთა რეფლექსიებს, რომელმა კომპლექსურმა დავალებამ, რომელმა პროექტმა გამოიწვია მოსწავლეთა მეტი დაინტერესება, გრძელვადიანი მიზნების მიღწევაში რომელი აქტივობა უფრო დაეხმარათ. აღნიშნული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე დგინდება სწავლებისათვის სკოლის საჭიროებები, დგება მომავალი სასწავლო წლის სასწავლო გეგმები. პედაგოგები საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს,

რომელთა შესახებაც ინფორმაციის მოგროვებასა და ანალიზს ახორციელებენ სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. ეს შეიძლება იყოს მასწავლებლის პირადი პორტფოლიოს ანალიზი, მოსწავლეთა ნამუშევრების, დავალებების შეფასება და ანალიზი, მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირისა და რეფლექსიის შედეგები, პედაგოგიური პრაქტიკის კვლევის შედეგები და ა.შ. სკოლაში შემუშავებულია რეფლექსიის/დიაგნოსტირების ინსტრუმენტები, რათა აღნიშნული ცვლილებების შედეგად მოხდეს მოსწავლის შედეგების ანალიზი სტანდარტის შედეგების მიხედვით.

ინდიკატორი 2.1.2.5. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები;
- პროექტის ფოტოები და მასწავლებლის რეფლექსია;
- დიფერენცირებული მიდგომის მაგალითი.
- ინდივიდუალური სასწავლო გეგმა;
- კომპლექსური დავალების ნიმუში

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება (საბაზო საფეხური)
2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. კოლის მიერ მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი დოკუმენტაცია ცხადყოფს, რომ სკოლა საბაზო საფეხურზე მაქსიმალურად ქმნის მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას. სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინტერესებს, შესაძლებლობებს, ორიენტირებულნი არიან მოსწავლეთა ფსიქო-სოციალურ განვითარებაზე. ამისათვის ირჩევენ შესაბამის სასწავლო მასალას, კომპლექსურ დავალებებს, რესურსებს, აქტივობებს და მეთოდებს. ამით ცდილობენ გაზარდონ როგორც მოტივაცია, ასევე პასუხისმგებლობის შეგრძნება შესასრულებელი დავალების მიმართ. მოსწავლეთა ინტერესების გათვალისწინებით შედგენილი საბაზო საფეხურის კურიკულუმები იძლევა მათი შემოქმედებით პროცესში ჩართვის შესაძლებლობას. წარმოდგენილი კომპლექსური შინაარსის დავალებები შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეებს მოახდინონ ცოდნის გამთლიანება, აღნიშნული მიზნის მისაღწევად სკოლაში იგეგმება და ხორციელდება მრავალფეროვანი პროექტები, მიმდინარეობს საკლუბო მუშაობა, იმართება სპექტაკლები, კონფერენციები, კონკურსები და სასწავლო ექსკურსიები. მოსწავლეებს აქვთ საშუალება აქტიურად ჩაერთონ შეთავაზებულ აქტივობებში, ფესტივალებსა თუ სხვა ღონისძიებებში და გამოავლინონ საკუთარი გონებრივი, შემოქმედებითი და ფიზიკური უნარები. აღნიშნულის დასტურად მაგალითად შეგვიძლია მოვიყვანოთ საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრა. კათედრაზე ფუნქციონირებს ბიოლოგიის, ქიმიისა და ფიზიკის ლაბორატორიები სადაც ტარდება ექსპერიმენტები. შექმნილია ბიოლოგიის, ქიმიისა და ეკოლოგიური კლუბები.

ინდიკატორი 2.2.1.1. დაკმაყოფილებულია.

2. საბაზო საფეხურის საგნობივი კურიკულუმები წარმოადგენენ მოსწავლის წინარე ცოდნასა და გამოცდილებაზე დაყრდნობით ცოდნის კონსტრუირების გზას. მასწავლებლების მიერ შექმნილი კომპლექსური დავალებები მოსწავლეთა მხრიდან მოითხოვს საკითხის ეტაპობრივ დამუშავებას, წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ახალი ცოდნის აგებას, მოვლენის მეცნიერული თვალსაზრისით ახსნას, პრობლემის იდენტიფიცირებას, მისი გადაჭრის გზების ძიებასა და საბოლოო პროდუქტის შექმნას. სასწავლო თემის ფარგლებში კომპლექსური დავალებების პირობები შედგენილია ისე, რომ მოსწავლის ცოდნაზე დაყრდნობით ხორციელდება საგანთა შორის ინტეგრირება და ცოდნის ტრანსფერი, რაც იძლევა შესაძლებლობას, მოსწავლეებმა მოახდინონ ცოდნათა ორგანიზება და ნაცნობ კონტექსტებში განზოგადება. ახალი ცოდნის კონსტრუქტივისტული აგების უზრუნველსაყოფად მასწავლებლები მოსწავლეებს სთავაზობენ მათი ცოდნა-გამოცდილებისთვის მისაწვდომ ე.წ. კონტექსტმაგალითებს (კერძო შემთხვევები, სიტუაციები, ამბები), რომელთა განხილვა-გაანალიზება მათ სამიზნე ცოდნის (ქვესაკითხების, ქვეცნებების, სამიზნე ცნებების) გაგებასა და გათავისებამდე მიიყვანს. შესრულებული დავალებებისა და პროექტების ანალიზის საფუძველზე შეგვიძლია დავასკვნათ, რომ პედაგოგები ხელს უწყობენ აღნიშნულ პროცესს.

ინდიკატორი 2.2.1.2. დაკმაყოფილებულია.

3. სსიპ ქალაქ თბილისის N133 საჯარო სკოლაში, საბაზო საფეხურზე, სასწავლო პროცესში კომპლექსური დავალების მიმდინარეობა იმგვარადაა დაგეგმილი, რომ მოსწავლემ გაცნობიერებულად შეძლოს საკუთარი სწავლის მართვა, შეაფასოს და გააკეთოს საკუთარი სწავლის პროცესის მონიტორინგი. კომპლექსურ დავალებებზე მუშაობის პროცესში მოსწავლეს ეძლევა მკაფიო ინსტრუქციები, განმავითარებელი შეფასება, რის შედეგადაც იგი აცნობიერებს დაშვებულ შეცდომებს და ეძებს გზებს ნაშრომის გასაუმჯობესებლად. მათ დავალების დასრულების შემდეგ ევალებათ პრეზენტაცია, სადაც საუბრობენ, თუ რატომ და როგორ შეასრულეს მოცემული დავალება. რა დაეხმარათ, რა გაუძნელდათ, როგორ მოიქცეოდნენ, თავიდან რომ ასრულებდნენ სამუშაოს. ანუ, განხორციელებული დავალების ერთგვარ რეფლექსიას

ახდენენ, რაც მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას უწყობს ხელს. ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ კომპლექსური დავალებების განხორციელების პროცესი მიმდინარეობს აქტიური თანამშრომლობის ფარგლებში. სასწავლო პროცესში მასწავლებლები ფასილიტატორის როლს ირგებენ და მოსწავლეებს მრავალფეროვანი მეთოდების დახმარებით უბიძგებენ ცოდნის აგებისკენ. ინტერვიუს დროს ასევე ხაზი გაესვა იმას, რომ სასწავლო პროცესში წახალისებულია მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილება და ცნობისმოყვარეობა. მხარდაჭერილია მოსწავლის რეფლექსია შესრულებულ სამუშაოზე, წახალისებულია მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი. ამდენად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე.

ინდიკატორი 2.2.1.3. დაკმაყოფილებულია

4. საბაზო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები დაგეგმილია იმგვარად, რომ აქცენტი კეთდება ცოდნის სამივე კატეგორიაზე. სასწავლო პროცესში მოსწავლე ამუშავებს კონკრეტულ ფაქტობრივ მასალას, ეცნობა ინფორმაციას, გარდაქმნის მას პროცედურულ ცოდნად და ცოდნის მოქმედებაში გადატანით პირობისეულ ცოდნად აყალიბებს. საბაზო საფეხურის კურიკულუმები წარმოადგენს პრობლემაზე დაფუძნებული დავალებებისა და აქტივობების განხორციელების გეგმას, სადაც მოსწავლეს უწევს როგორც რესურსების მოძიება, ასევე მისი კონკრეტული პრობლემის ან გამოწვევის მიხედვით დამუშავება, ანალიზი და გამოსავლის მოძებნა (კომპლექსური დავალების პირობიდან გამომდინარე). შესაბამისად, სასწავლო პროცესი ხელს უწყობს საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებას. აღნიშნული დასტურდება მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებებით, რაც აღიწერა ინტერვიუს დროს, ასევე სასწავლო პროცესში გამოყენებული რესურსებით. კომპლექსური დავალებების განხორციელების ეტაპები იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსწავლემ პროცესებზე დაკვირვებით გააკეთოს დასკვნები, განახორციელოს კონკრეტული აქტივობები. ბოლო ეტაპზე კი შეძენილი ცოდნა გამოიყენოს პროდუქტის შესაქმნელად.

ინდიკატორი 2.2.1.4. დაკმაყოფილებულია

5. სასწავლო პროცესში საბაზო საფეხურზე დიდი ყურადღება ექცევა საგანთაშორისი კავშირების დამყარებას და ცოდნის სისტემატიზაციას, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში ტრანსფერის უნარის განვითარებას. ამ მიზნით საბაზო საფეხურის მასწავლებლები გეგმავენ და ატარებენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად პედაგოგები იყენებენ მაორგანიზებელ ცხრილებსა და სქემებს, რაც მოსწავლეებს ეხმარება ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაში.

ინდიკატორი 2.2.1.5. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასწავლო პროექტი;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- საკლუბო მუშაობის ამსახველი დოკუმენტაცია

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. (საბაზო საფეხური)

1. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;
2. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
3. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
4. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
5. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
6. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

1. სკოლის მიერ წარმოდგენილ ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტირებს. სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდაა გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებსა (რესურსებს,მასალას) და საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექნიზმს) შორის. აღნიშნულის დასტურად სკოლამ წარმოადგინა საგნობრივი კურიკულუმები, სასწავლო პროექტები, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი. ამ მასალების საფუძველზე ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე (სასწავლო შედეგებზე, სამიზნე ცნებებზე, ქვეცნებებზე, მკვიდრ წარმოდგენებზე). სკოლის პედაგოგებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია შემდეგნაირად: მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხს, ისმება საკვანძო შეკითხვები, განიხილება კომპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. იკვეთება სსსმ მოსწავლის ჩართულობაც, რომელიც ასრულებს მოდიფიცირებულ დავალებებს. აღნიშნული პროცესი მოსწავლეებს ეხმარება მასალის სიღრმისეულ გააზრებაში. საბოლოოდ, მოსწავლის მიერ იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით.

ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია

2. საბაზო საფეხურზე საგნობრივი კონტექსტები ძირითადად ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. ყველა დავალება და აქტივობა მიმართულია იქით, რომ მოსწავლე მაქსიმალურად ჩაერთოს სასწავლო პროცესში. გასაუბრებისას მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ, როცა გაკვეთილზე ემპათიის, ზრუნვისა და ტოლერანტობის კულტურული კლიმატია, მაშინ მოსწავლეთა მიერ მიღწეული შედეგებიც ბევრად მაღალია. მათ მიერ აღწერილი კომპლექსური დავალებები და კლასგარეშე აქტივობები მოსწავლეს საშუალებას აძლევს ამოიცნოს საკუთარი ღირებულებები, ძლიერი და სუსტი მხარეები, მართოს ემოციები. ამ მიზნით ისინი ხშირად გეგმავენ პროექტებს, შემეცნებითი ხასიათის ექსკურსიებს, სადამრიგებლო აქტივობებს. მათივე თქმით, საგნობრივი კურიკულუმების განვითარების პროცესში, მომავალი სასწავლო წლისთვის კურიკულუმების დაგეგმვისას ყურადღებას უფრო მეტად გაამახვილებენ არა მხოლოდ საგნობრივ თემატიკაზე, არამედ მოსწავლის მრავალმხრივ/ჰოლისტურ განვითარებაზე, რაც აისახება მოსწავლეების ისეთი ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებაზე, როგორიცაა კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა ხასიათი და ნებისყოფა/ნებელობა.

ინდიკატორი 2.2.2.2. დაკმაყოფილებულია

3. საბაზო საფეხურის მასწავლებლების მიერ წარმოდგენილი შეფასების ინსტრუმენტები არის მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარების წინაპირობა. სკოლაში საბაზო საფეხურზე შემუშავებულია როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები, რომელიც შესაბამისობაშია გრძელვადიან მიზნებთან. შეფასების სისტემა ორიენტირებულია არამხოლოდ ფაქტობრივი ცოდნის დაგროვებაზე, არამედ ითვალისწინებს მოსწავლის პიროვნული განვითარების ხელშეწყობას. წარმოდგენილი დოკუმენტაციის ანალიზისა და პედაგოგებთან გასაუბრებისას იკვეთება, რომ სკოლას გააზრებული აქვს მოსწავლეთა ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერის მიზანი და მნიშვნელობა. მიმდინარე შეფასებისთვის გამოიყენება სხვადსხვა სახის სადიაგნოსტიკო ტესტები და დავალებები, დაგეგმილია მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი. კომპლექსური დავალება ასრულებს შემაჯამებელი განმავითარებელი შეფასების როლს. კომპლექსური დავალებების შეფასება ხდება სოლო ტაქსონომიით. მასწავლებელი თითოეულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით ხედავს რა ცოდნა მიიღო მოსწავლემ, რამდენად ახერხებს ამ ცოდნის გამოყენებას და შესაბამისად აძლევს განმავითარებელ უკუკავშირს. განმავითარებელ შეფასებას იყენებენ სწავლის ხარისხის გასაუმჯობესებლად, მოსწავლის წინსვლისა და განვითარების ხელშესაწყობად, ხოლო განმსაზღვრელს-მოსწალის აკადემიური მიღწევის დონის დასადგენად. წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას აქვს მზაობა, შეფასების სისტემა აქცენტს აკეთებდეს არა მხოლოდ საგნობრივი საკითხების დასწავლაზე, არამედ იმის ანალიზზე თუ რამდენადაა ჩართული მოსწავლე სწავლა-სწავლების პროცესში.

ინდიკატორი 2.2.2.3. დაკმაყოფილებულია.

4. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში ხაზგასმულია, რომ სასკოლო საზოგადოებას უნდა ჰქონდეს განცდა, რომ შეფასება არის ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური, სამართლიანი და სანდო. საბაზო საფეხურის მასწავლებლები ეროვნული სასწავლო გეგმის შესაბამისად მოსწავლეებს აფასებენ განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებით. მოსწავლეებმა იციან, თუ როგორ შეფასდება მათი შრომა, იციან რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა პასუხმა თუ ნაშრომმა. მასწავლებლები წინასწარ ქმნიან და აცნობენ შეფასების რუბრიკებს, როგორც მშობლებსა და მოსწავლეებს, ისე ადმინისტრაციის წევრებს. შეფასების რუბრიკებში წარმოდგენილი კრიტერიუმები ხაზს უსვამს მოსწავლეთა ძალისხმევას, პასუხისმგებლობას, ჩართულობას, საკუთარი ნააზრევის გადმოცემის შესაძლებლობას და წარმოადგენდეს მათი სწავლის პროცესის რეფლექსიას. მასწავლებლების მიერ შემუშავებული რუბრიკებს განიხილავენ და ათანხმებენ კათედრის სხდომაზე, ხოლო პედაგოგიური საბჭო ამტკიცებს მათ. სკოლას აქვს შეფასების კრიტერიუმების შემუშავების პროცესში მოსწავლეთა ჩართულობის გამოცდილებაც. ასევე, სამართლიანობასა და გამჭვირვალობას ხელს უწყობს სასწავლო პროცესში გამოყენებული თვითშეფასება და ურთიერთშეფასება. აღნიშნული მიზნების მისაღწევად სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის აღმწერი დოკუმენტიც. სკოლის მიერ მტკიცებულებების სახით წარმოდგენილ დოკუმენტებსა და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლა სასწავლო პროცესში უზრუნველყოფს შეფასების სისტემის ვალიდურობას, გამჭვირვალეობას, სანდოობას, ობიექტურობასა და სამართლიანობას.

ინდიკატორი 2.2.2.4. დაკმაყოფილებულია.

5. სსიპ ქალაქ თბილისის N133 საჯარო სკოლას დირექტორის 06/09/2023 წლის N2-428 ბრძანებით დამტკიცებული აქვს მოსწავლეთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომლითაც უზრუნველყოფს შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის იდენტიფიცირებას შემდეგი მიმართულებებით: ა) შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია; ბ) პროცესის ვერიფიკაცია; გ) მტკიცებულებების ვერიფიკაცია. განსაზღვრულია აქტივობების განხორციელების დრო, ინსტრუმენტები და პასუხისმგებელი პირები. შეფასების სამიზნე ინსტრუმენტების შერჩევისას გათვალისწინებულია რისკები, საჭიროების შემთხვევაში ხარისხის განვითარების ჯგუფის

მიერ განსახორციელებელი აქტივობები. ახალი სასწავლო წლიდან იგეგმება მოსწავლის პორტფოლიოს წარმოება. ამ ეტაპზე სასწავლო პროცესის შეფასება მუდმივად ხორციელდება კათედრის სხდომებზე, განხილება შეფასების სისტემის (განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების) გამჭვირვალობის, ვალიდურობის, ობიექტურობისა და სანდოობის საკითხი; მსჯელობენ მოსწავლის განვითარების დინამიკაზე დავალებიდან დავალებამდე. დისკუსიას შედეგად მოსდევს შეფასების ინსტრუმენტების განვითარება (დახვეწა, უფრო მყარი შეთანხმება შეფასების კომპონენტთან დაკავშირებულ საკითხებთან დაკავშირებით).

ინდიკატორი 2.2.2.5. დაკმაყოფილებულია.

6. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლაში საგნობრივი კათედრები უზრუნველყოფენ შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას. მოსწავლეთა შეფასების ამსახველი დოკუმენტაცია სკოლაში ინახება კანონმდებლობით დადგენილი ვადით (3 წლით). კათედრებზე შენახულია მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებები, შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, მოსწავლეთა მიერ შესრულებული კომპლექსური დავალებები. შეფასებასთან დაკავშირებული ინფორმაციის ასახვა ხდება ელექტრონულ ჟურნალშიც, რომლის მონიტორინგსაც ახორციელებს სკოლის მიერ ბრძანებით განსაზღვრული პასუხისმგებელი პირი. სკოლას აქვს მოსწავლის პირადი საქმეებიც, სადაც შეტანილია მოსწავლეთა წლიური შეფასებები, ცნობები და ექსტერნის გამოცდებთან დაკავშირებული ინფორმაცია. აღნიშნული დოკუმენტაცია, სკოლის მიერ შემუშავებული საქმისწარმოების წესის შესაბამისად, ინახება საქმეთამმართველთან.

ინდიკატორი 2.2.2.6. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-24 პროექტი;
- პროექტები;
- შემაჯამებელი დავალების ანალიზი;
- კათედრის სხდომის ოქმები;
- სკოლის თვითშეფასების კითხვარი;
- საქმისწარმოების წესი

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას (საბაზო საფეხური)

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3.სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4.უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოება მზადაა, შექმნას სასწავლო პროცესისათვის ღია/მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო, თანაბრად ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო პროცესი, რომლის ფარგლებშიც, ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით, ყველა მოსწავლისთვის უზრუნველყოფილი იქნება სრულფასოვანი განათლების მიღების შესაძლებლობა. აღნიშნული დასტურდება 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმით, რომლის თითოეული პუნქტი და მასში გაწერილი საკითხები (სკოლის მისია და ხედვა, საათობრივი ბადე, შემუშავებული საგნობრივი პროგრამები, მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება, ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, საგნობრივი კათედრების მუშაობის პრინციპები და სხვ.) უზრუნველყოფს აღნიშნული მიზნის მიღწევას. პედაგოგებთან გასაუბრებისას იკვეთება, რომ სკოლაში საკმაოდ ღია და მიმღებლობითი, პოზიტიური სასკოლო კლიმატია. თანამშრომლობითი და პოზიტიური კომუნიკაციაა მასწავლებლებსა და დირექციას შორის. მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და გამოცდილების გაზიარებაზე, ისინი ხშირად ერთობლივად გეგმავენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ესწრებიან გაკვეთილებს და გასცემენ კონსტრუქციულ უკუკავშირს. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები და რიგ შემთხვევებში მასში ჩაშენებული კომპლექსური დავალებების პირობა მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს საბოლოო პროდუქტი წარმოადგინონ მათთვის მისაღები საპრეზენტაციო ფორმით, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო.

ინდიკატორი 2.2.3.1. დაკმაყოფილებულია

2. პედაგოგებთან გასაუბრების დროს, აგრეთვე სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, გამოიკვეთა, რომ სკოლა ორიენტირებულია მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე, მათ ინდივიდუალურ მხარდაჭერაზე. აღნიშნული აისახება საგნობრივ კურიკულუმებშიც, მასწავლებლები ქმნიან უსაფრთხო გარემოს მოსწავლეებთან თანამშრომლობით, ხელს უწყობენ და ახალისებენ თვითრეგულირებად ქცევას და თანამშრომლობითი უნარების განვითარებას. თითოეული მასწავლებელი კომპლექსური დავალებების დანერგვით უზრუნველყოფს მოსწავლეთა თანაბარ ჩართულობას სასწავლო პროცესში, დიფერენცირებულ მიდგომების დახმარებით ითვალისწინებენ მათ ინტერესებს, ასაკს, თავისებურებებსა და საჭიროებებს. პედაგოგები აღნიშნავენ, რომ მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და რეგულირებაში ძალიან მნიშვნელოვანია. ამისათვის ისინი იყენებენ კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმებს. სკოლას შემუშავებული აქვს სადამრიგებლო პროგრამებიც, სადამრიგებლო საათის თემის შერჩევისას ასევე გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და საჭიროებები. სკოლა აგრეთვე ახორციელებს მრავალფეროვან სასწავლო თუ სოციალურ პროექტებს, ხშირად იმართება პროექტებისა და კომპლექსური დავალებების განხორციელების პროცესში შექმნილი პროდუქტების გამოფენა.

გასაუბრების პროცესში პედაგოგები აღნიშნავენ, რომ სამომავლოდ ეცდებიან გაზარდონ სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაში მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობის ხარისხი, მათი თანამონაწილეობით შეარჩიონ სასწავლო პროექტების, სასკოლო კლუბებისა და წრეების საქმიანობის თემატიკა, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ზრდასა და დადებითად აისახება მათ სასწავლო შედეგებზე.

ინდიკატორი 2.2.3.2. დაკმაყოფილებულია

3. პედაგოგებთან გასაუბრებისა და სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების გაცნობისას იკვეთება, რომ ეფექტურად მიმდინარეობს თანამშრომლობა სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. მასწავლებლებს კარგად აქვთ გააზრებული ურთიერთთანამშრომლობის დადებითი ასპექტები. საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, ხორციელდება მრავალფეროვანი არაფორმალური აქტივობები. მასწავლებლები ერთად გეგმავენ გაკვეთილებს და ესწრებიან ერთმანეთს, აჯამებენ წინა წლის შედეგებს და ერთად ქმნიან მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმს, არჩევენ რომელ კომპლექსურ დავალებას განახორციელებენ, რომელმა გამოიწვია მოსწავლეებში მეტი დაინტერესება, ერთობლივად ქმნიან სასწავლო რესურსებს. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ თანამშრომლობა სკოლის პრიორიტეტული მიმართულებაა, მათი თქმით, კოლეგებს შორის ხშირად იმართება პროფესიული დისკუსიები, აზრთა გაცვლა-გამოცვლა და საჭიროების შემთხვევაში ისინი მუდმივად გამოთქვამენ მზაობას ურთიერთდახმარებისთვის. მოსწავლეებს, მშობლებს და სკოლის თანამშრომლებს ყოველთვის შეუძლიათ დააფიქსირონ საკუთარი აზრი სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით, ხშირად ხდება მათი პოზიციის გათვალისწინება. სკოლას ასევე ჰყავს ხარისხის მართვის ჯგუფი, რომელიც გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებით, "კრიტიკული მეგობრის" როლის მორგებითა და გამოცდილების ურთიერთგაზიარებით თანამშრომლობისა და ღიაობის მაგალითს აძლევს სკოლის ყველა სტრუქტურულ ერთეულს.

ინდიკატორი 2.2.3.3. დაკმაყოფილებულია.

4. სკოლაში არის სოციალურად, ემოციურად და ფიზიკურად უსაფრთხო გარემო. ჩანს, რომ მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები ერთად მუშაობენ პოზიტიური გარემოს შექმნისათვის, ამას ხელს უწყობს სკოლაში არსებული კლუბები, პროექტები და არაფორმალური აქტივობები, რომელიც მოსწავლეთა საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებით იგეგმება. სასკოლო საზოგადოების წევრები ჩართულნი არიან სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში. მასწავლებლებმა, გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ პოზიტიური სასწავლო კლიმატის შესაქმნელად მნიშვნელოვანი ფაქტორებია: აღიარება/პატივისცემა, ნდობა, მაღალი მორალური ღირებულებები, ჩართულობის მაღალი შესაძლებლობები, თანამშრომლობა, შესაბამისად, ისინი ცდილობენ წაახალისონ სამოქალაქო აქტივობებსა და პროექტებში მოსწავლეთა ჩართულობა, ძალადობისა და კონფლიქტების პრევენციული ღონისძიებებში მონაწილეობა, თანატოლების თანამშრომლობისა და თანასწავლების წახალისება და სხვ. მაღალია მშობელთა ჩართულობის ხარისხი როგორც საკლასო, ასევე სასკოლო ცხოვრებაში.

ინდიკატორი 2.2.3.4. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები
- ინტერვიუ; კომპლექსური დავალებები;

- საგნობრივი კურიკულუმები
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- შეფასების რუბრიკები
- კათედრის ოქმები.
- ხარისხის ჯგუფის დებულება;
- სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება (საბაზო საფეხური)

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას დამტკიცებული აქვს სასკოლო კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც პროცედურულად გაწერილია მისი განხორციელების ეტაპები, პასუხისმგებლობები, ანგარიშვალდებულებათა ჩარჩო, რაც ხელს შეუწყობს კურიკულუმების მონიტორინგისა და შეფასების უწყვეტი, ციკლური პროცესის განხორციელებას და უზრუნველყოფს სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე დაყრდნობით მის ყოველწლიურად განახლებას. სასკოლო საზოგადოებას გააზრებული აქვს, რომ კურიკულუმის განვითარება არის ციკლური პროცესი, მონიტორინგი და შეფასება კი ამ პროცესის განუყოფელი ნაწილია და თვლის, რომ აუცილებელია კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმის დახვეწა, შესაბამისად, მიმდინარე სასწავლო წელს სკოლა გამოკვეთს მონაცემთა მიზნობრიობას, მათი შეგროვებისა და ანალიზის პროცესებს, როგორ შეიძლება გამოყენებულ იქნას მიღებული შედეგები კურიკულუმისა და სწავლა-სწვალების პროცესის გაუმჯობესებისათვის. განსაზღვრავს ინდიკატორებს, რომელიც შესაძლებლობას მისცემს სკოლას გაზომოს როგორც პროცესი -რა განხორციელდა მიზნის მისაღწევად, ასევე მიღწეული შედეგები. მონიტორინგისა და შეფასებისათვის გამოიყენება მოსწავლეთა

კომპლექსური დავალებების შედეგები, გაკვეთილებზე დასწრების ანალიზი, კათედრის ანგარიშები და სხვა. სკოლაში აღნიშნული მიმართულებით მონიტორინგს განახორციელებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი და სკოლის დირექცია.
ინდიკატორი 2.3.1.1. დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის ჩანაწერებში, თანდართულ დოკუმენტებში და პედაგოგებთან ინტერვიუების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სკოლა მუშაობს კურიკულუმის განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების სისტემაზე, გეგმავს მასწავლებელთა მხარდაჭერასა და დახმარებას, მათ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვასა და ხელშეწყობას. მტკიცებულებებზე დაყრდნობით მასწავლებლებს შეუძლიათ შეაფასონ მოსწავლის სწავლის პროცესი, დაადგინონ ის სფეროები და უნარები, სადაც მოსწავლეს დახმარება სჭირდება, მისცენ უკუკავშირი და მიგნებების გათვალისწინებით დაგეგმონ სწავლის პროცესი. მონიტორინგი და შეფასება ხელს შეუწყობს სკოლის მომავლის დაგეგმვას, ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებასა და ახალი შესაძლებლობების შეფასებას. სკოლას აქვს სასწავლო პროცესის შეფასების გამოცდილება, ხორციელდება დაგეგმილი და რეალიზებული აქტივობების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი. მასწავლებლები ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილზე, განიხილავენ პროცესში გამოვლენილ პრობლემებსა თუ საუკეთესო გამოცდილებას, აფასებენ რამდენად სწორედ მოქმედებენ, რამდენად მდგრადია მათ მიერ დაგეგმილი აქტივობებით მიღწეული შედეგები და აანალიზებენ არსებობს თუ არა სხვა ალტერნატივა უკეთესი შედეგების მისაღწევად.
ინდიკატორი 2.3.1.2. დაკმაყოფილებულია.

3. სკოლას გაცნობიერებული აქვს ის ფაქტი, რომ დაწესებულების მიერ განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ანალიზში ასახული უნდა იყოს კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, განსაზღვრული უნდა იყოს ხელისშემშლელი ფაქტორები და არსებული შესაძლებლობები კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის. სკოლას აღნიშნული მიმართულებით შემუშავებული აქვს პრიორიტეტული და სტრატეგიული ხედვა, რომელიც ასახულია კურიკულუმში. შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლას აქვს მზაობა, სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და შეფასების გზით მოახდინოს პრობლემების გამოვლენა და მათ გადაჭრის გზების ძიება. სასწავლო წლის ბოლოს დირექცია და ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი საგნობრივი კათედრების მიერ წარმოდგენილი ანგარიშების, აგრეთვე მასწავლებელთა სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშის საფუძველზე მოახდენს მიმდინარე სასწავლო წლის შეფასებას, ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოკვეთასა და შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვას.
ინდიკატორი 2.3.1.3. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ოქმი
- შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-24 პროექტი.

- კომპლექსური დავალებების ანალიზები
- გაკვეთილზე დასწრების და შეფასების ფორმები.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს (საბაზო საფეხური)

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტითა და პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას გაცნობიერებული აქვს, თუ რას ნიშნავს შეფასების ჰოლისტური ხასიათი, რომ ესაა ინტეგრირებული, ერთიანი და სისტემური მიდგომა და მოიცავს მონაცემების შეგროვებას მრავალფეროვანი მეთოდებით, მრავალი სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით, რაც ამცირებს შეფასების ვარიაციის შეცდომას. პროცესების, მოსწავლის, პრობლემის, გამოწვევის შესახებ ინფორმაციის შეგროვებისას მნიშვნელოვანია იგი მოპოვებული იყოს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. პედაგოგები საუბრისას აღნიშნავენ, რომ მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მოსწავლის მიღწევების, მისი ცოდნისა და უნარების, არამედ მთლიანად სასწავლო პროცესის შეფასება, რაც ემსახურება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების დიაგნოსტირებას, პრობლემების ანალიზსა და მათი მოგვარების გზების ძიებას. გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა შეფასება ძირითადად ხორციელდება ზეპირსიტყვიერად, განმავითარებელი კომენტარების საშუალებით, სწავლის შედეგების ანალიზი ხდება კათედრებზე, სამუშაო შეხვედრებზე. 2023 – 2024 სასწავლო წლისთვის მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში პედაგოგების მიერ მოხდება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შემუშავება თემების ფარგლებში შერჩეული ძირითადი საკითხების, კომპლექსური დავალებების მიხედვით. ამასთან, გამოკვეთილი პრობლემის შეფასებისა და მოგვარების მიზნით ინფორმაცია შეგროვდება რაც შეიძლება მრავალფეროვანი წყაროებიდან - ეს შეიძლება იყოს მოსწავლე, მშობელი, მასწავლებელი, დამრიგებელი თუ სკოლის სხვა პერსონალი. სკოლა მუშაობს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის სასწავლო პროცესზე მორგებაზე, სადაც ასახული იქნება ისიც, თუ როგორ (რა საშუალებებით) განხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება (რა წყაროების საშუალებით მოხდება დანერგვის პროცესის შესახებ ინფორმაციის შეგროვება). აღნიშნული მიზნის მისაღწევად სკოლა გეგმავს ჩაატაროს დიაგნოსტიკური ტესტირებაც.

ინდიკატორი 2.3.2.1. დაკმაყოფილებულია.

2. სასკოლო შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. სკოლა მუშაობს მკაფიოდ გაწერილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკებისა და მოსწავლის მიერ სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომიის აღმწერი რუბრიკების შექმნაზე, რომელშიც სადაც მკაფიოდ იქმება გაწერილი, რომ მოსწავლეები შეფასდებიან გრძელვადიან მიზნებზე, ცნებებზე,

შედეგებზე დაყრდნობით. პედაგოგებთან გასაუბრების დროს აღნიშნული მიმართულებით გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს მზაობა მოსწავლეთა შეფასება განახორციელოს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, მათი განმარტებით სრულყოფილი ინფორმაციისთვის აუცილებელია მოსწავლის სხვადასხვა კონტექსტში შესწავლა. აღინიშნა, რომ შეფასებისას ითვალისწინებენ მრავალგვარ კონტექსტს, როგორებიცაა: შესასწავლი თემა და საკითხი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები და საფეხურის ფარგლებში ცნებების დაფარვის ხარისხი. მათი დასკვნის სისწორეს კი მრავალი კონტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს.

ინდიკატორი2.3.2.2 დაკმაყოფილებულია

3. პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა იყენებს მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდეს - კითხვარის შევსება, ინტერვიუ მცირე ჯგუფებთან, შეხვედრები, მასწავლებელთა თვითრეფლექსიები, ურთიერთდასწრების ანგარიშები, მოსწავლეთა პორტფოლიოები, სადიაგნოსტიკო წერების ანგარიშები, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ოქმები და სხვ. სკოლა ადასტურებს მზაობას, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში ასახოს მონიტორინგისა და შეფასების ასპექტები, მათ შორის რა მეთოდებს, როდის, როგორ გამოიყენებს დანერგვის პროცესის შესახებ მონაცემების შესაგროვებლად.

ინდიკატორი 2.3.2.3. დაკმაყოფილებულია

4. პედაგოგებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ მოსწავლის შეფასება ხდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. პედაგოგები ხშირ შემთხვევაში იყენებენ ზეპირსიტყვიერ განმავითარებელ უკუკავშირს, მშობლებთან წერილობით და ზეპირ უკუკავშირს მოსწავლის სასწავლო შედეგებთან დაკავშირებით და სხვ. სკოლა შეფასებისას ეყრდნობა როგორც მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, ასევე მათ პიროვნულ მახასიათებლებსა და სოციალურ ფაქტორებს. სკოლა აცნობიერებს, რომ სასწავლო პროცესის მონიტორინგი და სწორი შეფასება, მისი ეფექტური განხორციელება განაპირობებს სასკოლო საზოგადოების წინსვლას, სასწავლო დაწესებულების ავტორიტეტის ამაღლებას. შესაბამისად, 2023 – 2024 სასწავლო წელს გეგმავს სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული შეფასების სისტემა იყოს უფრო მეტად კომპლექსური, მულტიფაქტორული, რომლის გამოყენების დროსაც მოხდება მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების სრულყოფილი ანალიზი.

ინდიკატორი 2.3.2.4. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შეფასების რუბრიკები;
- სკოლის თვითშეფასების კითხვარი;
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;

- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-24 პროექტი;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია (საბაზო საფეხური)
2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შემუშავებულ კურირულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის ჩანაწერში - „პრინციპები, რომელიც ეფუძნება სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესს“ - ასახულია კურიკულუმის განვითარების ძირითადი პრინციპები, რომელებიც დაკავშირებულია სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმების გადასინჯვისა და რევიზიის პროცესთან. მეთოდოლოგიის დოკუმენტში მოცემულია შემდეგი ჩანაწერი: „კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვებული მონაცემების საფუძველზე; სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე.“ საბაზო საფეხურის პედაგოგებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია განხორციელდება კათედრის სხდომებზე, სადაც წევრები გაცვლიან კურიკულუმის დანერგვისა და განხორციელების შესახებ მონაცემსა და გამოცდილებას, გამოიკვეთება კურიკულუმის პროდუქტიულობა და ხარვეზები. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აგრეთვე აღნიშნეს, რომ მონაცემების შეჯერების საფუძველზე შეიქმნება რეკომენდაციების პაკეტი

მომდევნო წლისთვის წარმოდგენილი სასკოლო კურიკულუმის განვითარებისთვის და დაგეგმვის პროცესში მიღებული მიგნებები და რეფლექსიის შედეგები გააზრებული და გაზიარებული იქნება სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორი 2.4.1.1. დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების გადამუშავებული ვერსიები ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. 2022-2023 სასწავლო წელს სკოლა იყენებდა სამინისტროს საგნობრივი ექსპერტების მიერ მოწოდებულ საგნობრივ კურიკულუმებს. მათი განხორციელებისას მიღებული გამოცდილება, შეფასების შედეგად მიღებული მიგნებები აისახა მიმდინარე სასწავლო წლის კურიკულემებში. სკოლის „კურირულუმის შემუშავებისა დაგანვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტში, პუნქტში - კურიკულუმის რევიზია - ჩანს, რომ სკოლას აქვს ხედვა, როგორ უნდა იყოს ჩართული კურიკულუმის რევიზიის პროცესში სასკოლო საზოგადოება და რა მიმართულებით გაანალიზდება რევიზიის შედეგები. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს დაადასტურეს ზემოთ აღნიშნული მიდგომების მიმართ მზაობა და აღნიშნეს, რომ გაითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას და გააგრძელებენ მუშაობას საგნობრივი კურიკულუმების განვითარებაზე. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლას აქვს მზაობა, სასკოლო კურიკულუმის რევიზირებულ ვერსიაში აისახოს მოსწავლეთა შედეგები, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი და რეალიზებული პროცესების რეფლექსიები, სასწავლო მასლების ეფექტიანობის და ვალიდობის მონაცემები და ა.შ.

ინდიკატორი 2.4.2.2. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კომპლექსურის რევიზიის დოკუმენტი
- სკოლის თვითშეფასების კთხვარი;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- სასკლო სასწავლო გეგმა 2023-24 პროექტი;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (საშუალო საფეხური)	■ **შეესაბამება** ☐ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

1. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას;
2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები;
3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ;
4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სსიპ ქალაქ თბილისის N133 საჯარო სკოლაში დირექტორის 2023 წლის 14.06 N2-217 ბრძანებით დამტკიცებულია კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია, სადაც აღწერილია, თუ როგორ ხდება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების შესწავლა და კურიკულუმში ასახვა. ამავე დოკუმენტში აღნიშნულია, რომ „კურიკულუმი ვითარდება მოსწავლეების, მშობლების, მასწავლებლებისა და დირექციის აქტიური ჩართულობით და ითვალისწინებს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებს“. კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიაში დაწვრილებით არის აღწერილი თუ რა საშუალებებით ხდება სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტების შესწავლა და კურიკულუმში ასახვა. წარმოდგენილ დოკუმენტებში არის ასევე კითხვარები სკოლის მიერ შეთავაზებული სერვისებით კმაყოფილების შესასწავლად, ასევე ამ გამოკითხვების ანალიზი. სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმები აგებულია ეროვნულ სასწავლო გეგმაში გაწერილი პრინციპებისა და მეთოდიკური ორიენტირების შესაბამისად. საგნობრივი სტანდარტები საფეხურეობრივია, მისაღწევი შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე; სწავლის მიზნები ფორმულირდება სტანდარტის შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით; სასწავლო პროცესი იგეგმება თემატურად. თემა წარმოადგენს მოსწავლის გამოცდილებასთან ახლოს მყოფ კონტექსტს საგნობრივი ცოდნის დასამუშავებლად; თითოეული თემის ფარგლებში მუშავდება სტანდარტის ყველა შედეგი და სამიზნე ცნება; სასწავლო პროცესისთვის რესურსები შეირჩევა გრძელვადიანი მიზნების შესაბამისად; სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომებით; სიღრმისეული სწავლის უზრუნველყოფა ხორციელდება სწავლების კონსტრუქტივისტული მიდგომით, კერძოდ, კურიკულუმის შემუშავებისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნა, სასწავლო მასალის ეტაპობრივად მიწოდება, ახალი საკითხების, ცნებების საფუძვლიანად და განსხვავებულ კონტექსტებში განხილვა, საგანთაშორისი კავშირების გამოვლენა და საერთო ასპექტების დამუშავება; სწავლება ეფუძნება მოსწავლის შინაგანი მოტივაციის გამოწვევას საგანთაშორისი კავშირებით და სწავლების კავშირით მოსწავლის ინეტერსებს, შესაძლებლობებს, ღირებულებებს და გამოცდილებას შორის; სწავლება ეფუძნება მოსწავლის ჰოლისტური განვითარების ხედვას პოზიტიური სასკოლო და საკლასო კლიმატის უზრუნველყოფისა / სოციო-ემოციური სწავლის გზით). ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მაღალია მშობელთა ჩართულობა და მოსწავლეთა საჭიროებების თუ ინტერესების გამოკვეთა მათი დახმარებით, გარდა გამოკითხვებისა, ყოველდღიური საუბრებით, ასევე მოსწავლეებზე დაკვირვებით ხორციელდება. კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია საშუალო საფეხურის ყველა პედაგოგი. კათედრის სხდომებზე მასწავლებლები წარადგენენ ინდივიდუალურ ხედვას, ხდება კოლეგებთან ერთად მათი განხილვა, უკუკავშირი, გასული წლების გამოცდილების გაზიარება და შეჯერება საბოლოო ვერსიაზე. ასევე დამრიგებლების მეშვეობით ხდება სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებთან კონცეპტუალური იდეების განხილვა გამოწვევებისა და შესაძლებლობების

იდენტიფიცირების მიზნით. სკოლა აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელებს იდეების, გამოცდილებების, რეფლექსიების და უკუკავშირის თავმოსაყრელად. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ისინი ერთობლივად აუმჯობესებენ წლის განმავლობაში განხორციელებულ კომპლექსური ბუნების დავალებებს, და ამგვარად შეიმუშავებენ საგნობრივ კურიკულუმებს. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კურიკულუმის შემუშავებისას ძირითადი ორიენტირი ეროვნული სასწავლო გეგმა, სასკოლო საზოგადოების ინტერესები, შეხედულებები, შესაძლებლობები და პრიორიტეტებია.

ინდიკატორი 2.1.1.1. დაკმაყოფილებულია

2. საგნობრივ კურიკულუმებში გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. აღნიშნული მიმართულებით სკოლას მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი აქვს მშობელთა კრების ოქმები, კათედრების სხდომის ოქმები, რომლებიც ადასტურებენ მშობლების და მასწავლებლების მონაწილეობას კურიკულუმის შემუშავების პროცესში. მოსწავლეების ვერბალური გამოკითხვის საშუალებით მასწავლებლები ადგენდნენ და მომავალშიც დაადგენენ მათ ინტერესებს კომპლექსური დავალების თემასა და ტიპებთან დაკავშირებით. მასწავლებლები აკვირდებიან მოსწავლეთა ჩართულობას და აქტიურობას კომპლექსური დავალებების შესრულების პროცესში და გამოჩენილი ინტერესების შესაბამისად არჩევენ კომპლექსური დავალების ტიპს და წარდგენის ფორმას. სკოლას წარმოდგენილი აქვს კურიკულუმის განვითარებაში მასწავლებლების როლის დამადასტურებელი დოკუმენტები: მასწავლებელთა მიერ წლის განმავლობაში განხორციელებული რეფლექსიები, მიგნებები და სასწავლო პროცესის ანალიზი (მათ მიერ მოსწავლეებისთვის შეთავაზებული კომპლექსური დავალებები, მათი შეფასების ნიმუშები, რეფლექსიები და ა.შ.). აღნიშნული დოკუმენტების ანალიზი არის მნიშვნელოვანი წყარო კურიკულუმის რევიზიისთვის. ყველა სასწავლო თუ კლასგარეშე აქტივობა ეფუძნება მოსწავლის უკუკავშირს და მისი გამოცდილების ნაკადს. საგნობრივი კურიკულუმები მრავალფეროვანია თემატური კონტექსტების თვალსაზრისით, ითვალისწინებს მოსწავლის ასაკობრივ და პიროვნულ თავისებურებებს, შეთავაზებული კომპლექსური ტიპის დავალებები წარმოადგენს პრობლემაზე დაფუძნებულ, პროექტული ტიპის დავალებებს, სადაც განსაკუთრებული ყურადღება ექცევა მოსწავლეთა უკუკავშირს, თვითშეფასებასა და ურთიერთშეფასებას. კურიკულუმის განვითარებაში განუზომელია სასკოლო ადმინისტრაციის როლი, რაც გამოიხატება როგორც ადმინისტრირებაში, ასევე შინაარსობრივ მხარდაჭერასა და პროცესების მიზნობრივ მართვაში. საკმაოდ მჭიდროა კავშირი ადმინისტრაციასა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრებს შორის. ადმინისტრაცია გვევლინება ფუნქციური ლიდერებისა და მათი ინოვაციური იდეების წახალისების მხარდამჭერად. უკუკავშირის მიღება, იდეების გაზიარება და ხელმისაწვდომობა უმთავრესად ხორციელდება პირისპირ და უშუალო კონტაქტების გზით, ასევე სოციალური ქსელებით. სკოლის მიერ მტკიცებულებების სახით წარმოდგენილ სტრატეგიული განვითარების გეგმაში გაწერილია მიმართულებები, რომლის დახვეწასაც გეგმავს სკოლა: სასწავლო პროცესის ხარისხის ამაღლება, სასკოლო საზოგადოების ჩართულობა, მოსწავლეთა მხარდაჭერის გაუმჯობესება. ამის მიღწევას გეგმავენ ახალი პროგრამების შემუშავება-დანერგვით, სასწავლო პროცესის ხარისხის გაზრდით, აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების მიზნით მოსწავლეებში მოტივაციის გაზრდით, მშობლებთან ურთიერთობის ფორმების დახვეწით, მართვის კოლეგიური ორგანოების გააქტიურებით, დამატებითი სერვისების განვითარებით. ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები.

ინდიკატორი 2.1.1.2. დაკმაყოფილებულია

3. სსიპ ქალაქ თბილისის N133 საჯარო სკოლის კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულნი იყვნენ სასკოლო საზოგადოების წევრები: მასწავლებლები, მშობლები, სკოლის ადმინისტრაცია, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი. აღნიშნული მიზნის მისაღწევად კათედრების წევრები ერთმანეთთან თანამშრომლობენ და ერთად შეიმუშავებენ მომდევნო სასწავლო წლის სასწავლო პროგრამას

და მისი რეალიზაციისთვის საჭირო აქტივობებს. პედაგოგები თანხმდებიან შესასწავლ თემებზე, ასევე იმაზე, თუ რა საკითხებს და ქვესაკითხებს ასწავლიან თემის ფარგლებში გამოკვეთილი ცნებების გასააზრებლად, რომელ კომპლექსურ დავალებებს განახორციელებენ, რა ძირითადი რესურსები დასჭირდებათ, რა შეფასების ინსტრუმენტებს გამოიყენებენ. კურიკულუმების შემუშავებისას თითოეული მასწავლებლის როლი გაწერილია კათედრების სხდომების ოქმებში, პასუხისმგებელი პირები მინიშნებულია კათედრის სამოქმედო გეგმაშიც. ინტერვიუდან იკვეთება კურიკულუმების შემუშავებაში სასკოლო საზოგადოებისა და დაინტერესებული პირების ჩართულობაც. ზემოთქმულიდან გამომდინარე, შეგვიძლია ვთქვათ, რომ კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორი 2.1.1.3 დაკმაყოფილებულია

4. სსიპ ქალაქ თბილისის N133 საჯარო სკოლის სასკოლო კურიკულუმი და მისი მხარდამჭერი მასალები (საგნობრივი პროგრამები, სადამრიგებლო საათის პროგრამა, არაფორმალური სწავლების სხვადასხვა საშუალება) ხელმისაწვდომია და საჯაროა სასკოლო საზოგადოების ყველა დაინტერესებული მხარისთვის. სასკოლო კურიკულუმის გაზიარება ხდება კათედრაზე, პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე. სკოლის კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის მიხედვით დირექციის ფუნქციებში შედის სასკოლო კურიკულუმთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირება და მათი მხრიდან უკუკავშირის მიღების უზრუნველყოფა სხვადახვა არხებით (სკოლის ვებგვერდი, სოციალური მედია, ნაბეჭდი მასალები და სხვა).

ინდიკატორი 2.1.1.4. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- კითხვარი მოსწავლეებისთვის
- სკოლის თვითშეფასების კითხვარი
- შვიდწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა;
- კათედრის ოქმები
- პედაგოგიური საბჭოს სამუშაო გეგმა;
- 2022-2023 სასწავლო წლის კათედრის სამოქმედო გეგმები
- მშობელთა კრების ოქმები;
- სკოლის ფეისბუქ გვერდი;
- სადამრიგებლო საათის გეგმა;

2.1.2. კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების და მეთოდური ორიენტირების მოთხოვნებს (საშუალო საფეხური)

1. შემუშავებული კურიკულუმი/ები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას;
2. კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს (გლობალური ფუნქციური უნარები (6 უნარი), მაკრო ცნებები, სამიზნე ცნებები და შედეგები);
3. სასწავლო პროცესი ითვალისწინებს დიფერენცირებულ/ინკლუზიურ მიდგომებს;
4. განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასება მიემართება გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს;
5. დაგეგმვის პროცესში გათვალისწინებულია წინარე გამოცდილების ანალიზი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ მტკიცებულებების სახით წარმოდგენილი საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმას, საგნობრივ სტანდარტებს და წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში ჩანს, რომ მუშავდება ყველა სამიზნე ცნება, შერჩეული კომპლექსური დავალებები ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე. ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის დონეზე. შუალედური მიზნები, შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად, განისაზღვრება სკოლისა და მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებების და არსებული მოცემულობის შესაბამისად. ცნებების საშუალებით გამთლიანებულ მიზნობრივ ორიენტირად არის წარმოდგენილი ცოდნა, უნარები და დამოკიდებულებები. კურიკულუმში ინტეგრირებულია მეტაკოგნიციის განვითარების სტრატეგიები, წახალისებულია რეფლექსია მოსწავლის შესრულებულ სამუშაოზე - რა გამოვიდა კარგად, რატომ, რა იყოს ის ცოდნა და გამოცდილება, რამაც წარმატება მოიტანა, რა ვერ შეძლო, რას შეიძლებოდა ხელი შეეშალა წარმატების გზაზე. უპირატესობა ენიჭება კომპლექსური ბუნების დავალებებს, რომლთა შესრულებასაც მოსწავლის მთლიანპიროვნული, ინტეგრირებული გამოცდილება და მაღალი სააზროვნო უნარები სჭირდება. პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა მასწავლებლების სამომავლო ხედვა, მათ სწორი აქცენტები გააკეთეს კომპლექსური დავალების, როგორც შუალედური და გრძელვადიანი მიზნის მიღწევის საშუალებაზე. წარმოდგენელი კურიკულუმის ჩარჩოების/დოკუმენტაციის საშუალებით პედაგოგები ჰოლისტურ წარმოდგენას გვიქმნინან, რომ მათ მიერ შექმნილი სასწავლო გარემო ორიენტირებულია თითოეული მოსწავლის განვითარებაზე. იყენებენ რა პროექტული შინაარსის დავალებებს მოსწავლეებს, მოსწავლეებს აძლევენ შესაძლებლობას კეთებისა და კვლევის პროცესში თავად მოახდინონ ცოდნის კონსტრუირება.

ინდიკატორი 2.1.2.1. დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზისას გამოიკვეთა, რომ საგნობრივი კურიკულუმები, ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, მოსწავლეთა შეფასებისა და მასწავლებლების თვითრეფლექსიის ამსახველი დოკუმენტები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. კურიკულუმის ჩარჩო ცხრილებში ძირითადად სწორად არის გაწერილი მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის სტანარტით განსაზღვრული სავალდებულო თემები, სამიზნე ცნებები და ქვეცნებები, შერჩეულია კომპლექსური დავალებები, შესაბამისი რესურსები, რომლებიც მოსწავლეებს უვითარებს დამოუკიდებელი სწავლის, კრიტიკული აზროვნების, პრობლემების გადაჭრისა და ეფექტური კომუნიკაციის უნარებს, რაც შესაბამისობაშია სიღრმისეული სწავლების პრინციპებთან. სკოლას აქვს კომპლექსური დავალებებით სწავლების გამოცდილება, წარმოდგენილ კომპლექსურ დავალებებზე მუშაობა მოსწავლეებისგან მოითხოვს

კრიტიკულ აზროვნებას, თანამშრომლობას, კომუნიკაციას, მოქალაქეობრივ პოზიციას. დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ მოსწავლეებს განუვითარდეთ შემოქმედებითი აზროვნება. მოსწავლეების მიერ ახალი ცოდნის მიღება ხდება კონსტრუქტივიზმის პრინციპებზე დაყრდნობით. საგნებრივი კურიკულუმები ძირითადად ორინეტირებულია მოსწავლეებში გლობალურ-ფუნქციური უნარების (6 ფუნქციურ -კომპონენტური უნარი) - კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა, ხასიათი ნებისყოფა/ნებელობა - განვითარებაზე. მნიშვნელოვანია პროექტული სწავლების როლი სასწავლო პროცესში, სკოლამ წარმოადგინა განხორციელებული პროექტების ამსახველი დოკუმენტაცია, სადაც გაწერილია ის ნაბიჯები, რომლებიც მოსწავლეს ხელს უწყობს განივითაროს გლობალური ფუნქციური უნარები.

ინდიკატორი 2.1.2.2. დაკმაყოფილებულია.

3. წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და მასწავლებლებთან გასაუბრების მიხედვით იკვეთება, რომ ისინი იცნობენ და საკუთარ პედაგოგიურ პრაქტიკაშიც აქტიურად იყენებენ დიფერენცირებული სწავლების მიდგომებსა და მოდიფიცირებულ რესურსებს. გაკვეთილებზე ტარდება ექსპერიმენტები, იყენებენ მრავალფეროვან რესურსებს. სწავლა-სწავლების პროცესი მიმდინარეობს იმგვარად, რომ ხელი ეწყობა ცოდნის ტრანსფერს ყოფა-ცხოვრებაში. ხორციელდება მრავალფეროვანი პროექტები, კონკურსები, ეწყობა კონფერენციები და გამოფენები. სკოლაში ფუნქციონირებს კლუბები, სადაც ეფექტურად ხორციელდება არაფორმალური განათლება. მასწავლებლები ცდილობენ გამოკვეთონ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებები, ინტერესები და მათი გათვალისწინებით დაგეგმონ მოსწავლეზე მორგებული სასწავლო პროცესი. საშუალო საფეხურის მასწავლებლებს აქვთ საკმარისი გამოცდილება სსსმ მოსწავლეებთან წარმატებული მუშაობისა, შედგენილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, რომლებიც მორგებულია სსსმ მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს, თითოეული სსსმ მოსწავლისათვის სკოლაში შექმნილია ისგ ჯგუფები და ეროვნული სასწავლო გეგმით დადგენილი პერიოდულობით ტარდება სხდომები. გასაუბრებისას ნათელი გახდა, რომ კათედრის წარმომადგენლები კარგად იცნობენ ინკლუზიური სწავლების მეთოდებს, აცნობიერებენ ინკლუზიური განათლების მნიშვნელობას და სასწავლო პროცესს გეგმავენ შესაბამისად.

ინდიკატორი 2.1.2.3. დაკმაყოფილებულია.

4. მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვისა და განხორციელების პროცესში სკოლა იყენებს როგორც განმავითარებელ, ასევე განმსაზღვრელ შეფასებას. წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები მოიცავს საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნებთან/ კრიტერიუმთან და მიღწევის საერთო მაჩვენებელთან მიმართებით სწავლის შედეგების აღწერას, განმავითარებელი შეფასება მორგებულია გრძელვადიან მიზნებსა და მეთოდიკურ ორიენტირებს. მასწავლებლებს შემუშავებული აქვთ განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები (თვითშეფასება, შესასვლელი და გასასვლელი ბილეთები, ურთიერთშეფასება, ჯგუფური მუშაობა ...) რომლებიც ხელს უწყობს გამოავლინონ მოსწავლის განვითარების დინამიკა სამიზნე ცნებებთან მიმართებით. ამჟამად სკოლა იყენებს განმსაზღვრელი შეფასების პირველ მოდელს. აღნიშნული მიმართულებით მტკიცებულებების სახით სკოლას ასევე წარმოდგენილი აქვს შემაჯამებელი დავალებების ანალიზი და ჩატარებული კომპლექსური დავალების სოლო ტაქსონომიით შეფასების დოკუმენტები.

ინდიკატორი 2.1.2.4. დაკმაყოფილებულია.

5. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და პედაგოგებთან გასაუბრებისას მოპოვებული ინფორმაციის თანახმად, საშუალო საფეხურის მასწავლებლები სწავლების პროცესში იყენებენ წინარე ცოდნაზე დაფუძნებით ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირების მეთოდს. საგნობრივი კურიკულუმები შედგენილია გასული სასწავლო წლის გამოცდილების გათვალისწინებით. მასწავლებლები აკეთებენ

თვითშეფასებას (ანგარიშს), რომლის საფუძველზეც დგინდება სწავლებისათვის სკოლის საჭიროებები, დგება მომავალი სასწავლო წლის სასწავლო გეგმები. პედაგოგები სისტემატურად ხვდებიან ერთმანეთს და უზიარებენ წინარე გამოცდილებას, აღნიშნავენ, რომ სასკოლო აქტივობებისა და საგნობრივი კურიკულუმების დაგეგმვისას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევენ სწავლა-სწავლების პროცესში არსებულ წარმატებულ გამოცდილებასა და გამოწვევებს, რომელთა შესახებაც ინფორმაციის მოგროვებასა და ანალიზს ახორციელებენ სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. (ეს შეიძლება იყოს მასწავლებლის პირადი პორტფოლიოს ანალიზი, მოსწავლეთა ნამუშევრების, დავალებების შეფასება და ანალიზი, მოსწავლეების, კოლეგებისა და სასკოლო საზოგადოების სხვა წევრების უკუკავშირისა და რეფლექსიის შედეგები.) მიმდინარე კურიკულუმის ჩარჩოს შინაარსობრივ ნაწილში წლის განმავლობაში გამოკვეთილი მოსწავლეთა საჭიროებების მიხედვით ხორციელდება ცვლილებები, შემუშავებულია რეფლექსიის/დიაგნოსტირების ინსტრუმენტები, რათა აღნიშნული ცვლილებების განხორციელების შემდეგ მოხდეს მოსწავლეთა მიღწევების ანალიზი სტანდარტის შედეგების მიხედვით. კოლას აქვს სადიაგნოსტიკო შეფასების წარმოების გამოცდილებაც.

ინდიკატორი 2.1.2.5. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შეფასების რუბრიკები(განმსაზღვრელი და განმავითარებელი)
- გაკვეთილზე დაკვირვების ფორმა
- გაკვეთილზე დასწრების უკუკავშირი
- შემაჯამებელი დავალების ანალიზი.
- ისგ გეგმა

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.2.კურიკულუმის განხორციელება (საშუალო საფეხური)

2.2.1.სასწავლო პროცესი ეფუძნება სწავლა სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს

1. სასწავლო პროცესი იძლევა მოსწავლის აქტიურ შემოქმედებით პროცესში ჩართულობის შესაძლებლობას;
2. ახალი ცოდნის კონსტრუირება ხორციელდება წინარე ცოდნაზე დაფუძნებით;
3. სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე;
4. სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამ კატეგორიაზე (დეკლარაციული, პროცედურული და პირობისეული);
5. სასწავლო პროცესში უზრუნველყოფილია მოსწავლეთა ცოდნათა ორგანიზება და ურთიერთდაკავშირება.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზითა და მასწავლებლებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა/განხორციელებისას მასწავლებელები ცდილობენ გაითვალისწინონ მოსწავლე, როგორც ცენტრალური ფიგურა, დაგეგმონ აქტივობები, რომლებიც უზრუნველყოფენ მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობას, მოსწავლეებს აქვთ საშუალება იმსჯელონ, იფიქრონ და მოიძიონ პრობლემის გადაჭრის გზები, გეგმავენ და შემდეგ ახორციელებენ სხვადასხვა მიზნობრივ ქმედებებს, მაგ. სკოლა იყენებს სხვადასხვა ტიპის აქტივობებს, მოსწავლეები ჩართულნი არიან სასწავლო პროექტებში, საკლუბო მუშაობაში, წერენ კვლევით ნაშრომებს, ახორციელებენ ექსპერიმენტებს, ქმნიან პოსტერებს, მაკეტებს, მოდელებს, ვიდეორგოლებს, საინფორმაციო ბუკლეტებს და ა.შ. საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები ითვალისწინებს კომპლექსური დავალებების სწავლების პრაქტიკას, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ჩართულობას აქტიურ შემოქმედებით პროცესში. სკოლის მიერ მტკიცებულებების სახით წარმოდგენილია პროექტები, პრობლემაზე დაფუძნებული დავალებები, კომპლექსური დავალებები, მოსწავლეთა ნამუშევრები. საგნობრივი კათედრების დოკუმენტაციიდან და მასწავლებლებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ სკოლას აქვს ერთობლივი მუშაობის გამოცდილება და მზაობა იმისა, რომ კურიკულუმებზე მუშაობის დროს კომპლექსურად მიუდგეს სასწავლო პროცესის დაგეგმვის პროცესს, გაითვალისწინოს წინარე გამოცდილება, კურიკულუმში ასახოს საინტერესო, ცხოვრებისეულ კონტექსტ-მაგალითებზე დაფუძნებული კომპლექსური დავალებები და სასწავლო პროექტები. შეეცდებიან ყოველდღიურად გამოიყენონ ასეთი მიდგომები რათა სასწავლო პროცესი მუდმივად იყოს განახლებადი და აქტიური. ფიქრობენ დაესწრონ ტრენინგებსა და გაეცნონ მეთოდურ ლიტერატურას, გაუზიარონ ერთმანეთს გამოცდილება.

2.2.1.1 ინდიკატორი დაკმაყოფილებულია.

2. სსიპ ქალაქ თბილისის N133 საჯარო სკოლაში საგაკვეთილო პროცესის დაგეგმვა/განხორციელებისას სასკოლო საზოგადოება ცდილობს გაითვალისწინოს მოსწავლეთა წინარე ცოდნა და გამოცდილება ცოდნის კონსტრუირების გზაზე. წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით აშკარაა, რომ მასწავლებლები კომპლექსური დავალებებით აქტიურად მუშაობენ. გასაუბრებისას გააზიარეს კომპლექსური დავალების განხორციელების გამოცდილება. მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა წინარე ცოდნას, გამოცდილებას, ინტერესებს, ეხმარებიან მათ არსებული ცოდნის ახალთან დაკავშირებაში, სწავლა-სწავლებას უკავშირებენ ნაცნობ კონტექსტებს, თემას, შემდეგ აორგანიზებენ და ცდილობენ მოახდინონ ინტეგრირება სხვა ნაცნობ თემასთან, საკითხთან, საგანთან. საგნობივ კურიკულუმებში გათვალისწინებულია კომპლექსური დავალებები რომელთა შერჩევა/მორგებაც მიმდინარეობს მოსწავლისთვის ნაცნობი კონტექსტებით. იკვეთება კომპლექსური დავალების პირობის გაცნობის ეტაპი, რომელიც მოითხოვს მოსწავლისგან გაიაქტიუროს წინარე ცოდნა და მის შესაბამისად დასახოს

სამოქმედო სტრატეგია შემდეგი ნაბიჯების გადასადგმელად. რომ სკოლა საშუალო საფეხურზე ითვალისწინებს მოსწავლეებში სტრატეგიული უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებას.

ინდიკატორი 2.2.1.2. დაკმაყოფილებულია.

3. საშუალო საფეხურზე კომპლექსური დავალების მიმდინარეობა იმგვარადაა დაგეგმილი, რომ მოსწავლემ გაცნობიერებულად შეძლოს საკუთარი სწავლის მართვა, შეფასება და მონიტორინგი. მოსწავლეს დავალების შესრულების ეტაპზე უწევს კონკრეტული ამოცანის მოთხოვნების მიღება, მისი გადაჭრის ეფექტური სტრატეგიების მოძებნა და გამოყენება. ამის შემდგომ ახდენს იგი საკუთარი სასწავლო გამოცდილებების რეგულაციას. ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ კომპლექსური დავალებების განხორციელების პროცესი მიმდინარეობს აქტიური თანამშრომლობის ფარგლებში. სასწავლო პროცესში მასწავლებლები ფასილიტატორის როლს ირგებენ და მოსწავლეებს მრავალფეროვანი მეთოდების დახმარებით უბიძგებენ ცოდნის აგებისკენ. ინტერვიუს დროს ხაზი გაესვა იმას, რომ სასწავლო პროცესში წახალისებულია მოსწავლის ინდივიდუალური გამოცდილება და ცნობისმოყვარეობა. შეთავაზებული აქტივობები და დავალებები იძლევა ინდივიდუალური გამოცდილების გათვალისწინების საშუალებას. მხარდაჭერილია რეფლექსია შესრულებულ სამუშაოზე, წახალისებულია მოსწავლის მიერ საკუთარი შემეცნების პროცესის დაგეგმვა და მონიტორინგი. აქედან გამომდინარე, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში აქცენტი კეთდება სწავლის სწავლაზე.

ინდიკატორი 2.2.1.3. დაკმაყოფილებულია.

4. სასწავლო პროცესი საშუალო საფეხურზე ეფუძნება საგანთა შორის კავშირების წარმოჩენას და დანაწევრებული, ფაქტობრივი ცოდნის გარდა, ემსახურება ერთი საგნის ფარგლებში მიღებული ცოდნის სხვა საგნის ჭრილში დანახვასა და სამყაროს მთლიანობის აღქმას. საშუალო საფეხურის საგნობრივი კურიკულუმები დაგეგმილია იმგვარად, რომ აქცენტი კეთდება ცოდნის სამივე კატეგორიაზე. სასწავლო პროცესში მოსწავლე ამუშავებს კონკრეტულ ფაქტობრივ მასალას, ეცნობა ინფორმაციას, გარდაქმნის მას პროცედურულ ცოდნად და ცოდნის მოქმედებაში გადატანით პირობისეულ ცოდნად აყალიბებს. არსებული კურიკულუმები წარმოადგენს პრობლემაზე დაფუძნებული დავალებებისა და აქტივობების განხორციელების გეგმას, შესაბამისად, სასწავლო პროცესი ხელს უწყობს საგნობრივი საკითხების სიღრმისეულ გააზრებას და ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე. აღნიშნული დასტურდება მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებებითა და სასწავლო პროცესში გამოყენებული რესურსებით. კომპლექსური დავალებების განხორციელების ეტაპები იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსწავლემ პროცესებზე დაკვირვებით გააკეთოს დასკვნები, განახორციელოს კონკრეტული აქტივობები. ბოლო ეტაპზე კი შეძენილი ცოდნა გამოიყენოს საბოლოო პროდუქტის შესაქმნელად. ამდენად, შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია ცოდნის სამივე კატეგორიაზე.

ინდიკატორი 2.2.1.4. დაკმაყოფილებულია

5. სასწავლო პროცესი საშუალო საფეხურზე ეფუძნება საგანთა შორის კავშირების წარმოჩენას და დანაწევრებული, ფაქტობრივი ცოდნის გამთლიანების გარდა, ემსახურება ერთი საგნის ფარგლებში მიღებული ცოდნის სხვა საგნის ჭრილში დანახვასა და სამყაროს მთლიანობის აღქმას. სასწავლო პროცესში დიდი ყურადღება ექცევა საგანთაშორის კავშირების დამყარებას და ცოდნის სისტემატიზაციას, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში ტრანსფერის უნარის განვითარებას. აღნიშნულის უზრუნველსაყოფად საშუალო საფეხურის პედაგოგები მიმართავენ პროექტულ სწავლებას, პრობლემაზე დაფუძნებულ აქტივობებს, ინტეგრირებულ გაკვეთილებს, სასწავლო პროცესში იყენებენ მაორგანიზებელ ცხრილებსა და სქემებს, რაც მოსწავლეებს ეხმარება ცოდნათა ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებაში.

ინდიკატორი 2.2.1.5. დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასწავლო პროექტები
- საგნობრივი კურიკულუმები
- კომპლექსური დავალებების ნიმუშები

2.2.2. სასწავლო პროცესი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს. (საშუალო საფეხური)

სასწავლო პროცესი უზრუნველყოფს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით;

1. საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას;
2. შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე;
3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი;
4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
5. სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით.

1. სკოლის მიერ მტკიცებულებების სახით წარმოდგენილ საშუალო საფეხურის ჩარჩო კურიკულუმებში სასწავლო პროცესი მიემართება სტანდარტით განსაზღვრულ ორიენტირებს. მასწავლებლებისთვის მნიშვნელოვანია, რომ სწავლა-სწავლების პროცესში მკაფიოდ იყოს გააზრებული კავშირი სამიზნე ცნებას, მის მკვიდრ წარმოდგენებს (მიზანს), საგნობრივ საკითხებს (რესურსებს,მასალას) საკვანძო შეკითხვებს (სწავლის მექნიზმს) შორის. ამას უზრუნველყოფს კარგად გაწერილი კურიკულუმი. სკოლამ წარმოადგინა საგნობრივი კურიკულუმები, სასწავლო პროექტები, მოსწავლეთა მიერ შესრულებული დავალებები, სასწავლო პროცესში გამოყენებული მასალები/აქტივობები, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი. ამ მასალების საფუძველზე ჩანს, რომ სასწავლო პროცესი ორიენტირებულია გრძელვადიან მიზნებზე (სასწავლო შედეგებზე, სამიზნე ცნებებზე, ქვეცნებებზე, მკვიდრ წარმოდგენებზე). სკოლის პედაგოგებთან გასაუბრებით ირკვევა, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია შემდეგნაირად: მოსწავლეები ეცნობიან საგნობრივ საკითხს, ისმება საკვანძო შეკითხვები, განიხილება კომპლექსური დავალების პირობა და წინარე ცოდნაზე დაყრდნობით ხდება ახალი ცოდნის კონსტრუირება. აღნიშნული პროცესი მოსწავლეს ეხმარება მასალის სიღრმისეულ გააზრებაში. საბოლოოდ, იქმნება კონკრეტული შემოქმედებითი პროდუქტი, რომელიც ფასდება შესაბამისი კრიტერიუმებით. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ საშუალო საფეხურზე პედაგოგებს გააზრებული და გაცნობიერებული აქვთ, რომ აუცილებელია სასწავლო პროცესი და სასწავლო რესურსები მიემართებოდეს სამიზნე ცნების და მისი მკვიდრი წარმოდგენების გათავისებას საგნობრივ საკითხებზე დაყრდნობით.

ინდიკატორი 2.2.2.1 დაკმაყოფილებულია

2. საშუალო საფეხურზე საგნობრივი კონტექსტები ემსახურება მოსწავლის პიროვნულ და ფსიქო-სოციალურ განვითარებას. ყველა დავალება და აქტივობა მიმართულია იქით, რომ მოსწავლე მაქსიმალურად ჩაერთოს სასწავლო პროცესში. პედაგოგები ქმნიან პოზიტიურ სასწავლო გარემოს, ზრუნავენ მოსწავლეთა განვითარებასა და უსაფრთხოებაზე. წარმოდგენილ კურიკულუმის ჩარჩოებში კომპლექსური დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ საგნობრივი კონტექსტები მოსწავლეს ეხმარება პიროვნულ და ფსიქო-ემოციურ განვითარებაში. დავალებებზე მუშაობისას, აქტივობების პროცესი მოსწავლეს შესაძლებლობას აძლევს ისაუბროს საკუთარ ემოციებზე, ძლიერ და სუსტ მხარეებზე, მართოს საკუთარი ემოციები და ქცევები სასურველი მიზნების მისაღწევად, დაამყაროს პოზიტიური ურთიერთობები, შეძლოს გუნდური მუშაობა. ითვალისწინებს. მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ, როცა გაკვეთილზე ემპათიის, ზრუნვისა და ტოლერანტობის კულტურული კლიმატია, მაშინ მოსწავლეთა მიერ მიღწეული შედეგებიც ბევრად მაღალია. საგაკვეთილო პროცესის დროს განსაკუთრებულ ყურადღება გამახვილებულია არა მხოლოდ საგნობრივ თემატიკაზე, არამედ მოსწავლის მრავალმხრივ/ჰოლისტურ განვითარებაზე, რაც გამოიხატება ფუნქციურ-კომპონენტური უნარების განვითარებაში, როგორიცაა: კრიტიკული აზროვნება, შემოქმედებითობა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, მოქალაქეობა ხასიათი, ნებისყოფა/ნებელობა.

ინდიკატორი 2.2.2.2. დაკმაყოფილებულია

3. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლას გააზრებული აქვს მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მნიშვნელობა, მასწავლებლებმა იციან განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების არსი. მიმდინარე შეფასებისთვის გამოიყენება სხვადსხვა სახის სადიაგნოსტიკო ტესტები და დავალებები, დაგეგმილია მოსწავლეთა აკადემიური მიღწევების შედეგების ანალიზი მოსწავლისა და მასწავლებლის დონეზე შესაბამისი ინსტრუმენტებით. შემაჯამებელი განმავითარებელი შეფასების როლს ასრულებს კომპლექსური დავალება, კომპლექსური დავალებების შეფასება ხდება სოლო ტაქსონომიით. მასწავლებელი ხედავს, თითოეულ სამიზნე ცნებასთან მიმართებით, რა ცოდნა მიიღო მოსწავლემ, რამდენად ახერხებს ამ ცოდნის გამოყენებას და აძლევს მას განმავითარებელ უკუკავშირს. განმავითარებელ შეფასებას იყენებენ სწავლის ხარისხის გასაუმჯობესებლად, მოსწავლის წინსვლისა და განვითარების ხელშესაწყობად, ხოლო განმსაზღვრელს-მოსწალის აკადემიური მიღწევის დონის დასადგენად. სკოლამ წარმოადგინა განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები. წარმოდგენილი დოკუმენტაციითა და პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას აქვს მზაობა, შეფასების სისტემა აქცენტს აკეთებდეს არა მხოლოდ საგნობრივი საკითხების დასწავლაზე, არამედ იმის ანალიზზე თუ რამდენადაა ჩართული მოსწავლე სწავლა-სწავლების პროცესში.

ინდიკატორი 2.2.2.3. დაკმაყოფილებულია

4. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტებში ხაზგასმულია, რომ სასკოლო საზოგადოებას უნდა ჰქონდეს განცდა, რომ შეფასება არის ვალიდური, გამჭვირვალე, ობიექტური, სამართლიანი და სანდო. მოსწავლეებმა იციან, თუ როგორ შეფასდება მათი შრომა, იციან რა კრიტერიუმები უნდა დააკმაყოფილოს მათმა პასუხმა თუ ნაშრომმა. მასწავლებლები წინასწარ ქმნიან და აცნობენ შეფასების რუბრიკებს, როგორც მშობლებსა და მოსწავლეებს, ისე ადმინისტრაციის წევრებს. შეფასების რუბრიკებში წარმოდგენილი კრიტერიუმები ხაზს უსვამს მოსწავლეთა ძალისხმევას, პასუხისმგებლობას, ჩართულობას, საკუთარი ნააზრევის გადმოცემის შესაძლებლობას და წარმოადგენდეს მათი სწავლის პროცესის რეფლექსიას. მასწავლებლების მიერ შემუშავებული რუბრიკებს განიხილავენ და ათანხმებენ კათედრის სხდომაზე, ხოლო პედაგოგიური საბჭო ამტკიცებს მათ. სკოლას აქვს შეფასების კრიტერიუმების შემუშავების პროცესში მოსწავლეთა ჩართულობის გამოცდილებაც. ასევე, სამართლიანობასა და გამჭვირვალობას ხელს უწყობს სასწავლო პროცესში გამოყენებული თვითშეფასება და ურთიერთშეფასება. აღნიშნული მიზნების მისაღწევად სკოლას შემუშავებული აქვს შეფასების სისტემის ვერიფიკაციის აღმწერი

დოკუმენტიც. სკოლის მიერ მტკიცებულებების სახით წარმოდგენილ დოკუმენტებსა და მასწავლებლებთან გასაუბრების შედეგად მოპოვებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სკოლა სასწავლო პროცესში უზრუნველყოფს შეფასების სისტემის ვალიდურობას, გამჭვირვალეობას, სანდოობას, ობიექტურობასა და სამართლიანობას.

ინდიკატორი 2.2.2.4. დაკმაყოფილებულია.

5. სსიპ ქალაქ თბილისის N133 საჯარო სკოლას დირექტორის 06/09/2023 წლის N2-428 ბრძანებით დამტკიცებული აქვს მოსწავლეთა შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი, რომლითაც უზრუნველყოფს შეფასების სისტემის სტანდარტით დადგენილ მოთხოვნებთან შესაბამისობის იდენტიფიცირებას შემდეგი მიმართულებებით: ა) შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია; ბ) პროცესის ვერიფიკაცია; გ) მტკიცებულებების ვერიფიკაცია. განსაზღვრულია აქტივობების განხორციელების დრო, ინსტრუმენტები და პასუხისმგებელი პირები. შეფასების სამიზნე ინსტრუმენტების შერჩევისას გათვალისწინებულია რისკები, საჭიროების შემთხვევაში ხარისხის განვითარების ჯგუფის მიერ განსახორციელებელი აქტივობები. ახალი სასწავლო წლიდან იგეგმება მოსწავლის პორტფოლიოს წარმოება. ამ ეტაპზე სასწავლო პროცესის შეფასება მუდმივად ხორციელდება კათედრის სხდომებზე, განხილება შეფასების სისტემის (განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების) გამჭვირვალობის, ვალიდურობის, ობიექტურობისა და სანდოობის საკითხი; მსჯელობენ მოსწავლის განვითარების დინამიკაზე დავალებიდან დავალებამდე. დისკუსიას შედეგად მოსდევს შეფასების ინსტრუმენტების განვითარება (დახვეწა, უფრო მყარი შეთანხმება შეფასების კომპონენტთან დაკავშირებულ საკითხებთან დაკავშირებით).

ინდიკატორი 2.2.2.5. დაკმაყოფილებულია.

6. მოწოდებულ დოკუმენტაციაზე დაყრდნობითა და პედაგოგებთან გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ სკოლაში საგნობრივი კათედრები უზრუნველყოფენ შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას. მოსწავლეთა შეფასების ამსახველი დოკუმენტაცია სკოლაში ინახება კანონმდებლობით დადგენილი ვადით (3 წლით). კათედრებზე შენახულია მოსწავლეთა მიერ შესრულებული შემაჯამებელი დავალებები, შემაჯამებელი დავალებების ანალიზი, მოსწავლეთა მიერ შესრულებული კომპლექსური დავალებები. შეფასებასთან დაკავშირებული ინფორმაციის ასახვა ხდება ელექტრონულ ჟურნალშიც, რომლის მონიტორინგსაც ახორციელებს სკოლის მიერ ბრძანებით განსაზღვრული პასუხისმგებელი პირი. სკოლას აქვს მოსწავლის პირადი საქმეებიც, სადაც შეტანილია მოსწავლეთა წლიური შეფასებები, ცნობები და ექსტერნის გამოცდებთან დაკავშირებული ინფორმაცია. აღნიშნული დოკუმენტაცია, სკოლის მიერ შემუშავებული საქმისწარმოების წესის შესაბამისად, ინახება საქმეთამმართველთან.

ინდიკატორი 2.2.2.6. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი;
- შემაჯამებელი დავალების ანალიზი;

- სკოლის თვითშეფასების კითხვარი;
- საგნობრივი კურიკულუმები;
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-24 პროექტი;
- პროექტები;
- კათედრის სხდომის ოქმები;
- საქმისწარმოების წესი

2.2.3. სასწავლო პროცესი ეფუძნება ზრუნვასა და მხარდაჭერას (საშუალო საფეხური)

1. სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო;
2. სასწავლო პროცესი წარიმართება მოსწავლეზე ორიენტირებულად;
3. სასწავლო პროცესი ეფუძნება თანამშრომლობით კულტურასა და კომუნიკაციას;
4. უზრუნველყოფილია პოზიტიური კლიმატი სკოლისა და კლასის დონეზე.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტებისა და პედაგოგებთან გასაუბრების დროს გამოიკვეთა, რომ სასკოლო საზოგადოება მზადაა, შექმნას სასწავლო პროცესისათვის ღია/მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო, თანაბრად ხელმისაწვდომი საგანმანათლებლო პროცესი, რომლის ფარგლებშიც, ინდივიდუალური საგანმანათლებლო საჭიროებისა და შესაძლებლობის გათვალისწინებით, ყველა მოსწავლისთვის უზრუნველყოფილი იქნება სრულფასოვანი განათლების მიღების შესაძლებლობა. აღნიშნული დასტურდება 2023-2024 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმით, რომლის თითოეული პუნქტი და მასში გაწერილი საკითხები (სკოლის მისია და ხედვა, საათობრივი ბადე, შემუშავებული საგნობრივი პროგრამები, მოსწავლის აკადემიური მიღწევის შეფასების წესები, ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული დამატებითი საგანმანათლებლო და სააღმზრდელო მომსახურება, ეროვნულ სასწავლო გეგმაზე დაყრდნობით სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის შემუშავებული ინდივიდუალური სასწავლო გეგმა, საგნობრივი კათედრების მუშაობის პრინციპები და სხვ.) უზრუნველყოფს აღნიშნული მიზნის მიღწევას. პედაგოგებთან გასაუბრებისას იკვეთება, რომ სკოლაში საკმაოდ ღია და მიმღებლობითი, პოზიტიური სასკოლო კლიმატია. თანამშრომლობითი და პოზიტიური კომუნიკაციაა მასწავლებლებსა და დირექციას შორის. მასწავლებლები აქტიურად თანამშრომლობენ ერთმანეთთან, მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან. სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი ზრუნავს თანამშრომლობითი კულტურის განვითარებასა და გამოცდილების გაზიარებაზე, ისინი ხშირად ერთობლივად გეგმავენ ინტეგრირებულ გაკვეთილებს, უზიარებენ ერთმანეთს გამოცდილებას, ესწრებიან გაკვეთილებს და გასცემენ კონსტრუქციულ უკუკავშირს. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები და რიგ შემთხვევებში მასში ჩაშენებული კომპლექსური დავალებების პირობა მოსწავლეებს შესაძლებლობას აძლევს საბოლოო პროდუქტი წარმოადგინონ მათთვის მისაღები საპრეზენტაციო ფორმით, ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შეგვიძლია დავასკვნათ, რომ სასწავლო პროცესში შექმნილია მხარდამჭერი და მიმღებლობითი გარემო.

ინდიკატორი 2.2.3.1. დაკმაყოფილებულია

2. პედაგოგებთან გასაუბრების დროს, აგრეთვე სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების თანახმად, გამოიკვეთა, რომ სკოლა ორიენტირებულია მოსწავლის წარმატებასა და პროგრესზე, მათ ინდივიდუალურ მხარდაჭერაზე. აღნიშნული აისახება საგნობრივ კურიკულუმებშიც, მასწავლებლები ქმნიან უსაფრთხო გარემოს მოსწავლეებთან თანამშრომლობით, ხელს უწყობენ და ახალისებენ თვითრეგულირებად ქცევას და თანამშრომლობითი უნარების განვითარებას. თითოეული მასწავლებელი კომპლექსური დავალებების დანერგვით უზრუნველყოფს მოსწავლეთა თანაბარ ჩართულობას სასწავლო პროცესში, დიფერენცირებულ მიდგომების დახმარებით ითვალისწინებენ მათ ინტერესებს, ასაკს, თავისებურებებსა და საჭიროებებს. პედაგოგები აღნიშნავენ, რომ მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობა სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და რეგულირებაში ძალიან მნიშვნელოვანია. ამისათვის ისინი იყენებენ კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმებს. სკოლას შემუშავებული აქვს სადამრიგებლო პროგრამებიც, სადამრიგებლო საათის თემის შერჩევისას ასევე გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და საჭიროებები. სკოლა აგრეთვე ახორციელებს მრავალფეროვან სასწავლო თუ სოციალურ პროექტებს, ხშირად იმართება პროექტებისა და კომპლექსური დავალებების განხორციელების პროცესში შექმნილი პროდუქტების გამოფენა. გასაუბრების პროცესში პედაგოგები აღნიშნავენ, რომ სამომავლოდ ეცდებიან გაზარდონ სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და განხორციელებაში მოსწავლეთა და მშობელთა ჩართულობის ხარისხი, მათი თანამონაწილეობით შეარჩიონ სასწავლო პროექტების, სასკოლო კლუბებისა და წრეების საქმიანობის თემატიკა, რაც ხელს შეუწყობს მოსწავლეთა მოტივაციის ზრდასა და დადებითად აისახება მათ სასწავლო შედეგებზე.

ინდიკატორი 2.2.3.2. დაკმაყოფილებულია

3. პედაგოგებთან გასაუბრებისა და სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების გაცნობისას იკვეთება, რომ ეფექტურად მიმდინარეობს თანამშრომლობა სასკოლო საზოგადოების წევრებს შორის. მასწავლებლებს კარგად აქვთ გააზრებული ურთიერთთანამშრომლობის დადებითი ასპექტები. საგნობრივი კურიკულუმები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით, ხორციელდება მრავალფეროვანი არაფორმალური აქტივობები. მასწავლებლები ერთად გეგმავენ გაკვეთილებს და ესწრებიან ერთმანეთს, აჯამებენ წინა წლის შედეგებს და ერთად ქმნიან მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმს, არჩევენ რომელ კომპლექსურ დავალებას განახორციელებენ, რომელმა გამოიწვია მოსწავლეებში მეტი დაინტერესება, ერთობლივად ქმნიან სასწავლო რესურსებს. მასწავლებლებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ თანამშრომლობა სკოლის პრიორიტეტული მიმართულებაა, მათი თქმით, კოლეგებს შორის ხშირად იმართება პროფესიული დისკუსიები, აზრთა გაცვლა-გამოცვლა და საჭიროების შემთხვევაში ისინი მუდმივად გამოთქვამენ მზაობას ურთიერთდახმარებისთვის. მოსწავლეებს, მშობლებს და სკოლის თანამშრომლებს ყოველთვის შეუძლიათ დააფიქსირონ საკუთარი აზრი სხვადასხვა საკითხთან დაკავშირებით, ხშირად ხდება მათი პოზიციის გათვალისწინება. სკოლას ასევე ჰყავს ხარისხის მართვის ჯგუფი, რომელიც გაკვეთილებზე ურთიერთდასწრებით, "კრიტიკული მეგობრის" როლის მორგებითა და გამოცდილების ურთიერთგაზიარებით თანამშრომლობისა და ღიაობის მაგალითს აძლევს სკოლის ყველა სტრუქტურულ ერთეულს.

ინდიკატორი 2.2.3.3. დაკმაყოფილებულია.

4. სკოლაში არის სოციალურად, ემოციურად და ფიზიკურად უსაფრთხო გარემო. ჩანს, რომ მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები ერთად მუშაობენ პოზიტიური გარემოს შექმნისათვის, ამას ხელს უწყობს სკოლაში არსებული კლუბები, პროექტები და არაფორმალური აქტივობები, რომელიც მოსწავლეთა საჭიროებებისა და ინტერესების გათვალისწინებით იგეგმება. სასკოლო საზოგადოების წევრები ჩართულნი არიან სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესში. მასწავლებლებმა, გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ პოზიტიური სასწავლო

კლიმატის შესაქმნელად მნიშვნელოვანი ფაქტორებია: აღიარება/პატივისცემა, ნდობა, მაღალი მორალური ღირებულებები, ჩართულობის მაღალი შესაძლებლობები, თანამშრომლობა, შესაბამისად, ისინი ცდილობენ წაახალისონ სამოქალაქო აქტივობებსა და პროექტებში მოსწავლეთა ჩართულობა, ძალადობისა და კონფლიქტების პრევენციული ღონისძიებებში მონაწილეობა, თანატოლების თანამშრომლობისა და თანასწავლების წახალისება და სხვ. მაღალია მშობელთა ჩართულობის ხარისხი როგორც საკლასო, ასევე სასკოლო ცხოვრებაში.

ინდიკატორი 2.2.3.4. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები
- კომპლექსური დავალებები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა
- შეფასების რუბრიკები
- კათედრის ოქმები.
- ხარისხის ჯგუფის დებულება;
- სკოლის მისიის, ხედვის, ღირებულებებისა და სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება (საშუალო საფეხური)

2.3.1 მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

1. მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად;
2. მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას;
3. მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლას დამტკიცებული აქვს სასკოლო კურიკულუმის შემუშავების და განვითარების მეთოდოლოგია, რომელშიც პროცედურულად გაწერილია მისი განხორციელების ეტაპები, პასუხისმგებლობები, ანგარიშვალდებულებათა ჩარჩო, რაც ხელს შეუწყობს კურიკულუმების

მონიტორინგისა და შეფასების უწყვეტი, ციკლური პროცესის განხორციელებას და უზრუნველყოფს სკოლის საუკეთესო პრაქტიკაზე დაყრდნობით მის ყოველწლიურად განახლებას. სასკოლო საზოგადოებას გააზრებული აქვს, რომ კურიკულუმის განვითარება არის ციკლური პროცესი, მონიტორინგი და შეფასება კი ამ პროცესის განუყოფელი ნაწილია და თვლის, რომ აუცილებელია კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმის დახვეწა, შესაბამისად, მიმდინარე სასწავლო წელს სკოლა გამოკვეთს მონაცემთა მიზნობრიობას, მათი შეგროვებისა და ანალიზის პროცესებს, როგორ შეიძლება გამოყენებულ იქნას მიღებული შედეგები კურიკულუმისა და სწავლა-სწვალების პროცესის გაუმჯობესებისათვის. განსაზღვრავს ინდიკატორებს, რომელიც შესაძლებლობას მისცემს სკოლას გაზომოს როგორც პროცესი -რა განხორციელდა მიზნის მისაღწევად, ასევე მიღწეული შედეგები. მონიტორინგისა და შეფასებისათვის გამოიყენება მოსწავლეთა კომპლექსური დავალებების შედეგები, გაკვეთილებზე დასწრების ანალიზი, კათედრის ანგარიშები და სხვა. სკოლაში აღნიშნული მიმართულებით მონიტორინგს განახორციელებს ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი და სკოლის დირექცია.

ინდიკატორი 2.3.1.1. დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების ანგარიშის ჩანაწერებში, თანდართულ დოკუმენტებში და პედაგოგებთან ინტერვიუების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ სკოლა მუშაობს კურიკულუმის განხორციელების მონიტორინგისა და შეფასების სისტემაზე, გეგმავს მასწავლებელთა მხარდაჭერასა და დახმარებას, მათ პროფესიულ განვითარებაზე ზრუნვასა და ხელშეწყობას. მტკიცებულებებზე დაყრდნობით მასწავლებლებს შეუძლიათ შეაფასონ მოსწავლის სწავლის პროცესი, დაადგინონ ის სფეროები და უნარები, სადაც მოსწავლეს დახმარება სჭირდება, მისცენ უკუკავშირი და მიგნებების გათვალისწინებით დაგეგმონ სწავლის პროცესი. მონიტორინგი და შეფასება ხელს შეუწყობს სკოლის მომავლის დაგეგმვას, ინფორმირებული გადაწყვეტილებების მიღებასა და ახალი შესაძლებლობების შეფასებას. სკოლას აქვს სასწავლო პროცესის შეფასების გამოცდილება, ხორციელდება დაგეგმილი და რეალიზებული აქტივობების შესახებ ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი. მასწავლებლები ესწრებიან ერთმანეთს გაკვეთილზე, განიხილავენ პროცესში გამოვლენილ პრობლემებსა თუ საუკეთესო გამოცდილებას, აფასებენ რამდენად სწორედ მოქმედებენ, რამდენად მდგრადია მათ მიერ დაგეგმილი აქტივობებით მიღწეული შედეგები და აანალიზებენ არსებობს თუ არა სხვა ალტერნატივა უკეთესი შედეგების მისაღწევად.

ინდიკატორი 2.3.1.2. დაკმაყოფილებულია.

3. სკოლას გაცნობიერებული აქვს ის ფაქტი, რომ დაწესებულების მიერ განხორციელებული მონიტორინგისა და შეფასების პროცესის ანალიზში ასახული უნდა იყოს კურიკულუმის ძლიერი და სუსტი მხარეები, განსაზღვრული უნდა იყოს ხელისშემშლელი ფაქტორები და არსებული შესაძლებლობები კურიკულუმის წარმატებით განხორციელებისათვის. სკოლას აღნიშნული მიმართულებით შემუშავებული აქვს პრიორიტეტული და სტრატეგიული ხედვა, რომელიც ასახულია კურიკულუმში. შესაბამისად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლას აქვს მზაობა, სასწავლო პროცესის მონიტორინგისა და შეფასების გზით მოახდინოს პრობლემების გამოვლენა და მათ გადაჭრის გზების ძიება. სასწავლო წლის ბოლოს დირექცია და ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი საგნობრივი კათედრების მიერ წარმოდგენილი ანგარიშების, აგრეთვე მასწავლებელთა სამოქმედო გეგმების შესრულების ანგარიშის საფუძველზე მოახდენს მიმდინარე სასწავლო წლის შეფასებას, ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეების გამოკვეთასა და შესაბამისი ინტერვენციების დაგეგმვას,

ინდიკატორი 2.3.1.3. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):;

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის არსებობის დამადასტურებელი დოკუმენტი
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ოქმი
- შეფასების ვერიფიკაციის მექანიზმი;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-24 პროექტი.
- კომპლექსური დავალებების ანალიზები
- გაკვეთილზე დასწრების და შეფასების ფორმები.

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს (საშუალო საფეხური)

1. შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს;
2. შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით;
3. შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები;
4. შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტითა და პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლას გაცნობიერებული აქვს, თუ რას ნიშნავს შეფასების ჰოლისტური ხასიათი, რომ ესაა ინტეგრირებული, ერთიანი და სისტემური მიდგომა და მოიცავს მონაცემების შეგროვებას მრავალფეროვანი მეთოდებით, მრავალი სხვადასხვა წყაროსა და რესურსის გამოყენებით, რაც ამცირებს შეფასების ვარიაციის შეცდომას. პროცესების, მოსწავლის, პრობლემის, გამოწვევის შესახებ ინფორმაციის შეგროვებისას მნიშვნელოვანია იგი მოპოვებული იყოს სხვადასხვა წყაროზე დაყრდნობით. პედაგოგები საუბრისას აღნიშნავენ, რომ მნიშვნელოვანია არა მხოლოდ მოსწავლის მიღწევების, მისი ცოდნისა და უნარების, არამედ მთლიანად სასწავლო პროცესის შეფასება, რაც ემსახურება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების დიაგნოსტირებას, პრობლემების ანალიზსა და მათი მოგვარების გზების ძიებას. გასაუბრების შედეგად გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა შეფასება ძირითადად ხორციელდება ზეპირსიტყვიერად, განმავითარებელი კომენტარების საშუალებით, სწავლის შედეგების ანალიზი ხდება კათედრებზე, სამუშაო შეხვედრებზე. 2023 – 2024 სასწავლო წლისთვის მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესში პედაგოგების მიერ მოხდება განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების შემუშავება თემების ფარგლებში შერჩეული ძირითადი საკითხების, კომპლექსური დავალებების მიხედვით. ამასთან, გამოკვეთილი პრობლემის შეფასებისა და მოგვარების მიზნით ინფორმაცია შეგროვდება რაც შეიძლება მრავალფეროვანი წყაროებიდან - ეს შეიძლება იყოს მოსწავლე, მშობელი,

მასწავლებელი, დამრიგებელი თუ სკოლის სხვა პერსონალი. სკოლა მუშაობს კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის სასწავლო პროცესზე მორგებაზე, სადაც ასახული იქნება ისიც, თუ როგორ (რა საშუალებებით) განხორციელდება სასკოლო სასწავლო გეგმის დანერგვის პროცესის მონიტორინგი და შეფასება (რა წყაროების საშუალებით მოხდება დანერგვის პროცესის შესახებ ინფორმაციის შეგროვება). აღნიშნული მიზნის მისაღწევად სკოლა გეგმავს ჩაატაროს დიაგნოსტიკური ტესტირებაც.

ინდიკატორი 2.3.2.1. დაკმაყოფილებულია.

2. სასკოლო შეფასების სისტემა ორიენტირებულია მოსწავლის ჰოლისტური განვითარების მხარდაჭერაზე. სკოლა მუშაობს მკაფიოდ გაწერილი განმავითარებელი შეფასების რუბრიკებისა და მოსწავლის მიერ სტანდარტის შედეგების მიღწევის ტაქსონომიის აღმწერი რუბრიკების შექმნაზე, რომელშიც სადაც მკაფიოდ იქმება გაწერილი, რომ მოსწავლეები შეფასდებიან გრძელვადიან მიზნებზე, ცნებებზე, შედეგებზე დაყრდნობით. პედაგოგებთან გასაუბრების დროს აღნიშნული მიმართულებით გამოიკვეთა, რომ სკოლას აქვს მზაობა მოსწავლეთა შეფასება განახორციელოს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით, მათი განმარტებით სრულყოფილი ინფორმაციისთვის აუცილებელია მოსწავლის სხვადასხვა კონტექსტში შესწავლა. აღინიშნა, რომ შეფასებისას ითვალისწინებენ მრავალგვარ კონტექსტს, როგორებიცაა: შესასწავლი თემა და საკითხი, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრება, სწავლის პერიოდი, მოსწავლეთა ინტერესები და შესაძლებლობები და საფეხურის ფარგლებში ცნებების დაფარვის ხარისხი. მათი დასკვნის სისწორეს კი მრავალი კონტექსტიდან დანახული სიტუაცია უზრუნველყოფს.

ინდიკატორი2.3.2.2 დაკმაყოფილებულია

3. პედაგოგებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სკოლა იყენებს მონაცემთა შეგროვების სხვადასხვა მეთოდეს - კითხვარის შევსება, ინტერვიუ მცირე ჯგუფებთან, შეხვედრები, მასწავლებელთა თვითრეფლექსიები, ურთიერთდასწრების ანგარიშები, მოსწავლეთა პორტფოლიოები, სადიაგნოსტიკო წერების ანგარიშები, ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის ოქმები და სხვ. სკოლა ადასტურებს მზაობას, კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგიის დოკუმენტში ასახოს მონიტორინგისა და შეფასების ასპექტები, მათ შორის რა მეთოდებს, როდის, როგორ გამოიყენებს დანერგვის პროცესის შესახებ მონაცემების შესაგროვებლად.

ინდიკატორი 2.3.2.3. დაკმაყოფილებულია

4. პედაგოგებთან გასაუბრებით გამოიკვეთა, რომ მოსწავლის შეფასება ხდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით. პედაგოგები ხშირ შემთხვევაში იყენებენ ზეპირსიტყვიერ განმავითარებელ უკუკავშირს, მშობლებთან წერილობით და ზეპირ უკუკავშირს მოსწავლის სასწავლო შედეგებთან დაკავშირებით და სხვ. სკოლა შეფასებისას ეყრდნობა როგორც მოსწავლეთა აკადემიურ მიღწევებს, ასევე მათ პიროვნულ მახასიათებლებსა და სოციალურ ფაქტორებს. სკოლა აცნობიერებს, რომ სასწავლო პროცესის მონიტორინგი და სწორი შეფასება, მისი ეფექტური განხორციელება განაპირობებს სასკოლო საზოგადოების წინსვლას, სასწავლო დაწესებულების ავტორიტეტის ამაღლებას. შესაბამისად, 2023 – 2024 სასწავლო წელს გეგმავს სასკოლო კურიკულუმით განსაზღვრული შეფასების სისტემა იყოს უფრო მეტად კომპლექსური, მულტიფაქტორული, რომლის გამოყენების დროსაც მოხდება მოსწავლის აკადემიური და ფუნქციური უნარების სრულყოფილი ანალიზი.

ინდიკატორი 2.3.2.4. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- *შეფასების რუბრიკები;*
- *სკოლის თვითშეფასების კითხვარი;*
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- ხარისხის კგუფის დებულება;
- განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები;
- განმავითარებელი შეფასების რუბრიკები;
- სასკოლო სასწავლო გეგმა 2023-24 პროექტი;

შეფასება:

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია (საშუალო საფეხური)

2.4.1 წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

1. იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი;
2. კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. სკოლის მიერ შემუშავებულ კურირულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის დოკუმენტის ჩანაწერში - „პრინციპები, რომელიც ეფუძნება სასკოლო კურიკულუმის განვითარების პროცესს“ - ასახულია კურიკულუმის განვითარების ძირითადი პრინციპები, რომელებიც დაკავშირებულია სასკოლო და საგნობრივი კურიკულუმების გადასინჯვისა და რევიზიის პროცესთან. მეთოდოლოგიის დოკუმენტში მოცემულია შემდეგი ჩანაწერი: „კურიკულუმის განახლება ხდება ყოველწლიურად მთელი წლის განმავლობაში შეგროვებული მონაცემების საფუძველზე; სასკოლო კურიკულუმის რევიზიის პროცესში გადაწვეტილებები მიიღება მონიტორინგისა და შეფასების ეტაპზე გამოკვეთილი პრობლემების შესწავლის საფუძველზე.“ პედაგოგებთან ინტერვიუს დროს აღინიშნა, რომ კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია განხორციელდება კათედრის სხდომებზე, სადაც წევრები გაცვლიან კურიკულუმის დანერგვისა და განხორციელების შესახებ მონაცემსა და გამოცდილებას, გამოიკვეთება კურიკულუმის პროდუქტიულობა და ხარვეზები. ინტერვიუს დროს პედაგოგებმა აგრეთვე აღნიშნეს, რომ მონაცემების შეჯერების საფუძველზე შეიქმნება რეკომენდაციების პაკეტი მომდევნო

წლისთვის წარმოდგენილი სასკოლო კურიკულუმის განვითარებისთვის და დაგეგმვის პროცესში მიღებული მიგნებები და რეფლექსიის შედეგები გააზრებული და გაზიარებული იქნება სასკოლო საზოგადოების მიერ.

ინდიკატორი 2.4.1.1. დაკმაყოფილებულია.

2. სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმების გადამუშავებული ვერსიები ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს. 2022-2023 სასწავლო წელს სკოლა იყენებდა სამინისტროს საგნობრივი ექსპერტების მიერ მოწოდებულ საგნობრივ კურიკულუმებს. მათი განხორციელებისას მიღებული გამოცდილება, შეფასების შედეგად მიღებული მიგნებები აისახა მიმდინარე სასწავლო წლის კურიკულემებში. სკოლის „კურირულუმის შემუშავებისა დაგანვითარების მეთოდოლოგიის“ დოკუმენტში, პუნქტში - კურიკულუმის რევიზია - ჩანს, რომ სკოლას აქვს ხედვა, როგორ უნდა იყოს ჩართული კურიკულუმის რევიზიის პროცესში სასკოლო საზოგადოება და რა მიმართულებით გაანალიზდება რევიზიის შედეგები. პედაგოგებმა ინტერვიუს დროს დაადასტურეს ზემოთ აღნიშნული მიდგომების მიმართ მზაობა და აღნიშნეს, რომ გაითვალისწინებენ წინარე გამოცდილებას და გააგრძელებენ მუშაობას საგნობრივი კურიკულუმების განვითარებაზე. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით შგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლას აქვს მზაობა, სასკოლო კურიკულუმის რევიზირებულ ვერსიაში აისახოს მოსწავლეთა შედეგები, მასწავლებლის მიერ დაგეგმილი და რეალიზებული პროცესების რეფლექსიები, სასწავლო მასალების ეფექტიანობის და ვალიდობის მონაცემები და ა.შ.

ინდიკატორი 2.4.2.2. დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კომპლექსურის რევიზიის დოკუმენტი
- სკოლის თვითშეფასების კთხვარი;
- ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფის დებულება;
- სასკოლო კურიკულუმის შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგია;
- სასკლო სასწავლო გეგმა 2023-24 პროექტი;

შეფასება:

- ■ შეესაბამება
- ☐ მეტწილად შეესაბამება
- ☐ ნაწილობრივ შეესაბამება
- ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

4 დაზიპული ფაილი

26.10.2023წ

თარიღი